


ქორეონი



ბათუმი
სამეჯის ტაძარი

4

2020



ბათუმის მხარეთმცოდნეობის სახლი

ISSN 0134-3459

20004



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი

ივლისი-აგვისტო

№4

2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თაღორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქიზურია
ვახტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ჯონი, ჯონ

ცისანა ანთაქა – ლექსები	3
რამაზ სურმანიძე – ვარსამი (მოთხრობა)	12
ჯემალ სურმანიძე – ლექსები	17
ნინიკო მშვიდლობაძე – ლექსები	24
ლალი ფრუიძე – ლექსები	35
გიგო თაყაძე – მინიატურები	41
ელენე ჯობავა – ლექსები	50
ნათელა კახიძე – მასწავლებელი (ნოველა)	52
ნანა შანიძე – მინიატურები	57
ეკა ქაჯაია – ლექსები	62

თანაკანი

ალექსანდრე იონოვი – ლუკმა პური (მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა ნოდარ ბასილაძემ)	69
--	----

ჩიტი, ჯულიუსია

ნინო დარბაისელი – ი. ბროდსკის ერთი ლექსის შესახებ	72
– ედგარი – მერამდენედ	80
მარინა ჩხიკვაძე – სევედიანი ისტორიებიდან კარგი ლიტერატურა იქმნება	88
მანია ჯალიაშვილი – პორცელანი – მშვენიერების მონატრება	93
– ნიგნი-კონცერტი – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“	97
– აკაკი ბაქრაძე და გრიგოლ რობაქიძე	101

ქართულული

ტარიელ ფუტყარაძე – სახელმწიფო ენა, დედაენა, კილო, კილოკავი	107
--	-----

რუსული

ცისანა ანთაქა – მაღალი პოეტური ესთეტიზმით... (საუბარი რეზო სტურუას პოეზიაზე)	118
--	-----



ცისანა ანთაძე

როცა სიტყვა უძლურია

მრავალჭირვარამგამოვლილი ჩვენი ულამაზესი კუთხის გულმართალი მემატთანე ცისანა ანთაძე თავის ავტობიოგრაფიაში, მშობლიური ბუნების აღწერისას, ამბობს: „სიტყვა ულამაზესიც კი უძლურია იმ ხიბლის გადმოსაცემად, რასაც აქ თვალი აღიქვამს“.

მე კი მგონია, უბრალო მოკვდავი უძლურია დახატოს, გადმოსცეს, დაგვანახოს ცისანა ანთაძე, როგორც ბრწყინვალე შემოქმედი, უერთგულესი მეგობარი, თავისი ხალხისა და სამშობლოს სამსახურში ერთიანად დახარჯული ადამიანი.

ცისანა ანთაძის პოეზიიდან სამშობლოს ტკივილები მოედინება ამღვრეული ნაკადულებით, რომელთა დაწმენდასა და გასპეტაკებას ცდილობს ლოცვითა და წუხილით. მისი ლექსები პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებია, საგალობლებია და წრფელი ემოციით ივითხება.

ცისანა ჩაუტეხელი ხიდია ჩვენს სამეგობროსა და თჯახში, რომელსაც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია ჰქვია.

დიდი, ძალიან დიდი გრძნობით ვულოცავ ბრწყინვალე პოეტს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დავით თედორაძე

ცნობილ პოეტს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, მთარგმნელს, ანა კალანდაძის, ფრიდონ ხალვაშის, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიების ლაურეატს, ქართული კულტურის ამაგდარს ქალბატონ ცისანა ანთაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი, ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია გულთბილად ულოცავს ამაგდარ პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

ხელს არ ბაბიშვები...

ვისროლე ლექსი, გინვევთ შეჯიბრში,
ახლა გიჩვენებთ რაა დუელი,
სეკუნდანტად მყავს ბარონი კანტი,
ძველი ძმაკაცი, ემანუელი.

მე ვარ ორკესტრი, სისხლი ხმაურობს,
სულში სამყაროს გააქვს ზანზარი,
ვებლაუჭები ზეცას კლანჭებით,
რათა არ მოვწყდე, როგორც კვაზარი.

ჩამომიქროლა მთვარემ ბინდ-ბუნდში,
არ მომეწონა, იყო ფერმკრთალი,
არ ვარ მოშიში, მაგრამ რატომღაც
თვითონ სამყარო იყო შემკრთალი.

მონა ვარ ბედის და უფრო მეტიც –
– შემთხვევითობის ძველი ხიზანი,
სიმშვიდის მფლობელს წარმომიდგენდით? –
– გამოხედვა მაქვს მონა ლიზასი.

ცამ ასაფრენი ბილიკიც მამცნო,
მადლის ქვაზე დევს ჩემი საგზალი,
ხელს არ გაგიშვებ ცაო, მაღალო,
რათა არ მოვწყდე, როგორც კვაზარი.

* * *

ველარ მივიღე ზეცის ბარათი,
სხვა მისამართზე ვახსოვდი ალბათ,
მაშინ სხვა მთვარეს ვეფერებოდი
და ღვინის ნაცვლად ვწრუპავდი შარბათს.

ქვეყანა ჩემი მეგონა, როცა
ბალიშა კამფეტს ვაგემოვნებდი,
არც კი ვიცნობდი შოპენს და მოცარტს,
მერე, ნელ-ნელა აზრზე მოვედი.

რაც ნათლად მახსოვს, ახლა ნისლშია,
ვხედავ, მშორდება უფრო და უფრო,
„მე რომ გაფრენა არ შემიძლია“.
ეს უკვე ნიშნავს, კივი ვარ უფრო.

უგემურია წუთისოფელი,
თურაშაულიც პანტას მაგონებს,
რა ვქნა, ძამიკო, ვერ შევეგუე,
ახალი დროის ფანტასმაგორებს.

ველარ მივიღე ზეცის ბარათი,
ალარ დამჭირდა პასუხი ვწერო...
აქ ძველი სევდა მიზეზს ამართლებს, –
– რომ ჰორიზონტზე მიფრინავს წერო.

მუზას

მე უღალატო სუფლიორი მყავს,
ზოგჯერ თვითონაც ჩამოჰკრავს არფას,
აკადემიაგამოვლილია,
თავის საქმეში ბადალი არ ჰყავს.

ურარტუს გზებიც დაულაშქრია,
მთანმინდაზე ხომ ყოველლამ ვახშობს,
ძუძუმტედა მყავს მუზად ხმობილი,
მის ხმას ჩემამდე ვერავინ ახშობს.

მზეში, ყინვაში, თუ ქარაშოტში,
სულერთი არის იდგას რა დარიც,
სხვა ყველაფერი შორეულია,
მხოლოდ მის კარნახს იჭერს რადარი.

ის – ჩემი მუზა და სუფლიორი,
ერთგულებისთვის დაინერს ქულებს,
მაგრამ ჩემს შემდეგ ვისთან შედგება,
ნეტავ, ჩემს შემდეგ ვის უერთგულებს?..

მოკლედ რომ ვთქვა...

ვტირი – ჩვენი ედემ-ბალი,
არც ჩემია, არც შენია...
მოკლედ რომ ვთქვა, საქართველო
გუგულების საშენია.

არც ალგეთის მგელი არ ჩანს,
არც ირემი, არც შველია;
არც მხსნელი ჩანს, არც მესია,
არც ხსნაა და საშველია.

ვინ აცალა იებს მოსვლა? –
– თოვლი ერთი საყენია...
მტერს ისეთი ღიმილი აქვს,
გეგონება მაშველია.

ისევ მერცხლებს ვენაცვალე,
შავ-თეთრ-დიბა-ფარჩებიანს;

ჭიკჭიკებენ, გიგალობენ,
რომც ეხვენო, დარჩებიან?!

მე თუ მკითხავთ, ვერ ვენდობი
არც ჩემიანს, არც შენიანს...
მოკლედ რომ ვთქვა, საქართველო
გუგულების საშენია!..

* * *

პოეტი სიტყვებს არ ერიდება,
არც ამა სოფლის „ნაივ იაღლიშს“;
ამოჰყრის სიტყვებს, ვით ზღვა მარგალიტს,
გააფთრებული სულის წიაღი.

ვერ შეაჩერებს სიტყვას ცუნამიც,
ნაღდი სიმღერა თვითონ ხმიანობს...
მიდი და დაფნის ხესთან შეჩერდი,
სხვას რაღას ითხოვ, შე, იღბლიანო.

მიდი, შეირგე, რომ ხარ პირისპირ,
ამხელა ცასთან, ამდენ საფლავთან...
ვისაც ეგონა, ზეცა დაიპყრო,
რომ არ ელოდა, ისე ჩაფლავდა.

რა იოლია იყო მოკვდავი,
შენ კი ირთულე ყოფას მინიერს,
ნუ აკვირდები მარტივ რეკვიზიტს,
სცენაზე ფარდა ისე მისწიე.

აღბათ იქნება ეს ბოლო სიტყვა,
ტანში იმგვარად მცრის და მაციებს,
გთხოვ, მაპატიე, მამულის ცაო,
ჯერ ერთი სიტყვაც ვერ შეგანე.

ისეთი, რომელს შენ იმსახურებ;
ისეთი, როგორც მე მსურდა მეთქვა...
ვერა, ვერ ავცდი ხილულ კაბადონს,
აქ, გრანელივით მიმაბა ღმერთმა.

მასვე მადლობა – არა ვარ მორცხვი,
არც უბადრუკი (ამით მოვიგე),

უკვე დავლაშქრე სანუთროს ბორცვი
და ვუთვალთვალებ ცაში მორიგეს.

მაინც ამას ვთვლი მე ბოლო სიტყვად,
(ვხედავ მომავლის ინფორმაციებს),
გთხოვ, მაპატიე, მამულო ჩემო,
ფსალმუნის სიტყვა ვერ შეგანე.

სიმართლემეპარული იუმორისკა

არც ედემის ბალი მახსოვს,
სხვა ცისა ვარ, თან მორცხვი ვარ,
როცა ვაშლის ხესთან ვდგავარ,
მგონია, რომ სალოსი ვარ.
როცა ზეცის კალთაში ვარ –
– გელათში ან სხალთაში ვარ,
მწამს შუბივით გავიჭრები;
ვგრძნობ, დროებით ხალთაში ვარ.
მოვიპარავ ვაშლს შენს ბაღში,
თუნდაც ცავდეს ასი გველი,
ყარაულსაც მივაჩოჩებ,
რაკი ამდენს გავუძელი.

რიყეთის ღამე

დაჭრიჭინობდნენ ჭრიჭინობლები,
ვით სიმფონია თავისუფლების,
ხატავდნენ ზღაპრულ სანახაობებს,
ცად შეფენილი ლეგა ღრუბლები.

იჭყიტებოდნენ ოჩოკორები
იდუმალებით მოცულ ჩეროდან...
სავსე მთვარე კი – მზეთუნახავი,
მეტადრე მთების კალთებს შვენოდა.

შეჩერდა ღამე რიყეთის მთასთან,
ცა აწოვებდა ვარსკვლავებს ძუძუს
და ისრუტავდა პოეტის ლექსი,
გარინდებული სამყაროს ზუზუნს.

ხის ტოტზე მჯდარი ღაბუა ჩიტი,
ხან ცას ახედავს, გახედავს ხან მთას...

ტიტველი უჩანს ზეცას გულმკერდი,
 უცდის, მზის სხივი შეუკრავს ბალთას.

მშვენიერებას არ აქვს საზღვარი,
 არცა წერტილი, ვრჩები მდუმარი...
 რა ლამაზი ხარ რიყეთის ღამევ,
 რა დიდებული, რა იდუმალი...

ბორბ ირემბძეს

დიდქართველს, პიროვნებას, რომელმაც უცხოელზე გასხვი-
 სებული, ზურაბ გორგილაძის სახლი გამოისყიდა სახლ-მუ-
 ზეუმისათვის.

დის სამადლობელს ლექსად გწერ,
 მადლის სათავე ცით სუფევს,
 უფლისგან დალოცვილი ხარ,
 ქართულ ლექსს უჭირისუფლე.

ზურაბის ლექსი ფრთალაღი,
 კარს ყველა დარბაზს შეუღებს;
 ზეცის საცერში გაცხრილულს
 დრო-ჟამი ბენვს ვერ შეურხევს.

მაგრამ საკუთარ ჭერს შიგან,
 სხვაა პოეტის ტაროსი...
 კელიას ძალუძს დახატოს,
 სრულყოფილება სალოსის.

ქველმოქმედმა და რაინდმა
 ეპოქას სუნთქვა არგუნე,
 როს გულგრილობით გახსნილი,
 სულის იარა განკურნე.

მშობელ ერსა და ბერსაცა
 დიდი სირცხვილი მონმინდე,
 ამ უანგარო შესანირს
 ცა დაგიბრუნებს ლოცვითვე.

ალალ სიტყვებით შევკაზმავ
 მეც ხოტბა-მადლის წერილსა,
 ჭირისუფალო პოეტის,
 დამფასებლო მწერლისა...

დედი!..

დედი, ჩემო საოცარო დედი,
 ახლა გრძნობა სულის ცეცხლზე ავლესე,
 ...შენზე უფრო ერთგული და „ფანი“,
 არასოდეს არ ჰყოლიათ ამ ლექსებს.

დრო გარდაქრა, ლექსი მაინც მოვიდა,
 მაგრამ ვილას წავუკითხო, არ ვი...
 ...დედი, შენი მოფერება მომინდა,
 ახალ სტრიქონს ხომ მოაყრი მარილს?

დედი, სული როგორ უნდა გავითბო?
 კვამლი არ ჩანს, ის ბუხარი ჩაქრა,
 დამავინცდა, ლექსი როგორ გავრითმო,
 ველარ ვხვდები, დაველოდო აქ რას...

მიმწუხრია, დედი ხომ მელოდები?
 ხომ გსურს ვიყო ბედნიერი ბედით? –
 – მოახერხე, შენ ხომ ყოვლის შემძლე ხარ?
 ლეთეს წყალთან შემეგებე, დედი!..

სიფო დლონტს

ლექსისათვის „რაფერ მიყვარხარ“

ვერ დავარქმევდი შენს სვლას,
 ქალურ სისუსტით ბანცალს.
 როის მოხვიდე, ქი მიხთი,
 ზეცისგანც ელი რაცხას.

მუუსლელიდან, ტიტუუუ!
 გადმოპარულა მუზა,
 იმ ნაქცეულ რაშს, ნენა,
 შენ იცი, რასაც უზამ.

რაფერ დახატე ნენა,
 ამფერი პინკი ცაი?!
 თლა ღრუბლებს ნუ უყურებ,
 მინაზეც მეიცაი,
 რამდენიც გინდა წერე,
 ააფსე გორიცაი.

მე რას გიჩივი იმფერ
ფარცაგს, რომ გიცვლი იერს?
ვინცხამ გლახა თქვას შენზე,
მას ყიამეთი მიე.

აქამდე სა იყავი?
მაი სტრიქონი შესნი;
მე იმ პოეტის რა ვთქვი,
თავს ვინც არ დახრის შენს წინ.

* * *

ეს ლექსი ისე არეულია,
ვგრძნობ, მართლა ჩემი ორეულია,
გარეთ თოვლია, სულშიც თოვლია,
ყველგან თოვლია თქვენი კვნესამე...
რა მდიდრები ვართ – ვაჟა გვყოლია,
გალაც გვყოლია... მოვა მესამეც...
მაგრამ არავინ იცის ვინ მოვა,
(აქ არვინ უსმენს ზეცის დაკვეთას),
წრეგადასული ამბიციები
ბოლოს მოიმკის სასონარკვეთას.
არა, არ ვანებ კალამს მელანში,
ზეპირად ვისვრი სიტყვებს, ვით ტყვიებს...
ვნახავ, ვინ გაცვლის ქურანს მერანში,
ხედავთ? მერანიც შემოვიტყუე.
გარეთ ქარია, სულშიც ქარია,
ზამთრის მდებლოზე მინანქარია...
ყველგან ქარია, თქვენი კვნესამე...
მოვა, უთუოდ მოვა მესამე...

* * *

ეს ჩემი სულიც ბაგასთან შედგა,
დანინდულია ბაგა შობისთვის,
და რაკი ღმერთი ყველას მამაა,
ქრისტე ნევს ყველა ახალშობილში.

რინგზე ვარ, მიწა სახეში მირტყამს,
დავასახელებ ზეცას მხილველად,
...დაიმახსოვრეთ, მთავარი სიტყვა,
ქართული ცისქვეშ ფეთქავს პირველად...

* * *

ზეციდან მოდის ლექსის საკენკი,
ხან მთვარეს ცვივა, ხან მზეს კალთიდან,
ცა რომ არ იყოს მსუყე მარკეტი,
პოეტი ამდენს როგორ გათვლიდა.

ვერ გკადრებ ცაო, რად არ მისმენო,
თუმცა ვაფასებ პოეტ თავხედებს...
ანგელოზებთან რომ შევისვენო,
ჯერ მთანმინდასთან უნდა გავხვედე...

მე მირჩევნია ძმებო ას კეთილს
ცა – ლექსის საზრდო სუპერმარკეტი...

* * *


არჩევანის პასუხად
არადანსაც ცა ცრიდა...
...აგერ ქეა დიდუბე,
აგერ ქია მთანმინდაც.

ძმაო, ასე სადაა? –
– ეს მინდა და ის მინდა,
სად იყავი, როდესაც
ელვა ქამარს იხსნიდა.

არც ნამება გინდოდა,
არც თოში და არც წვიმა...
ვერ შენიშნე, თვალის წინ
ჩაგიფრინა არწივმა.

შენც, თუ და ხარ, შეეშვი
„კეკეტკობის“ ვარიანტს,
ვისაც ელის მთანმინდა
სიკვდილამდე მკვდარია.

ზეცას თავის ფანი ჰყავს,
არ კეკლუცობს სალოსი,
გვირგვინს გვიან დაიდგამს
უფლის ნებით დალოცვილს.



რამაზ სურმაანიძე

პარსამი

სამართლებელი ჩვეულებრივი დანაა, ნერვის დამცნობის დროს რომ ხმარობენ იმის მსგავსი, ოღონდ უფრო ბასრია და ნვერს იპარსავენ. ხელოსანს, ვინც ამ დანას ოსტატურად ხმარობს, ძველქართულად ვარსამს ეძახიან.

ახლა ჭაბუკებს და შეხნიერებულებსაც რომ კითხო, შეიძლება ვერ გითხრას, რაა სამართლებელი და ვინაა ვარსამი. ჩვენი დროის ნვერმოშვებულებს აღარ ჭირდებათ არც ერთი და არც მეორე. ვინც იპარსავს, იმას ხელთა აქვს სხვადასხვა ფორმის და ღირებულების „ჟილეტები“, ელექტროსაპარსები, სამართლებელი და ხელოსანი ვისლა ახსოვს.

აბა ერთი ჰკითხეთ უფრო ხანდაზმულებს, ვისაც ეს კეთილგამართული „ჟილეტი“ არ მოსწრება. მისთვის ნვერის საპარსი დანა ყოველდღიური ცხოვრების საგანს წარმოადგენდა, ხოლო ამ დანის ხმარება ყველამ როდი იცოდა. ხელობას ამორჩეული კაცები, ვარსამები ანუ დალაქები ფლობდნენ. წარმოიდგინეთ მოუხეშავ ხელში დაჭერილი, საგანგებოდ გამოწრთობილი ფოლადის საჭრელი იარაღი, როგორც იტყვიან, ჰაერში მოქნევით მტვერსაც რომ ჭრის, რა დიდი ოსტატობაა საჭირო, კაცის სახეზე უხეში ბალანი ისე მოაცილოს, რომ კანი არ დაზიანდეს, ეს მართლაც ხელოსნობაა, მეტად საჭირო და ფაქიზი.

ყველას თავის ვარსამი ჰყავდა სოფელში, გვარში, თანატოლთა წრეში, ვისაც ენდობოდნენ, იცოდნენ, რომ ისე გაამშვენიერებდა სამართებლის მოვლების დროს, არ დაასისხლიანებდა.

ხელოსანი დანის გაღვსვის ოსტატობასაც ფლობდა. აუცილებლად უნდა ჰქონოდა კაჟნარევი მასათი, რომლის სასრევით ლითონი ფხიანი ხდებოდა, საჭირო იყო ტყავის ღვედიც, მასზე გასმა-გამოსმით დანის პირი კიდევ იფერებოდა და მოღვსვის დროს წარმოქმნილი ფოლადის ნაწილაკებისგან თავისუფლდებოდა.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, დასრულდა 1937-ში მისჯილი გადასახლების 10-წლიანი კატორღის ვადაც და თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ სასწაულად გადარჩენილი, ფრონტზე ნაომარი და ციმბირში ნატანჯი ღვთის შვილები. ყველაზე უკეთ მათ გამოსცადეს, რაა სენი, ჭრილობა, ტკივილი, სისხლი და იარები. ისიც გამოსცადეს ამ გვემის დროს, ტანჯვას მხოლოდ მკურნალი, მოწყალების და რომ დაუამებდა.

ჰოდა, სახლში დაბრუნებულებს შორის, ვინც ჯერ კიდევ ჯეელი იყო, მათთან ერთად ხანშიშესულთა შვილებიც მიანყდნენ სამედიცინო სასწავლებლებს, საშუალოს და უმაღლესს, იმ დროს ამას არავინ არჩევდა.

ადრე მოწყალების დის დარგს მხოლოდ გოგონები ეტანებოდნენ, ბიჭები ამ საქმიანობას სირცხვილად თვლიდნენ, ახლა კი სამედიცინო სასწავლებლის ოცდაათიან ნაკადში, ნახევარზე მეტი ვაჟები იყვნენ, დავაჟკაცებულნი, ნვერულვამ დამშვენიებული.

დამშვენების რა მოგახსენოთ, მათთვის უფრო წვერგაბურძნულები შეიძლებოდა გეწოდებინა. სად იყო დანა, მასათი, ღვედი და სხვა მონყობილობა. იყო როგორ არა, სადალაქოში, მაგრამ იქ შესვლა ძვირი ღირდა, ჯიბეგახვრეტილ ბერბიჭა მოსწავლეებს კი ფულს ვინ მიაშავებდა და შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაითავისუფლებდნენ სახეს მოჭარბებული ჯაგარისგან.

ერთადერთი ვინც ყოველთვის კოხტად გაპარსულ-შეკრეჭილი მოდიოდა, ეს იყო 6-7 წლით ყველაზე უფროსი, ოდნავ შემელოტებული, სარფელი ლაზი ნიაზ კახალიში. ამ განსხვავებას ბიჭები ჩვეულებრივ ამბად თვლიდნენ, აქვს საპარსი მონყობილობა და თვითონ უვლის თავსო. თუმცა 14-15 წლის ნინველა გოგონები, ყველაზე მეტად ეთერი, მიაშტერდებოდნენ, როგორც გამორჩეულს, კოხტას და მიმზიდველს. ამიტომ ნიაზის ყველას შურდა, გარდა სამი ყმანვილისა, რომელთაც სახეზე ჯერ ღინღლიც კი არ გააჩნდათ.

* * *

ოთხმოცადგილიან დარბაზში ორი ამდენი მოსწავლე, აღმზრდელი და სტუმარი მოსულა. მოსწავლეთა ნახევარი ფეხზე დგას. სცენასთან ორნი სხედან, საკმაოდ ხანშიშესული მელიოტი, უღვაშა, ბრგე სასწავლო ნაწილის გამგე, სანდრო ჩიხლაძე და ცოცხალი სახის, თვალგაბრწყინებული ახალგაზრდა საშა ჯიჯეიშვილი.

დარბაზის კარი გაიღო თუ არა, ჩუმი გადალაპარაკებები შეწყდა. სხარტი ნაბიჯებით შემოვიდა ორმოციოდე წლის, კოხტად გამოწყობილი ქალი. იგი წამომდგარ კაცებს შორის ჩადგა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა.

– ჩვიდმეტი წლის წინ გაიხსნა ჩვენი სასწავლებელი, იგი არაფერში ტოლს არ უდებს სხვა ტექნიკუმებს, მაგრამ ერთი რამ, რითაც სხვები თავს იქებენ, ჩვენ არ გამოგვდის. არ გვყავს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამის ერთი ხელისშემშლელი მიზეზი წარსულში იყო და ახლაც ის არის, რომ ჩვენი სკოლა მხოლოდ გოგონებისთვისაა, არ გვყავდა ვაჟები. ხომ ასე იყო

ბატონო სანდრო? – თქვა და თავისი სკამი დაიკავა. – თქვენ რას გვეტყვით?

სასწავლო ნაწილის გამგემ დინჯად დაიწყო:

– დიახ, ასეა ქალბატონო ნინა, რამდენჯერმე ვცადეთ გოგონათა ანსამბლის შექმნა, მშვენიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ მოგეხსენებათ, ბიჭების გარეშე სრულყოფილი არ გამოგვივიდა.

– ახლა რა ვიღონოთ? – კითხვა შეაგება ნინა ბახტაძემ.

– პირველ კურსზე თორმეტი ვაჟი გვყავს, ეს ცოტაა, მაგრამ იმედია, მომავალ ნაკადშიც შემოგვემატებიან ბიჭები.

– ჩვენს სტუმარს უნდა ვკითხოთ, თორმეტი ვაჟი და ორასამდე გოგონა საკმარისია ანსამბლის შესაქმნელად?

საშა ჯიჯეიშვილი მარდად წამოხტა, როგორც ქორეოგრაფს შეეფერება:

– ქალბატონო ნინა, აჭარაში არ შემხვედრია კაცი, რომ არ ცეკვავდეს. თორმეტი, რა თქმა უნდა, ანსამბლისთვის ცოტაა, მაგრამ დასაწყისში საკმარისია. შევარჩევთ ისეთ ნომრებს, სადაც ბევრი ვაჟი არ იქნება აუცილებელი. მომავლისთვის ვნახოთ, ჩემთვის თქვენი სასწავლებელი უცხო არაა. აქ მოვამზადე გოგონათა ცეკვა, „მეჩაიე ქალთა საზეიმო“, რომელიც მთელს საქართველოში გამორჩეულად ბრწყინავდა.

– ჩვენი ქორეოგრაფის ყველა წარმატების მოწმე გახლავართ. იგი ერთნაირად გვანონებდა თავს პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბათუმის ქარხნებში და სკოლებში, – თქვა სანდრო ჩიხლაძემ უფრო დირექტორის გასაგონად, რადგანაც იგი სტუმარს არ იცნობდა.

– სამი კითხვა მაქვს: მეცადინობისთვის ეს დარბაზი თუ იკმარებს, მეორე – ვაჟების საცეკვაო სამოსს რა მოვუხერხოთ და მესამე – მომღერლები როგორ გამოიჩინენ თავს ბიჭების გარეშე? – იკითხა ნინა ბახტაძემ.

– ჩვენ ამ დარბაზში ვატარებთ რეპეტიციებს. ჯერჯერობით გვყოფნის. ბიჭების შემომატება ხელს არ შეგვიშლის. რაც შეეხება ტანსაცმელს, სხვა ანსამბლებისგან მოვიტანთ, – უპასუხა ქორეოგრაფმა.

– მომღერლებზე მე მოგახსენებთ. დაბალბ-
მიანი გოგონებიც გვყავს. გარდა ამისა, აქამდე
მათ ერთი „ბიჭი“ ეხმარებოდათ, – თქვა სასნა-
ვლო ნაწილის გამგემ.

დარბაზში სიცილი გაისმა. ყველას გაახსე-
ნდა, მომღერალ გოგონებს შორის უკან, მალუ-
ლად მდგომი, თვითონ სანდრო, რომელსაც ისე-
თი ბანი ჰქონდა, ოთხ კაცს ეყოფოდა.

– ჰო, იცინეთ, იცინეთ, ახლაც დავდგები,
მაგრამ მარტო აღარ ვიქნები. თორმეტ ბიჭს
შორის სამ-ოთხს რომ აღმოაჩნდეს ბარიტონი,
ესეც დიდი ძალა იქნება. ჩვენი ლოტბარი, ვალე-
რიან გოგიტიძე, ბიჭების შემომატებით გახარე-
ბულია, იგი დღეს მოვა და ხმებს გასინჯავს.

დირექტორი წამოდგა, ყველას მადლობა გა-
დაუხადა, რაც შეხვედრის დამთავრებასაც ნიშ-
ნავდა.

– ჩვენი შეხვედრა თუ დასრულდა, თქვენი ნე-
ბართვით, ცოტა ხნით ვაჟებს დავტოვებთ დარბ-
აზში, – დირექტორისგან ითხოვა ქორეოგრაფმა.

– როგორც გენებოთ.

თორმეტივე ვაჟმა წინა რიგში გადმოინაცვ-
ლა.

საშამ რაღაც გადაულაპარაკა სანდროს.

– მაგასაც მოვუვლით, – უპასუხა და ნიაზ
კახაილიშს მიუბრუნდა: – ნიაზ, შენი კოხტაო-
ბა საქმეს ვერ უშველის, ხვალღიდან ეს ბიჭებიც
უნდა გაალამაზო. თუ სადალაქოდ რაიმე დაგ-
ჭირდეს, მითხარი, დაგეხმარები.

ნიაზმა შემცბარ ბიჭებს გადახედა.

– ხვალ ყველა მონესრიგებული მოვა, პატივ-
ცემულო, – თქვა კახაილიშმა.

– რაკი ყველანი ვართ, ბარემ, ცოტა საცე-
კვაო სინჯებსაც ჩავატარებო, – ქორეოგრაფმა.

ასე დასრულდა პირველი შეხვედრა მომავალ
მოცეკვავეებთან, რომელთათვის ცეკვა არა, მა-
გრამ ანსამბლი ყველასთვის უცხო ხილი იყო.

* * *

ბათუმში, რუსთაველის ქუჩის ერთი კვარტა-
ლი, საბაევის სახლის გვერდით, პატარ-პატარა
ბელეტაჟებს და ერთსართულიან ხის ოდა-სა-

ხლებს ეკავათ. ქალაქში თეატრი არ ჰქონდათ
და თეატრალურ წარმოდგენებს, ფოსტის წინ
მდებარე, ერთსართულიან, შეუფერებელ შენო-
ბაში დგამდნენ.

1937 წელს, აჭარაში შეიქმნა დასი ახალგა-
ზრდებისგან, ვინც დამთავრა თეატრალური
ინსტიტუტი. ამან ერთგვარი ბიძგი მისცა ახალი
თეატრის აუცილებლობას.

ბათუმელთა თხოვნით, მოსკოველმა არქი-
ტექტორმა ლ.ს. ტეპლიცკიმ, მოამზადა თეატ-
რის პროექტი და შეუდგინა მის მშენებლობას,
მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა ეს წამო-
წყება.

თეატრი შენდებოდა სწორედ ზემოთ ნახსე-
ნებ ბელეტაჟებითა და ქოხმახებით შემორკა-
ლულ კვარტალში, მაგრამ შენობა სიგრძეში არ
დაეცია და იძულებული გახდნენ, ლიბკნეხტის
ქუჩა, რომელიც იწყებოდა ძველი ბაზრიდან და
ზღვამდე აღწევდა, სანახევროდ გადაეკეტათ.
მშენებლობას სხვა მიზეზებიც აფერხებდა. არ
ჰქონდათ ხე-ტყის მასალა. ზოგი ქირი მარგე-
ბელიაო, კოკისპირული წვიმების შემდეგ, უცებ
მოვარდნილმა წყალმა, მთლიანად წალეკა ჭვა-
ნის ხეობაში მდებარე ცხემლისის სახერხი ქა-
რხანა. იქ მიტანილი მორები წამოიღო, ზოგი
მდინარე აჭარისწყლის ნაპირზე, ზოგიც ბათუ-
მის და ფოთის სანაპიროზე მოფანტა.

ის მორები შეაგროვეს, თეატრისთვის საგა-
ნგებოდ ბათუმში სახერხი ქარხანა გამართეს,
მორები დახერხეს, გააშრეს და... ჩვენი სახელო-
ვანი თეატრის სახურავის და სხვა ხის კონსტ-
რუქციები, ჭვანის ხეობაში გაზრდილი მერქნით
გაანყვეს.

* * *

მშენებარე თეატრის მთავარი შესასვლელის
წინ, ერთ ოდა-სახლში ჰქონდა ბინა ნიაზ კახაილი-
შის უფროს ძმას, ხემდის, პატარა ოთახი და აი-
ვანი ეკავა. ხემდიმ ეს ოთახი ნიაზს დაუთმო და
იმანაც ჩვენი სადალაქო აივანზე მოაწყო. მაგრამ
ცუდი ამინდის დროს, შეუძლებელი იყო ღია აივ-
ნით სარგებლობა და ოთახში შევყავდით ხოლმე.

საქმე გაგვირთულდა მას შემდეგ, როცა ნიაზმა თავისი თაყვანისმცემელი, ჩვენივე თანაკურსელი, ეთერ ზენაიშვილი შეირთო. გვერიდებოდა ოთახში შესვლა და ცუდ ამინდშიც აივანზე ვჯახირობდით. მაგრამ გურიის დარბაისელ ოჯახში გაზრდილმა ეთერმა მკაცრად გავაფრთხილა:

– ასეთი რამ მეტი აღარ ჩაიდინოთ, ნიაზი თქვენი ამხანაგია და მე კი არ მცნობთ ამხანაგად?

რა გზა იყო, დავნებდით დიასახლისის ბრძანებას და ოთახში შევბარგეთ ჩვენი მონყობილობა.

მეორე სიძნელეც წამოიჭრა. ჩვენი ცხრა მოსწავლე ძია კაცის გარდა, გასაპარსი გახდა სამი ღინღლიანი, ახლად შეღერებული 15-16 წლის ბიჭი. ამიტომ ზოგჯერ ნიაზთან რიგი გვქონდა გამართული.

ნიაზს საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და ჩვენც გვეპყრობოდა მკაცრად. ერიდებოდა სანდრო მასწავლებელთან დადებული პირობის დარღვევას.

ასე არ ივარგებსო, კახალიშმა და შეგვიდგინა მასთან მისვლის განრიგი, რომელსაც თავად აწესრიგებდა. გაგებდა და დანიშნულ დროს არ მისულიყავი – სახლში მოგაკითხავდა.

ერთ დღეს გურამი არ მოვიდა. სახლში მიაკითხა და საყვედურებით აიკლო, თუმცა ყველაფერი გაირკვა:

– ფული მაჩუქეს, ქორწილში ვიყავი წასასვლელი და რიგს აღარ დაველოდე, ალბერტა პარიკმახერთან გავიპარსე, – დააწყნარა ნიაზი.

რიგში მყოფებს, ერთ მშვენიერ დღეს, სასწავლო ნაწილის გამგე დაგვადგა თავს. ხელში პატარა ჩანთა ეჭირა. კალოშები აივანზე გაიხადა და შემოვიდა.

– აბა მითხარი, როგორ მიდის შენი მუქთი მსახურიო, – მიმართა მასპინძელს.

– კარგად, პატივცემულო, – მოკლედ მიუგო ნიაზმა.

– რაიმე სიძნელე ხომ არ გაქვთ?

– გვაქვს, მაგრამ ვძლებთ.

– მაინც რა?

ნიაზმა ჩვენ გადმოგვხედა:

– ჯერ ერთი, ცხრას ეს ახალწამოჩიტულებიც დაემატათ, მეორეც, თორნიკეს სახის ფართობი ბარე სამი კაცისას უდრის და თორმეტის მაგივრად თხუთმეტს ვპარსავ, – იხუმრა.

სანდრო ხუმრობის ოსტატი იყო და თავადაც სიამოვნებით ჩაერთო, გამომწვევი კითხვაც დაუსვა:

– კიდეც, კიდეც, თორნიკე ვიცი რა შვილიცაა, სხვები როგორ იქცევიან?

– ქცევით ყველა კარგია, მაგრამ ამ მურადის და ისრაფილის ცხვირებს ვერაფერი მოუხერხე, პატივცემულო, ძნელია მათთან მუშაობა.

სანდრომ ანაზდად ცხვირზე ხელი მოისვა.

– კიდეც კარგი, მე არ დავდივარ შენთან, თორემ ერთი ცხვირი დაგემატებოდა, – მას გამოჩრჩეულად მაღალი კეხიანი ცხვირი ჰქონდა.

ნიაზი განითლდა, თუმცა არ დაიბნა:

– თუ იკადრებთ ჩემს სამსახურს, ხელს ვერაფერი შეგვიშლის.

ნიაზი ზედა ტურზე, მოკლე, ოთხკუთხა ულვაშს იტოვებდა. თანაკურსელებიც ასეთივე სამკაულით დაამშვენა.

– ბიჭო, ყველას სახეზე ერთნაირი ულვაში რომ გამოგყავს, არ იფიქრებენ ყველა უპატრონო ბავშვთა სახლიდანააო?

ნიაზმა უცებ პასუხი ვერ მონახა.

– კარგია, ესეც ჩვენი სასწავლებლის ნიშანი იქნება, განსხვავებული, – უხერხულობიდან თავად სანდრომ გამოიყვანა.

– კიდეც, კიდეც რა გასაჭირი გაქვთ? – არ ეშვებოდა სასწავლო ნაწილის გამგე. – ამ ტაბუკებმა ხომ არ გაგვირთულეს საქმე? – ჩვენ გადმოგვხედა.

– არა, ამათ ადვილად ერევა ჩემი სამართებელი, თუმცა...

– რა იყო?

– ამ ერთს, – ჩემზე მიუთითა, – თმა ცალ მხარეს ჩვეულებრივ ეზრდება, მეორე მხარეს ოცი დღე რომ არ გაიპარსოს, არ ჭირდება და რომ შეხედავენ, არსენა გაახსენდებათ, „საციმბიროდ გამწესებულს, ცალი წვერი მოპარსესა“.

სანდრომ ყურადღებით შემათვალისწინა და ნიაზს მიუბრუნდა:

– ბიჭო ციმბირიდან მამამისი ძლივს დაბრუნდა, ახლა ამ ყმანვილს იქ რა ესაქმება?

სანდრომ ჩანთა მაგიდაზე დადო და მოულოდნელი საჩუქრებით ყველა გაგვაოცა. ამოალაგა ოდეკოლონი, პუდრის კოლოფები, საცხები, ხელის საპონი, ჯაგრისები და ერთი საპარსი დანაც.

ნიაზი და ჩვენც ერთმანეთს მივაშტერდით. სასწავლო ნაწილის გამგეს მოსწავლეთა შექება სიტყვიერად არ ჩვეოდა. კმაყოფილებას მხოლოდ მის სახეზე და სქელ უღვაშებში ღიმილით ამოიკითხავდით. ახლა ყველას ყურადღებით მოგვაველო თვალი და გამოგვემშვიდობა.

– გაგითავდება, გამაგებინე, არ მოგერიდოს, – თქვა ჩვენმა კეთილმა აღმზრდელმა.

* * *

სამი წელი ხელში სანთელივით ჩაგვადნა. ზრდასრულ ჭაბუკებს ჩვენს მომავალზე უნდა გვეზრუნა. ზოგმა ახლადმიღებული პროფესიით აირჩია საქმიანობის დაწყება, უმრავლესობა უმაღლეს განათლებას დაენაფა, ზოგმა პედაგოგობა, საინჟინრო, აგრონომიული. მხოლოდ სამს

გვერგო მედიცინაში სწავლის გაგრძელება.

ნიაზმა და ეთერიმ უშორეს სოფელ ხიხაძირში, სადაც კადრები აკლდათ, მოხალისედ წასვლაზე განაცხადეს თანხმობა.

თბილისში წასასვლელად გამზადებულმა, გამოსამშვიდობებლად ნიაზთან შევიარე. ბრგე ვაჟკაცი, რომელსაც სიცოცხლეში თავი არ წამოტკივებია, მწოლიარე დამხვდა, თვალები თეთრი ნაჭრით ჰქონდა დაფარული.

ჩემი გაკვირვება ეთერიმ განმუხტა.

– ზღვაზე ვიყავით, უცებ მოვარდნილმა ძლიერმა ქარმა, მშრალი სილა აიტაცა და ნიაზს თვალებში მიაყარა. მე ზურგით ვიდექი და გადავრჩი.

მე ენაჩავარდნილსავით კვლავ ნიაზს მივშტერებოდი.

– აბა თუ გამოიცნობ, ვინ მოვიდა? – უთხრა ეთერიმ.

– ახლოს მოდი! – ძველებურად მიბრძანა და ჩემი მიახლოებული სახე ორივე ხელში მოიქცია.

– რამაზია, – თქვა და თვალების განთავისუფლებას შეუდგა. ეთერიმ დაუშალა, მაგრამ თეთრი ნაჭერი მაინც მოიშორა, მძლავრად მიმიზიდა, ჩამეხვია და მომავალი ექიმობა დამილოცა.

15 თებერვალი, 2020 წ.



ჯეპარ სურბანოძე

მოვსწრებოდეთ ქართველები

ჰკითხეთ ამ ჩვენს
სიძველეებს,
რარიგ მედგრად იდგა
ყველა –
სიამაყით გვიმზერს სხალთა,
გონიო და მაჭახელა.
ეჰ, ნეტავი,
ამ სიმტკიცით
დაუხვდეთ ჩვენს
გამონვევებს,
შეურყევლად დავდგომოდეთ
გოროზ მთებს და
ნარნარ ველებს,
მოვსწრებოდეთ ქართველები
ბეჭზე გაგორებულ
დევეებს.

* * *

ცად ვარსკვლავების
გამოჩენას მოვკარი
თვალი,
ნაირფერ სამოსს
დედამინა იცვლიდა
ჩუმად
და ღამე ჰგავდა
კრუნჩხვებისგან გათანგულ
ბებერს,
სულთმობრძავს ბოლოს
სიკვდილი რომ
ნაართმევს ელფერს.
დღე – უფრო ჭაბუკური

აღმაფრენით შემოსვას,
 რომლის მიღვევისას
 ბებერს ხელმეორედ
 მოელის
 თავის პოზიციაზე
 დაბრუნება,
 თანაც ისე, რომ
 გაჭიანურებულ აგონიაში
 ხალისს ვერსად
 იახლებს,
 ალბათ, ამიტომაცაა მთვარე
 სულ სევდიანი.

სიცოცხლეში ვუმრთელებდით

ველარ გავცდით გონით დუქანს,
 ვაფასებთ იმ ჭირისუფალს,
 ჩიტის რძეს რომ არ მიაკლებს
 გამოსათხოვებელ სუფრას.
 ნეტამც, წესად გვექცეს ისიც,
 რომ სარეცელს მიჯაჭვულებს –
 სიცოცხლეში ვუმრთელებდეთ
 ყოფით დამძიმებულ გულებს.

ზღვის ჩუმი მელანქოლია

თოვლის ქათქათა
 საბურველს
 ვამსგავსე წყალზე
 თოლია,
 აელვარებდა მზე
 ზვირთებს,
 თითქოს შეესხათ
 ბროლია.
 გადანვდენოდნენ
 ქარები ნაპირზე
 მონაქროლია,
 თვით სიმშვიდეში
 იგრძნობა
 ზღვის ჩუმი
 მელანქოლია.

თოკზე ფრიალა
 თეთრეულს
 ვამსგავსე შორით
 თოლია,
 წარმოსახვაში ბანარზე
 ფრთოსანი ჯერ
 არ მყოლია.

* * *

მდგმურები ვართ ქვეყანაზე,
 ნებას ჩვენსას მივყვეთ ხმაზე,
 ჩრდილი მხდალთა არის ხვედრი,
 უნდა ვლიდე მრწამსით მხედრის,
 დუელია ჩვენი ყოფა, არად
 აგდებს მანდილს მდედრის.
 უარესია, როცა შვილი დედას
 ამაგს დააყვედრის.

* * *

ვარდობისთვეა, აკაციის
 მათრობს სურნელი,
 მიუზიდია ფუტკრის გუნდი
 ნექტრის მსურველი,
 ერთხელ აკოცებს, მიატოვებს
 თოვლისფერ ყვავილს,
 თითქოსდა სხვა ეშხს
 ნექტრის გარდა ვერ ამჩნევს თვალი
 და მერე რჩება დამჭკნარ ბაგეებს
 იმ უნებლიე ნაკოცნის კვალი.

ძენწმანს ძენწას არხემს ქარბი

ო. სურმანიძეს

ძენწმანს
 ძენწას არხევს ქარი,
 კორტოხიდან მიმზერს
 ხევი,

მშობლიური სანახისკენ
 გულმა გამინია ზევით
 (გეგონება, მესალმება ხე
 გვერდს მივლის თავის
 რხევით).

ახლა მხოლოდ ბილიკია
 სურვილამდე ჩემი მხლები,
 თითქოს, გრძნობდეს განშორებას
 შუბლგახსნილი მხედება მთები.
 იმ მთის ძირას,
 ლამაზ სახლთან, იკვეთება
 სოფლის გზები
 (ოდითგან აქ სამრეკლოზე
 არ წყდებოდა ზარის
 ხმები).

ჩემს მასპინძელს ძველებურად
 გაუშლია ლალად ფრთები,
 ბატონ ოსმანს, გაუტეხელს,
 რას დააკლებს ურჩი
 წლები.

– რამდენს გასცემ, დაფასდები, –
 მის ამ ნათქვამს
 იმით ვწვდები –
 ყველას ისე ეგებება,
 გაგითბება უმალ ძვლები
 და ვერ ვგუობ,
 გასაცემი დღეს რომ
 გასცე გინდაც
 დიდი,
 მისთვის იხვეჭს ყველაფერსო,
 – დაეჭვდება ათში შვიდი.

* * *

შვილიშვილებს – სესილის, ლიზას, მათეს

თაროს მისწვდა სესილი,
 ჩამოიღო თარაზო,
 ქოხის აშენებაში
 ლიზას შველას სთავაზობს.
 მათე აღკაზმულობით

მოგაგონებს კალატოზს,
 როს ეგონა, მორჩაო,
 წამოექცა ხარაჩო;
 შეეფაკლა ყვრიმალი,
 ვით დარცხვენილ ყაყაჩოს.

„ახლმშობდ...“

იდაყვებით შეხება –
 მისალმება ახალი,
 ახლა მიახლოება
 აღარ არის მოდაში,
 რაც შემოვრჩი ოჯახში,
 წიგნებს ვფურცლავ პროზაში
 (ხან მათე ბიჭს
 შევყურებ
 მოცეკვავის პოზაში),
 ლიზა კიდევ სესილის
 ეჯიბრება ვოკალში
 (მათი დღეგრძელობისთვის)
 ღვინოს ვისხამ ბოკალში).
 როცა გონს მიფანტავენ,
 ერთურთს რომ არ
 ვუჯერებთ,
 მგელს და ცბიერ მელიას
 აუშლიან ბუჯერებს
 და ვრწმუნდები, სოფელი
 ციციქნა ზღაპრის დარია,
 რაგინდ დევმა დაკეტოს,
 მაინც იდენს წყალია.

* * *

ფერდობებზე გაშლილ შრომანს
 ტოლს არ უდებს
 ლიზა შნოში,
 შვილიშვილის მონატრებამ
 ჩამიყვანა ბახმაროში.
 რაც შემეძლო, ავუხდინე,
 რის სურვილი

ჰქონდა გონში,
 ვერ ვიკმარე მოფერება,
 ველარ ჩავეტიე დროში
 და, როცა შინ
 ვბრუნდებოდი,
 აგრძელებდა ქარი ქოშინს,
 ამიჩქროლა მკერდში გული
 დაშორებით განათოში.

* * *

ლიზაკუნას კატა
 თათით ალებს კარებს,
 მიუჯდება სუფრას
 ქილიდან რძეს დალევს.
 გაილოკავს უღვაშს
 კვალის დასაფარად,
 თუმცა ორი ნვეთი
 ძირში დაეღვარა.
 ეშმაკურად რაგინდ
 აქიცინოს კუდი,
 არ შეჭფერის არვის
 ყოფაქცევა ცუდი.
 მართალია, სახე
 გაუთხუპნავს მურით,
 ბებოს გაკიცხვაზე
 გაუნითლდა ყური.

ჩხიპვი

შველის ძახილს ირგებს,
 ხან კაჭკაჭის ჩხავილს,
 ზოგჯერ გეგონება
 უცოდველი კრავი.
 მსახიობად მუდამ
 სურს, გვიჩვენოს თავი
 (გვინახია როლში
 მდედრს სჩუქნიდა ყვავილს).
 მოდგმისათვის არის
 მომხვეჭელი ხვავის,

მინდვრად საპოვნელი
კენკრისა თუ ჭვავის.
მწვერვლებზე მწვდომი
ბობოქარი წყალის,
კოჭმიუკარები
ჭიუხებში ცვარის,
ისე გაგაჯავრებს,
გაშმაგდება ცხვარი.

* * *

შვილის, ირინას, ხსოვნას

თუმც მარტი ისევ
მოვიდა,
იგრძნობა სუნთქვა
რტოების,
შენ ვერ გახდები
ვერასდროს
მკვიდრი წარსული
დროების.
შენ მუდამ ჩვენთან
იქნები,
თავს დაგტრიალებს
ფიქრები –
მაშინაც მოგვენატრები,
როს არ ჰყვავიან იფნები.

* * *

ერთ რამეს ვნატრობ –
როს სუნთქვის
დაიგმანება
კარავი,
მოხუცზე ადრე
იმქვეყნად
არ გაემგზავროს არავინ.



ნინო პვიდლოძე

ანტიგონე — პრ(ო)ტესტი

თვალეები დაითხარე, ანტიგონე,
რომ ველარ დაინახო...
ბაგეები ამოიკერე,
რომ აღარ იღრიალო...
მკლავები დაიჭერი,
რომ აღარასოდეს შეხვდე მზეს ხელეზგაშლილი...
ცხოვრება თამაშია, ანტიგონე,
ყველაზე სასტიკი თამაში,
რაც კი ოდესმე ადამიანებს მოუგონიათ...
ნუ იზამ ისე,
დაბერება ველარ მოასწრო –
ბედისწერისგან იმთავითვე განწირული კაცის
სვედამწვარო ქალიშვილო;
შენ, რომელსაც ასე გჯეროდა...
თვალეები დაითხარე,
რომ ვერასოდეს დაინახო, რადგან აქამდე გწამდა...
შენ:
აღარავის შვილო და არავის ცოლო და ველარავის დედავ...
ძუძუზე რძე კი არადა,
სევდა რომ შეგახმა –
საკუთარი უსუსურობის მარადი განცდა...
შენ –
ანტიგონე –
ოდესლაც რომ ასე გიყვარდა:
სიცოცხლე,
ჰემონი...
ჰემონი, ანტიგონე –
ყველაზე უდანაშაულო „დამნაშავე“,
სიყვარულს მსხვერპლად უყოყმანოდ რომ მიუყვანა საკუთარი თავი...
დაითხარე თვალეები, ანტიგონე,
თვალეებდათხრილი მამის თუ ძმის ბედგაუხარელო ქალიშვილო,
ბედისწერისგან იმთავითვე განწირულო,
ცოცხალი მკვდარო,

ძუძუგამხმარო,
 არავის შვილო,
 ვერავის ცოლო,
 ვერავის დედავ...
 შენ, რომელსაც აქამდე გნამდა და
 ახლა გამართლება ვერ მოუძებნე:
 საკუთარ ხელებს,
 ბაგეებს, თვალებს –
 ცოცხალი მკვდარო,
 ცხოვრება რომ საკნად გექცა,
 სული – ტუსალად...
 მოტყუებულო გულუბრყვილობავ,
 განზილებულო უბრალოებავ...
 ვერახედნილი სიყვარულის მარადო მონავ...
 დაითხარე თვალები, ანტიგონე,
 თვალები დაითხარე, რომ
 ველარ დაინახო;
 ბაგეები ამოიკერე, რომ ვერ იღრიალო;
 მკლავები დაიჭერი,
 რომ მზეს ვერ შეეგებო ხელებგაშლილი...
 შენ –
 რომელსაც ასე ძლიერ გიყვარდა, გნამდა –
 დაბერება მოგასწრო სულმა...

მას შემდეგ

(რაც ივდითმა ოლოფრენი მოკლა და სოფელში დაბრუნდა)

წუხელ კარს გიმტვრევდა ლოთი ანანია
 და რომ არ გაუღე,
 მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა:
 ოლოფრენთან ხომ ინექიო.
 მეზობლის ბავშვებმა ქვა გესროლეს...
 გაოგნებულმა მოიხედე და კარგად გაიგონე,
 როგორ გადაულაპარაკა ერთმა მეორეს:
 ბებია ამბობს, ეს ქალი მტერთან ინვაო.
 ჭორიკანა დედაკაცებმა ენები აიქაფეს,
 შენ კი...
 თმა გაიშალე, ივდით...
 გაიშალე ეგ შენი სპილენძისფერი დაღალეები,
 შეხედვითაც კი ვნებას რომ აღუძრავს შენი ქალაქის მამრებს,
 გაიშალე თმა და ისე გამოიტირე შენი ქალობა...
 შენი ძუძუები დაიტირე, ივდით,

აზლუდში რომ ვერ ეტყვიან...
 იტირე, ივდით,
 ბალიშში თავჩარგულმა იტირე, რადგან
 კაცის მკვლელიც გაგხადეს ნაცნობმა კაცებმა...
 შენ კი...
 ქმარმკვდარო,
 არცკი დაფიქრდი,
 არც შეყოყმანდი...
 და რა მიიღე?
 ბავშვებისაგან ნასროლი ქვა,
 ლოთი ანანია –
 ყოველ ღამე შენს კართან რომ უშნოდ აისვეტება და
 ჭორიკანა დედაკაცების მიერ გამოყოლილი გესლი და შხამი...
 გაიშალე დაღალები, ივდით და მიატოვე ეს ქალაქი...
 მიატოვე შენი ქმრის საფლავი,
 შენიანების საფლავები,
 მიატოვე, საფლავებიც, ივდით,
 ისინი უსათუოდ გაპატიებენ ამ მიტოვებას...
 თავს უშველე, მკვლელად ქცეულო ქვრივო...
 შორს ამ ჭაობისფერი ქალაქიდან,
 ამ ნებოვანი ქალაქიდან,
 ცოცხალი მკვდრების ქალაქიდან,
 რომლის ყველაზე მაღალი ქონგურიდან დღესაც შემოგყურებს
 ოლოფრენის მოკვეთილი თავი...
 გაიქეცი,
 გაიქეცი, ივდით!!!

პროცესია

ვუძღვნი მშობლებს

კითხვები თავს იკლავენ, როცა
 პასუხები არ გვაქვს...
 შენ ზიხარ და გრავიტაციის რაობაზე ფიქრობ...
 შენ ზიხარ და გგონია, რომ
 გიყვარს დედამინა...
 დედები კი შვილებს ჰყიდიან...
 მკვდარი ხარ შენ...
 იმ მკვდრებივით ხარ,
 აქეთურებს რომ მიგველიან,
 მათ საფლავებზე ფეხის დასადგმელად...
 აქეთ კი...
 შვილები ხან ფოთლებად იქცევიან,

ხან ფანჯრებიდან გადმოიფრენენ და
 მიდიან...
 უარაფრო თვალებით მიდიან,
 უარაფრო ანმყოთი და მომავლით და
 გვიტოვებენ კითხვებს,
 რომლებიც თავს იკლავენ, რადგან პასუხები არ გვაქვს.
 არავინა ხარ შენ,
 რადგან მამებიც ჰყიდიან შვილებს...
 მამაშენს კი შენთვის არცკი უყვირია...
 ყველა სამარე პირლია...
 სმენა დახშულია და სიტყვები ყინვის ეკლებად ქცეულან...
 რალა უნდა თქვა...
 ზიხარ და არცთუ დახვეწილი პროფილით,
 გრანელის პოეზიას აგემოვნებ...
 ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა:
 მშობლები შვილებს მიასვენებენ...
 ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა...
 გაყიდული შვილების პროცესიამ...
 შენ კი ზიხარ და...
 მერე ისინიც დაგველოდებიან –
 ჩვენ ჩვენი შვილები,
 ფანჯრებიდან გადმოიფრენილები,
 ხეებს ფოთლებად გამობმულნი,
 შვილები,
 იქით რომ უნდა ევლოთ ჩვენს საფლავებზე...
 დაგველოდებიან –
 და სამდურავიანი მზერით პასუხებს მოგვთხოვენ კითხვებზე,
 რომლებიც
 უპასუხოდ მათსავით თვითმკვლელები გახდებიან...

მოდო, ვითამაშოთ

თქვენ გიძღვნიო, დიდებს

აქედან დავიწყოთ:
 „ენკი ბენკი სიკლისა,
 ენკი ბენკი და“ ...
 ან კიდევ:
 „აინები, მაინები,
 ჭიქები, საინები,
 ნარმა, მიტკალი,
 რა გინდა, მითხარი“ ...

და ესეც:
 „ჰოპა, ჰოპა, ჰოპა,
 ამერიკა, ევროპა,
 ანგლია, კიტაი,
 შტო ტი ხოჩემ, ვიბირაი“...
 და ირჩევ:
 ნარმის ნაცვლად
 მიტკალს,
 ინგლისს ამჯობინებ ჩინეთს
 და მიტკლის ფერი კაბით
 გადადიხარ
 ჭრელი მარაოებისა და
 მამაცი სამურაების სამყაროში,
 სადაც ცხოვრება იეროგლიფებს ჰგავს...
 შენ ირჩევ...
 და ესაა მთავარი,
 რადგან საზღვარი უკვე ნაშალე
 და ხარ იქ, სადაც გინდა, რომ იყო
 და გაცვია მიტკლის ფერი კაბა...
 ეს იყო...
 ეს უკვე აღარ იქნება, რადგან
 შენ გქვია დიდი
 და დიდები ვერასოდეს აკეთებენ არჩევანს ისე,
 რომ იყვნენ იქ, სადაც სურთ, რომ იყვნენ...
 და იყვნენ ისე, როგორც სურთ, რომ იყვნენ...
 მე ახლა
 მაცვია ჭრელი კაბა – ნარმის და
 ვარ აზია-ევროპის გზაგასაყარზე...
 არადა, მინდა გავითვალო ისევ:
 „რა გინდა მითხარი“
 ან:
 „შტო ტი ხოჩემ, ვიბირაი“
 და უჩვეულო მონატრებით ის დრო მოვინატრო,
 როცა ყველაფერს მარტივად აკეთებ:
 მიდიხარ უცნობთან და უწვდი მარჯვენას...
 მიდიხარ უცნობთან და ეფერები...
 სთავაზობ სათამაშოს,
 შენს წილ ხაჭაპურს,
 მოკბეჩილ ვაშლსაც და
 მერე თამაშობ მასთან ერთად დაღამებამდე
 და თქვენ უკვე მეგობრები ხართ,
 ძალიან ახლო მეგობრები,
 რომლებიც ხვალაც ერთმანეთის ნახვის იმედით
 მიჰყვებიან დედებს სახლისკენ...

ეს მაშინ იყო...
 და ახლა, როცა
 ასე რთულია მიხვიდე და გაუნოდო მარჯვენა უცნობს,
 ან მიესალმო,
 გაულიმო,
 ან...
 რის სათამაშოს შეთავაზება,
 ან ხაჭაპურის,
 მოკბეჩილ ვაშლსაც ჩაუძახებ ნაგვის ურნაში...
 ეს მაშინ იყო...
 ახლა დგახარ და
 თავს იმართლებ არაფრისმთქმელი სიტყვებით მუდამ:
 რომ სირცხვილია,
 არ შეიძლება,
 უკადრისია...
 და ველარ ხედები, რომ აღარა აქვს ფასი ამ სიტყვებს,
 რადგან საკუთარ სულს დაუდე საზღვარი ამით,
 რადგან დაკარგე მისასვლელი სხვებისკენ გზები...
 და აღარ გინდა გერქვას დიდი...
 ხელის აქნევით იშორებ წლებსაც,
 თითქოს კალთიდან მტვრის უამრავი ნაწილაკი
 ჩამოიფერთხე
 და ისე ამბობ,
 ეს-ესაა ვითომ დაინყე:
 მე ავირჩიე მიტკლის კაბა
 და ჭრელი მარაოების ქვეყანა ვამჯობინე ნისლების მხარეს,
 წავშალე ყველა საზღვარი დროში,
 ყველა ჩვენს შორის არსებული სიტყვების წყებაც,
 როგორიცაა:
 არ შეიძლება,
 სირცხვილია,
 უკადრისია
 და გინილადე ჩემი წილი ხაჭაპურიც
 და მოკბეჩილი ვაშლიც – გულლიად
 და გეუბნები,
 შენ, რომელიც მერე რა, რომ უკვე დიდი ხარ:
 მოდი, ვითამაშოთ...
 და მე გავითვლი
 და ავირჩევ:
 მიტკალს და ჩინეთს
 და გადაგიყვან ჭრელი მარაოებისა და
 მამაცი სამურაების სამყაროში,
 სადაც ცხოვრება იეროგლიფებს ჰგავს...
 მოდი, ვითამაშოთ...

ციკლიდან: იაჲნანები

სიკვდილისწინა „იაჲნანა“

ხელებში მაკვდება ნოემბერი...
 სიკვდილისწინა „იაჲნანას“ ვლილინებ
 და ტანს ვაყოლებ გამოგონილ ჰანგებს...
 დღის ყველა მონაკვეთი ისე შემზარავად ჰგავს ერთმანეთს...
 დღეს აღარა აქვს დრო და ვერ ვხედავ განსხვავებას
 გათენებასა და დაღამებას შორის.
 ხელებში მაკვდება ნოემბერი...
 ხეები ჩემს თვალწინ შიშვლდებიან და შემზარავად მოჰგვანან
 შვილმკვდარ დედებს,
 ისე შემზარავად, თვალს ვარიდებ,
 რომ აღარ დავინახო...
 შვილი რომ მყოლოდა, იმ ასაკისა იქნებოდა,
 აგრესიას რომ ვერ მალავს და მთელ ჩემს თაობას დედას აგინებს,
 გაურკვეველი მიზეზების გამო...
 მაგრამ შვილი რომ მყოლოდა, სხვანაირად გაეზრდიდი...
 და მადლობა ღმერთს, რომ არ მყავს,
 გადაუვლიდნენ...
 მე კი ღია ჭრილობასავით მუდმივად მტკივა
 ჩემი სისხლისფერი სიყვარულის ხანმოკლე თავგადასავალი...
 ადამიანის ტრაგედია უღმერთობიდან იწყება...
 ხეები ზეზეულად შიშვლდებიან და ტრაგედიები არცკი ანაღვლებთ,
 ეს მხოლოდ ჩემთვის ჰგვანან ისინი შვილმკვდარ დედებს და
 ეს მსგავსება ისე შემზარავია, რომ თვალს ვარიდებ...
 კვდება ნოემბერიც...
 სიკვდილისწინა „იაჲნანას“ ვლილინებ გამოგონილი ტექსტით
 და გამოგონილი ჰანგებით და ტანს ვაყოლებ...
 შვილი რომ მყოლოდა,
 „იაჲნანა“ ეგებ მისთვის მემღერა, მაგრამ ახლა,
 როცა ხეები მიკვდებიან,
 როცა შემოდგომა მიკვდება,
 როცა დღე უდროოა
 და განსხვავებას ვეღარ ვხედავ გათენებასა და დაღამებას შორის,
 სიკვდილისწინა „იაჲნანას“ ვუმღერი ნოემბერს...
 და დეკემბრისთვის ვიმზადებ სხეულს,
 რომ აღარ შემეშინდეს...

ქვივის იაჰანა

ვუძვნი შინდისის გმირებს

მე ვერ გიმღერებ...
 დიდხანია, რაც ველარ ვმღერი...
 წაგილილინებ აი, ამგვარად:
 „ეს აკვანი ლებანოზის,
 შიგა მწოლი ანგელოზი“
 და დაგაჯერებ, რომ შენ
 მართლა ანგელოზი ხარ...
 და მამაშენი,
 თავისი ხის სუნიანი ხელებით
 ამ აკვანს რომ თლიდა,
 სწორედ იმაზე ფიქრობდა,
 მისი ბიჭი ანგელოზს
 როგორ მიაგავდა
 დიდი,
 უძიროდ ლურჯი თვალებით...
 მე კი,
 შრომასშეუჩვეველი ჩემი
 ხელებით
 საფენებში უხერხულად გახვეული აკვანში ჩაგანვინე
 და არტახები ვერ შემოგკადრე...
 რა ვაჟკაცის საქმეა არტახები...
 მე ვერ გიმღერებ...
 შემძლია წაგილილინო:
 „ეს აკვანი ბჟოლისაო,
 შიგა მწოლი ბროლისაო“
 და მოგიყვე,
 როგორ თლიდა მამაშენი
 ბჟოლისგან აკვანს...
 როგორ ეფერებოდა და დაჰლილინებდა თან;
 მოგიყვე როგორ ელიმებოდა, როცა
 ჩუქურთმები გამოჰყავდა...
 არ დაიჯერო, რომ დედებს
 სიმღერა შეუძლიათ...
 მე ვერ გიმღერებ,
 დიდხანია,
 რაც სიმღერას გადავეჩვიე...
 მე მხოლოდ ვიდილინო შემძლია
 აი, ამგვარად:
 „ეს აკვანი ხარატული,

შიგა მწოლი ჩახატული“...
 და გიამბო ამბავი მამაშენზე,
 რომელსაც თავისი დაკოჟრილი ხელებით
 რუდუნებით გამოჰყავდა ყველა ჩუქურთმა...
 და თავთან ახლა არნივი გიზის;
 გვერდებზე – ლომი,
 ხოლო ფეხებთან –
 შვლის ნუკრიც კი წამონოლილა...
 მე ვერ გიმღერებ...
 დიდიხანია, გადავეჩვიე...
 მამაშენი შინდისში დარჩა,
 თან სამუდამოდ...

საიავნანო

მე „იავნანას“ შვილებს ვერა,
 ძმისშვილებს ვუმღერი,
 მათთვის ვლიღინებ...
 როცა ოთხი წლის ელენეს ძილისპირული ჩაუდგება
 თავის ბრიალა თვალებში,
 ხელში ამყავს,
 თავს კისერში ჩამიდებს და ძილსდანებებული ხმით მიჩურჩულებს:
 იავნანა მიმღერე, ბაი...
 და ვინყებ ლიღინს...
 ვლიღინებ ამ საოცარ სიმღერას,
 ყველას რომ ამშვიდებს და
 მეც ვმშვიდდები...
 თვალმიღული ელენიკოს მოფხიზლებული ხმა კი საამქვეყნოს მაბრუნებს:
 – შენ იავნანა არ იცი, ბაი, იავნანა დედამ იცის,
 შენ ანგელოზისა მიმღერე...
 ვჩუმდები...
 და ჩემი მეგობრის ის სასწაული ლექსი მახსენდება,
 დღემდე რომ მდაგავს და მაშფოთებს:
 „იავნანას ვერ მღერიან ძიძები,
 იავნანა დედამ უნდა იმღეროს“...
 ვინ იცის,
 მერამდენედ ვახერხებ
 სულის შორეულ სიღრმეებში სევდის ჩაბრუნებას და
 ჯადოსნური სიტყვების სამყაროში მერამდენედ გადავდივარ:
 „ეს აკვანი ლებანოზის,
 იავნანინაო,
 შიგა მწოლი ანგელოზი,
 იავნანინაო.

ეს აკვანი ბჟოლისაო,
 ვარდოვ, ნანინაო,
 შიგა მწოლი ბროლისაო,
 ვარდოვ, ნანინაო.
 ეს აკვანი ხარატული,
 ნანინანინაო,
 შიგა მწოლი ჩახატული,
 ნანინანინაო“...
 და ლილის ალარ, სიმღერას ვინყებ იმ სიმღერისას,
 რომელიც სადღაც შორს მაბრუნებს:
 ქობის წინ, მუხის ჩრდილში,
 სადაც არასოდეს მიცხოვრია...
 და მე იმ ჩემი მეგობრის
 ლექსი მახსენდება კვლავ
 და ვინ იცის,
 მოწოლილ სევდას, ცრემლებთან ერთად,
 მერამდენედ ვიბრუნებ სულში...
 აკვანს კი იქ, შორეულ ზმანებებში,
 ქობის წინ, მუხის ჩრდილში არწევს კოჭებამდე ნანწავებიანი
 დედა...
 მე „ანგელოზისას“ ვლილინებ...

ბეზოს იაჰნანა

და მთელი ცხოვრება რომ მიუყვებოდა
 შეღმართებს...
 დაღარა წლებმა და სევდამ და ტკივილმა...
 და ახლა, როდესაც მის ხელებს სუნი აქვს
 ახალამოსული ბალახის,
 შვილიშვილს აძინებს
 ისე უჩვეულო იაჰნანით,
 ისეთი სიტყვებით,
 რომ მინდა მეც ვიყო პატარა,
 ძალიან პატარა და
 გულში ჩამიკრას...
 ის კი ზის,
 შვილიშვილს უმღერის ნანინას
 და ჩუმად ლილინებს:
 დაიძინე, ჩემო ყველავე,
 ხვალის იმედო,
 დაიძინე, მზის ამოსვლავ,
 ლამის თენებავ.
 იაჰნანა, ვარდო ნანა,

ნანა ნანინა,
ჩემი ფიქრი და ოცნება
შემოგვევლება.
დაიძინე, მზეჭაბუკო,
თვალეზციმციმაო,
შენი ძილის დარაჯი ვარ
მთელი ცხოვრებაო.
იავენანა, ვარდო ნანა,
ნანინანინა,
დაიძინე, გენაცვალე,
შენ პანანინა... –
და ვზივარ ფანჯარასთან,
ისე, რომ ვერ მამჩნევს და ვუსმენ...
და სული მითბება...
ის მიუყვებოდა ცხოვრების შეღმართებს...
და ახლა, როდესაც მის ხელებს
ახალამოსული ბალახის სუნი აქვს...
შვილიშვილს აძინებს ფაქიზად
და ბებოს იავენანას უმღერის:
ღმერთო, გამიზარდე სასახელო ბიჭი!!!

მიტოვებულები

დაბინდდა...
კამეჩივით ზოზინებს ბინდი...
ზამთრის ეულმა ღამემ იმძლავრა...
დაგუბდა სევდა –
ალარც ტკბილი, არც მოღიმილო –
გულგამგმირავი უფროა ახლა:
მიტოვებული სახლების სევდა...
მათი ფანჯრებიდან სიბნელე იცქირება;
მათ ეზოებში შიში გაყურსულა;
მათ ოთახებში სიცარიელე დაბოდილობს.
სახლი,
რომელიც სავსე იყო ბავშვების ხმებით,
დამუნჯებული დგას და კანკალებს:
უხალხო სახლში სიცივე მეფობს,
აქ ხომ არავინ დაანთებს ბუხარს...
ალარც მამალი ათენებს დილას...
წვება სოფელში ზოზინით ბინდი
და სევდა ცეცხლად ედება ძარღვებს:
მიტოვებული სახლების სევდა...



დადი ფრუნიძე

ფიქრის თვალით...

როგორ მომენატრა ის სახლი,
ჩემი ბავშვობა და ნასპერი,
მიბრუნებია მზეს სახით,
მამა და სოფელს გასცქერის...

მზე ლოკავს აივნის რიკულებს,
სხივები დამსხდარან ცხაურზე,
რა სევდიანად მიყურებს
დედა, თან ამზადებს საუზმეს.

ლიმილით ვინმინდავ სახეს და,
მალულად ვიმშრალეზ ორ კურცხალს,
ფიქრიან თვალებით გავხედავ,
ჩემს ერთგულ და ლამაზ მოხუცებს.

ქობულეთის სანაპირო

ზღვა გვრგვინავს, ელვა თარეშობს,
მდუმარედ დგანან ფიჭვები,
ვერ გავძლებ, მე, შენს გარეშე,
ტალღებში გადავიჭრები...

იდგა ავდრების სეზონი,
ვისმენდი ზღვათა ბლავილებს,
სანაპიროსთან სეზანი,
მე მიხატავდა ყვავილებს...

დრო მოვა ზღვაც დაილლება
და თავს მუხლებზე დამიდებს,
სულ ასე ხომ არ იქნება,
ხანდახან გაიამინდებს...

შემოდგომა გიგუთში

მე მოვალ, ადრე,
 შვიდზე ან რვაზე,
 ფეხით შევიტკობ
 ცვრიან კოინდარს,
 მე მოვალ, დიდი
 თამარის კარზე
 და დავისიზმრებ
 შორით კორინთოს...
 მივეახლები
 სათნო დედოფალს,
 სევდა რომლისაც,
 დღემდე მაოცებს,
 მერე, მთელი წლის
 საგზლად მეყოფა,
 წასვლისას, მზე
 რომ მხარზე მაკოცებს...

შენ მეუფებ...

ჩემი ხარ და ჩემი იყავ,
 შეგიგულე რახანია,
 ახლა მაინც ნუ გამრიყავ,
 მ ა ხ ა რ ი ა!..

ყველა ლექსი შენ გეკუთვნის,
 ძველია თუ ახალია,
 ჩემი მინის ხარ მეგუთნე,
 მ ა ხ ა რ ი ა!..

შენ მეუფებ იალალებს,
 შენი სახლიც მაღალია,
 ენძელებს და იას არხევ,
 მ ა ხ ა რ ი ა!..

ჩემი ხარ და ჩემი იყავ,
 შეგიგულე რა ხანია,
 ანი მაინც ნუ გამრიყავ,
 მ ა ხ ა რ ი ა!..

ვისთვის რიგორ...

ზოგჯერ შემიპყრობს სევდა და დარდი,
მემუქრებიან თითქოს დანაცვრით,
ქვეყნად რამდენი უვიცი დადის,
გახარებული დადის რალაცით...

ზოგჯერ მეც მინდა გავინავარდო,
მაგრამ ვილაც თუ რალაც არ მაცლის,
ქვეყნად რამდენი გაურანდავი
და უნიგნური ხარობს რალაცით...

სიცოცხლის დღენი ისე მჭიდროა,
არავინ უწყის, ვისი ჯერია,
ნუთისოფელი ვისთვის ჯილდოა,
ჩემთვის ტკივილი და სასჯელია!..

სურამის ციხესთან

ნიგნიდან ვიღებ ყვითელ ბარათებს,
ძველ ხელნაწერებს ვემშვიდობები
და სიყვარულის ნრფელ ამანათებს,
შორიდან ვუცქერ, ვერ ვშლი, ვღონდები...

ამდენი დარდით სული დავგეშე,
სიტკბოდ ვაქციე გული – გულაბი,
შენ ჩემი ხსოვნის ოკეანეში,
ჩაკირული ხარ, როგორც ზურაბი...

ჩადგა ქარი

ჩადგა ქარი.
დაცხრა ხორცი, განა სული,
ხელი მკარი
და დამტოვე დანაცრული...

გაინალდე,
შენი გზა და სარბიელი,
დაიცადე,
გვმოდღვრავს ბერი გაბრიელი.

როგორც კვარი,
 როგორც ცეცხლი, შენახული,
 ჩადგა ქარი
 და კვლავ რჩები შენ მარხული...

ჩადგა ქარი.
 საქმე არის რაღაცაში,
 ხელი მკარი,
 გელოდები ახლა ცაში...

თვითშემეცნება

სულ გაგირბოდა თვალი,
 ცისკენ და ზეცის თავნისკენ,
 მოიცა, შესდექ ლალი,
 ისედაც ბევრჯერ გარისკე!

მერე აგებნა კვალი
 და გაეშურე თავლისკენ,
 მოიცა, შესდექ ლალი,
 ისედაც ბევრჯერ გარისკე!

ბოლოს მოგიგდეს ძვალი,
 თან მიგანიშნეს კარისკენ,
 მოიცა, შესდექ ლალი,
 ისედაც ბევრჯერ გარისკე!

დღესაც გაგირბის თვალი,
 მამაუფალის თავნისკენ,
 მორჩა, გათავდა ლალი,
 ნაბიჯით იარ, კარისკენ...

სანთლებს ვბნთებ

ზაფხულში თუ ზამთარში,
 ვერცროს გაგცვლი სხვა თვალში,
 სანთლებს ვანთებ, ვლოცულობ,
 ს ხ ა ლ თ ა შ ი...

სამებაში, სამთაში,
 ზაფხულში თუ ზამთარში,
 მუხლზე ვდგავარ, ვლოცულობ,
 ს ხ ა ლ თ ა შ ი...

ზაფხულში თუ ზმთარში,
 თავს ჩაგიდებ კალთაში,
 მუდამ შენზე ვლოცულობ,
 ს ხ ა ლ თ ა შ ი...

დილის ძილი

როდესაც ღამე
 ნელში განყდება,
 გაიცრიცება,
 როცა რიჟრაჟი,
 ცა გაიღიმებს
 და გაბაცდება,
 სოლოს რომ იწყებს,
 შაშვი გიჟმაჟი;
 მომეახლება
 ძილის ნექტარი,
 დამბანგავს
 ძალა უზეშთაესი,
 მუჭში მომიმწყდევს
 სიზმრის ბეგთარი,
 გამომალვიძებს
 სხივთა ალერსი...

* * *

ისე, როგორც ვივალდის,
 უნაზესი ჰანგები,
 სულში შემომივარდი,
 ზეციერის განგებით...

ისე, როგორც პეტრარკას,
 ღვთაებრივი ლირიკა,
 შენი სიტყვა მეტაკა,
 სულში გაიბილიკა...


ახლა ვსუნთქავ მშვენივრად,
ქვიშნარიტაც, რიყიტაც,
სავსე ვარ და შენი ვარ,
აქეთაც და იქითაც...

ჩემი სამზარეულო

ცა – გულის ღია სარკმელი,
მტრედები ფანჯრის რაფაზე,
მზე – ვარსკვლავების გზამკვლევი,
ღრუბელი – ზეცის ნაფაზი...

ვდგავარ და მტრედებს ვაპურებ,
ვარ მეგობარი ფრთოსნების,
ყვავები გავაპანლურე,
ჩხაოდნენ ეგ ოროსნები...

ვდგავარ და ცრემლად ვიღვრები,
ელავს ბებუთი, დამჯერი,
თქვენ დარდით ნუ დაილღებით,
უბრალოდ, სახვი დავჭერი...



გიზო თაყაიძე

„ჩაჩნის“ სიკვდილი

ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო.

ლაპარაკისას, თითქოს, ასობგერებს ყლაპავდა რალაცნაირად, რაც ბავშვებში სიცილს იწვევდა და თვალცრემლიანი ტოვებდა ლახტის მოედანს თუ ეზოს ტერიტორიას. ჩამოვიდოდა მერე დედამისი და წყევლა-კრულვით იკლებდა იქაურობას: თქვე არგასაზრდელებო, რას ერჩით ჩემს სანყალ ივას (ზოგი ივტიხის ეძახდა, ბაბუის სახელს, რაც საპასპორტოდაც შეერჩიათ მისთვის), რა დაგიშავათ, მისი გაჭირვება ეყოფა, თვალეები ტკივა და კიდევ თქვენი დაცინვა უნდა, მის დღეში მენახეთ დაუბანლებო და გამოვარდებოდა კიდევ, რომელიმე „დაუბანელის“ დედა და უნდა გენახათ საეზოვე კონცერტი (რომელიც, არცთუ იშვიათად იმართებოდა).

მეზობლის ქალები ხშირად იკრიბებოდნენ ეზოში და ზაფხულის ცხელ დღეებში, ცაცხვების ჩრდილში, ჭორებით იგრილებდნენ დასიცხულ გულებს:

– ივაიე დებილისთვის საშემოდგომო გამოცდები დაუნიშნავთ და თუ ვერ ჩააბარებს, ჩარჩება მეხუთე კლასში!..

– გაიგეთ ქალებო, რვასართულიანის ეზოში რომ გარაჟებია, იქ შეპარულა და არაყები მოუპარია!..

– პაპიროსსაც ქაჩავს ჩუმ-ჩუმად, ფანჯრიდან დევიანხე ამასწინათ...

– ელეონორას შვილიშვილი მიყავდა სალამოს ხელჩაკიდებული და რამე არ მოსწიოს იმ გოგოს, უნდა გავაფრთხილო ბებიათაში!..

იქვე ვისხედით, დომინოს ვთამაშობდით და გვესმოდა ყველაფერი, თუმცა, ჭორებზე ვერაფერს ვპასუხობდით დედებს.

ამ დროს, არც საშემოდგომო გამოცდები დაუნიშნავთ მისთვის, პირიქით, შეეცოდათ მასწავლებლებს სათვალისანი ბიჭი, რომელიც ცუდად სწავლობდა, მაგრამ ზრდილობიანი იყო და დაუნერეს დამაკმაყოფილებელი ნიშნები. არც არაყს სვამდა და არც სიგარეტს ეწეოდა (მეექვსე კლასიდან დაიწყო), ხოლო, ელეონორას შვილიშვილი, მისი ყველაზე ახლო დაქალი იყო, რომელიც არასდროს დასცინოდა.

რაც იზრდებოდა, მით უფრო მეტად ეტყობოდა გენეტიკური სხვაობა თანატოლებთან. ისედაც შავს, კიდევ უფრო გაუშავდა სახეც და თმებიც. უკვე დაურიდებლად ეძახდნენ მეტსახელს, რაც საოცარ აგრესიას იწვევდა მის მშობლებში, ჰოდა, ისმოდა წყევლა და გინება, მეორე სართულის ღია ფანჯრებიდან.

ერთხელაც, იმ ღია ფანჯრიდან ზურგით გადმოვარდილი ივა, სასწრაფოთი წაიყვანეს და სამი თვის მერე, დაკოჭლებული დაბრუნდა ეზოში. გალახული ძალღივით მიითრევდა ფეხს.

ბიჭები შევკრიბე და დავაფიცე: ვინც აწი ივას ჩაჩანი დაუძახოს, დედა მოუკვდეს-თქო (მესამე კლასელები ვიქნებოდით) და კარგა ხანს, მართლაც არავის დაუძახია, თუმცა, მისი ტოლები, ჩუმად, მაინც მეტსახელით მოიხსენებდნენ.

ეზოში კი, დომინოს და ნარდის მოთამაშე კაცებიც ალაპარაკდნენ:

– კაცო, კი არ გადმოვარდნილა, გადმომხტარა მეორე სართულიდან...

– კი, თავის მოკვლა ნდომებია, ბიჭიკოს შვილს, ჩხუბის დროს შეუგინებია, შენი ჩაჩანი დედაო!..

– ხო, მასე ყოფილა, თანაც ისიც მიუხვლია, შენ ნაშვილები ხარ და ქართველებთან რა გინდაო!..

– მაგის ცოდვა მიეცათ ნაზიკოს და ჯონდოს, თუ ბავშვის აყვანა უნდოდათ, ქართველი მაინც მოეძიათ, ბოშებში რა უნდოდათ!

– კარლო ბატონო, მე, გენეტიკას ინსტიტუტში ვსწავლობდი და რასების გარჩევა არ მიჭირს, მაგ ბალანა, ციგანი კი არა, თათარია!..

მოკლედ ყველაფერი გვესმოდა პატარებს, მაგრამ, ვინ რას ვიტყოდით.

ეგ კია, ივას მიმართ, რალაც მშობლიური სითბო მიგროვდებოდა გულში, რაც არ გამოპარვია თვითონ მას და როცა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, თავისი ველოსიპედი მე მაჩუქა.

ორი წელი არ ისმოდა ეზოში ნაზიკოს წყევლა და ქოთქოთი.

მეცხრე კლასიც გავასრულეთ და გაისმა კიდეც: ჩაჩანი დაბრუნდა!

ისე დავაჟაკებულეყო, ლამის ვერ ვიცანი. ველოსიპედი (მომეტებულად რომ ვუვლიდი) მივუყვანე და: ეს შენ გაჩუქეო! – არ დაიბრუნა.

მშენებლობაზე მოეწყო მუშად და მხოლოდ კვირა დღეს თუ დავინახავდით ეზოში. უმეტესწილ მდუმარედ იჯდა და სხვებს უსმენდა. კომპლექსს ვერ მოერია, ვერ აჯობა, ალბათ ეშინოდა დალაპარაკების, დამცინებენო. უკვე არავინ აბრაზებდა, მისი ტოლები ცხოვრების გზაზე გაფანტულიყვნენ.

ამასობაში, სკოლაც დავამთავრე და სამხედროშიც გამიწვიეს.

კიბეზე შევეფეთეთ ერთმანეთს. წყალი აჰქონდა მეორე სართულზე, სათლით.

– ივა, ერთ კვირაში ჯარში მივდივარ და ამოდი ჩემთან, ცოტა დავლიოთ, გზა დამილოცე!

თავი დამიქნია და სახლში შევიდა.

ათიოდ წუთში დამიკაკუნა.

მესამე სართულის ლოჯში გავშალე სუფრა: ლობიო, მჭადი, მწნილი, ყველი და მჟავე კიტრი. სხვა რისი გამკეთებელი ვიყავი, დედაჩემის მოსვლამდე.

სამი ჭიქა ცოლიკაური და სხვანაირად ავჭიკჭიკდით. ივა ასეთი მოლაპარაკე, არასდროს მენახა, მგონი, ასობგერებსაც აღარ ყლაპავდა:

– ეგ ბებუთი ჩემი გაკეთებულია და სამახსოვროდ გქონდეს!

– ბიჭო (მთვრალი ვიყავი უკვე), შენგან საჩუქარი მაკლია მე (ველოსიპედს ვგულისხმობდი).

– ეს რა საჩუქარია, ძმაო, ზეგ ხელფასს ავიღებ და რალაცას გაჩუქებ.

ერთმანეთს ლეკვებივით ვლოკავდით, დედაჩემი რომ დაბრუნდა სამსახურიდან და გაკვირვებულმა კვერცხი შეგვიწვა.

ლოჯშივე გამეღვიძა გამთენიისას (დედამ, ვერაფერი მოგიხერხე და ტახტზე მიგანვინეო). გამომშრალ ყელში ცივი წყალი გადავუშვი და ახლად გაღვიძებულ მამას ხმამალა ვუთხარი:

– ჩაჩანი ეძახე შენ, ეზოში ყველაზე კეთილი ბიჭია-მეთქი!

– რა გაყვირებს, არავინ გაიგონოს, ფანჯრები ღიაა!

ჩაჩანი მისთვის არასოდეს დამეძახა და ახლამ რამ მათქმევინა, მთელი დღე ვდარდობდი, თან მრცხვენოდა, ვაითუ გაიგონა-მეთქი.

მესამე დღეს სახლში მომადგა და კობტად შეფუთული „ვრანგლერის“ ჯინსი მომართვა (მისი ხელფასის ნახევარი რომ ეღირებოდა...)

– ივა, შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ! – ვუთხარი და ჩავეხვიე.

ორიოდ დღეში, ვილნიუსისკენ მიმქროლავ მატარებელში ვინექი, ძილი არ მეკარებოდა და ივას საქციელზე ვფიქრობდი.

ორი წლის განმავლობაში, ყველა წერილში ვკითხულობდი ივას ამბავს.

დავბრუნდი.

ახალთახალი „ვრანგლერი“ ჩავიცვი და ივა მოვიკითხე.

დედა ატირდა...

მამამ თავი დახარა...

სამსახურში უჩხუბიათ ბიჭებს, ვიდაც ხეპრეს, შე ჩაჩნის შვილოო და ივას ისე უცემია, სასწრაფოთი გაუქანებიათ; მერე ამდგარა და მშენებარე სახლის მეშვიდე სართულიდან გადმოშვებულა...

ბები, მერცხლები და ფელამუში

მინდოდა, თან როგორ, ბებიაჩემი საუკუნეს გატოლებოდა...

ზაფხული იდგა.

მერცხლები ბარტყებს აფრთიანებდნენ.

შუალამისას, აივანზე ვიჯექი, თან მერცხლების ბუდეს ავყურებდი, რომელშიც ოთხი, შებუმბლული მოჭიკჭიკე იზრდებოდა.

უეცრად ოთახის კარები გაიღო და ბებია გამოვიდა, ხელჯოხის კაკუნით.

– რეიზა არ გძინავს ბებია (გურული გიორგაძე გახლდათ).

– ვნერ, თან ჯერ არ მეძინება.

– მაგენი, – ბუდეს ახედა, – ოთხმოცდათოთხმეტი წელია, მასე მიფრი-მოფრინავენ, დაჩეკავენ ბარტყებს, გაზრდიან და მიგვატოვებენ შემოდგომაზე...

– რა ქნან გოგუცა, ესენი, ყინვას ვერ უძლებენ, დარჩენა, დალუპვაა...

– ჩვენი ბელურები რომ უძლებენ, თოვლში და ყინვაში ფეხს რომ არ იცვლიან, იმგენზე უნდა წერო ლექსები და არა მომთაბარე მერცხლებზე...

– მერცხალზე არც არასდროს დამინერია რამე და არც ვაპირებ, თუმცა, ლამაზად კი დაფრინავენ და...

– მოდი, წნევა გამიზომე, მაბრუალებს რაცხა...

წნევის აპარატი გამოვიტანე, მკლავზე პერანგის სახელური ავუწიე და სული ამეწვა, ასე გალელული ბებიაჩემი, არასდროს მენახა.

– 140/100-ზე, წამალს მოგიტან, რომელს სვამ?

– „კორინფარია“ სანოლთან რომ სკამი დევს იქ, კოლოფში.

დალია და ხელჯოხის კაკუნით შებრუნდა ოთახში.

ბებია, ახლა 94 წლისაა (მე 46-ის გავხდი). ორთავე იანვრის შვილები ვართ (დიდთოვლობას ვარ დაბადებულიო, ამბობს).

რაც თავი მახსოვს, სულ მსახურებაში გაატარა თავისი წუთისოფელი, რაც, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. უგემრიელესი კერძებით იყო განთქმული, ქორწილებსა და ძეობებს (მაშინ ვინ ქირაობდა პოვარს სოფელში) მისი ნახელავი ამშვენებდა. სტუმარს რომ ჩავიყვანდი, ბოსტინსკენ გაფრინდებოდა, მწვანილეულს დაკრეფდა და წყაროს, გამდინარე წყლით გარეცხდა, კეცებზე ხაჭაპურებს დააცხობდა და ლადარს მიუკალათებდა, ზომიერად რომ შეპინკინებულყო.

სამოცდაათს გადაცილებული იყო, სტუმრად რომ ვანვიე: ოტია იოსელიანი, ავთანდილ ყურაშვილი, გოვენ ჭეიშვილი, თემურ ამყოლაძე, ფრიდონ ხალვაში, რეზო ჭეიშვილი, ელგუჯა თავბერიძე და ნანა მჭედლიძე; ნანა ისე მოიხიბლა, „იმერულ ესკიზებში“ გათამაშებდი ბებიას როლსო!.. – გაეხუმრა.

რვეული დავხურე და ფიქრებს გავედევნე...

მახსოვს, რამდენიმე თვე მიგროვებდა პენსიის ფულს, ჩემთვის ჯინსის შარვალი რომ ეყიდა...

ახალგაზრდობა გაუმწარდა, ადრე დაქვრივდა და მეორე მსოფლიო ომის დროს ობლები გაზარდა. ბიბლიოთეკაშიც მუშაობდა და ჩანსაც კრეფდა გაგანია სიცხეში, ბოლოს კი, სოფლის სასაფლაოში იმუშავა...

მომეხმარე, წამომაცენო, მითხრა რამდენიმე დღის წინათ. ხელი შევაშველე და ხელზე ამყვა, როგორ ამჩატებულა-მეთქი, გავიფიქრე; ეტყობა, გასაფრენად ემზადება, არადა, როგორ მინდა საუკუნეს გაუტოლდეს; სულ, რაღაც ექვსი წელია საუკუნემდე...

ოთხმოცი წლის იუბილე ბუკიას ქუჩაზე გადავუხადე, ყველანი შევკრიბე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ვუთამადე კიდევ და ვიდუოფილმიც გადავიღე (ბარე ოცჯერ ნახა ეს, ორსაათიანი, ზურიკო აბულაძის გადაღებული ფილმი). მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა...

შემოდგომამაც შემოალო კარები და ისევ ვენვიე სოფელს.

ბებია, ორი ჯოხით, ახალფეხადგმულივით გამოვიდა აივანზე. ბუდეს ახედა რალაცნაირად, მერცხლები გასაფრენად შემზადებულიყვნენ...

ეჰ, რა შორს ჩანდა საუკუნე...

ექვსი წელი უსაშველოდ გადიდებულიყო...

მერე და მერე, უფრო ხშირად ჩავდიოდი სოფელში და უფრო და უფრო დაპატარავებული მეჩვენებოდა ჩემი გოგუცა. სულ მალე ლოგინში ჩანოლილი დამხვდა, აღარ დგებო, მითხრეს; მეგობარ ექიმს დავურეკე, გადასხმები ხომ არ დავუდგათ-მეთქი, არაო, მკურნალმა, გავანვალებოთ. ისევ უფლის იმედად დავრჩი, რომელიც ისე ლამაზად ამზადებდა ბებიაჩემს ასაფრენად, მიკვირდა, ამჩატებდა და ამჩატებდა (მე შენ გეტყვი და გაუჭირდებოდა უფალს ეს!..) საკვებსაც აღარ ითხოვდა დაღლილი და მსუბუქი სხეული; ვიგუმანე, ბოლო კვირა ჩამომდგარიყო, საუბარიც აღარ უნდოდა (აღარ შეეძლო)...

ქალაქისკენ გამომინია გულმა, თუმცა არც საქმე, არც სამსახური (უმუშევარი გახლდით) და არც რაიმე ვალდებულება მომჩქარებდა...

ადამიანის წუთისოფლიდან გასვლა, არაა იოლი საქმე და ეს მდგომარეობა, ყოველ ნორმალურ ძეხორციელს აშინებს. ეშინოდა ბებიაჩემსაც, რაც, ჭრელ და ლამაზ თვალელებში ეტყობოდა...

ასაკის მიუხედავად, სმენა არ დაკლებია, ჩქამიც კი ესმოდა და როცა ვთქვი, ქალაქში წავალ-მეთქი, თვალელები ცრემლებით დაენისლა.

ადამიანი, ამ დროს მარტოა, შთამომავალთა სიმრავლე ვერაფერს შველის (რარიგ მოინდომონ...) აი, უფალი კი, არასოდეს ტოვებს ადამიანს და მე ვიგრძენი, ბებია, ტუჩების ოდნავი მოძრაობით, უფალს რომ ესაუბრებოდა... ისიც ვიგრძენი, მეც რომ მეშინოდა, ბებიაჩემის სიკვდილი არ მეხილა...პირველი შვილიშვილი და ნახევრად მისი გაზრდილი ვიყავი...

უმიზეზოდ ვტოვებდი ბებიაჩემს, უმიზეზოდ და არაფრის გამო, რადგან მეშინოდა...

წამოსვლამდე აივანზე გამოვედი, ფანჩატურს გავხედე. ენკენისთვის ყურძენი შეეთვალა, „იზაბელა“ (გურულად „ადესა“), ჰა და ჰა, მწიფდა. სასწრაფოდ ჩამოვკრიფე, კალათი ავაკე, მარანში შევიტანე, ხელით დავწურე და ბადაგი ქეთინოს (რძალს) მივუტანე:

– ფელამუში გამიკეთე!

გამომართვა და უხმოდ შებრუნდა სამზარეულოში.

ბებია ხილის მოყვარული გახლდათ. ახლად-შემოსული ხილით პირის გასველება (ასე იტყოდა) უყვარდა. სურნელოვანი ფელამუში თევზზე დავასხი და ბებიას ოთახში შევაბიჯე. თვალეები გაახილა, რომლებსაც ფერი დაეკარგათ. ბალიშებზე წამოვაჯინე და კოვზით მივანოდე. ვიცოდი, სამი დღე არაფერი ეჭამა. ეცადა, უსაშველოდ, ეცადა, მე ხომ პირველად ვაჭმევდი ჩემი ხელით ულუფას, ტუჩები უთრთოდა და ცდილობდა ლუკმის გადაყლაპვას, გაჭირვებით შეძლო... სულ სამი კოვზი და თავი დამიკრა, მადლობა მითხრა, კურცხალი გადმოუგორდა; გაგუდვას არაფერი მიკლდა. ბალიშზე მივანვინე, თეთრ თმებზე ვაკოცე, ხმას ვერ იღებდა, თვალეებით მელაპარაკებოდა.

გამოვედი და წამოვედი...

სად მივდიოდი?!

ერთ საათში სახლში ვიყავი. აღარც ვახშამი მინდოდა, აღარც წიგნი, აღარც ტელევიზორი, საუბარიც კი...

თვალწინ ბებიაჩემის უენო საუბარი და ცრემლებით სავსე თვალეები მედგა. შეთქმულივით ვიჯექი სავარძელში და რალაცას ველოდი... ამ წლის ფელამუში რომ გავასინჯე, ეს მახარებდა, გულში სინათლედ მეღვრებოდა...

ტელეფონმა რომ დარეკა, აღარც კი დამიხედავს, არც არაფერი მიკითხავს. ავდექი და სოფლისკენ წავედი, შუალამისას.

დილით აივანზე გავედი და მერცხლების ბუდეს ავხედე.

გაფრენილიყვნენ...

მსთქმბის მასწავლებელი

სკოლის დამთავრების შემდეგ, მძლოლის პროფესიის დასაუფლებლად ტექნიკურ სასწავლებელში ჩავაბარე გამოცდები.

ჩვიდმეტი წლის გახლდით და სამყარო ჩემი მეგონა.

პირველ სექტემბერს, ჯინსებით, გრძელი თმითა და წვერგაუპარსავი გამოცხადდი სასწავლებელში.

– ვინმე გარდაცვლილი გყავთ? – მკითხა ჯგუფის ხელმძღვანელმა (სახელი მისი, არისტო).

– არა, პატივცემულო...

– აბა, ვის გლოვობ? – ხმას აუნია და მოშვებულ წვერზე მიმითითა არისტოფანმა.

– ლენინს!..

– რაიო!!! სასწრაფოდ დატოვე გაკვეთილი და აქ არ დაგინახო მეორედ! – სახეშეშლილი გაჰკიოდა არისტო შავდია.

გამოვედი.

უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდი...

45 წუთი (გაკვეთილის ხანგრძლივობა) სასწავლებლის ეზოს დათვალიერებას მოვანდომე.

– მეორე გაკვეთილი, ესთეტიკა გვაქვს, მეშვიდე აუდიტორიაში! – მითხრა ჩვენმა უბნელმა ბიჭმა, რომლის გაცნობა დილითვე მოვასწარი.

*

მაგიდასთან იჯდა.

ჩვენ, ოცდახუთი მოსწავლე (სქესი – მამრობითი) ხმაურით შვცვივდით ოთახში.

არ ამდგარა, ისე მოგვესალმა.

– მე ესთეტიკას გასწავლით. იქონიეთ რვეულები და ავტოკალმები. ჩემი საგანი, საგამოცდო არ არის, მაგრამ საინტერესოა. თუ ისწავლით, თქვენვე გამოგადგებათ, უკეთესები გახდებით. მე მქვია თეონა, თეოსაც მეძახიან...

– რა გვარის ბრძანდებით პატივცემულო? – იკითხა თმებდაუვარცხნელმა ბიჭმა.

– რა მნიშვნელობა აქვს, შილდელი ვარ...

დაიწყო... გასუსულები ვისხედით. საოცარი ხმით გვესაუბრებოდა. იჯდა და ყვებოდა. ჩვენზე, ათი-თორმეტი წლით უფროსი იქნებოდა. უზარმაზარი, ცისფერი თვალებით შემოგვცქეროდა. აუდიტორიაში დადებითი ველი და ენერგია მეფობდა.

ორმოცდახუთი წუთი თვალდახელშეუა გაილია.

ორმოცდახუთი წუთის მერე, ოცდახუთივე ბიჭი, თეონა მასწავლებელზე ვიყავით შეყვარებული.

– თეო მასწავლებლო, ესთეტიკა, კვირაში რამდენჯერ გვაქვს? – წამომაცივლა.

– ორჯერ, ორშაბათს და პარასკევს, მოგეწონათ?

– თქვენ მომეწონეთ, მასწავლებლო! – ეს არ მითქვამს, ამოვისლოკინე და ლამის ავტირდი.

– კარგით, ნახვამდის! – გაილიმა.

ხმაურით წამოვიშალეთ. ოთახი თანდათან დაცარიელდა.

მასწავლებელი ისევ იჯდა.

ფეხს ვერ ვიცვლიდი.

– თქვენი სახელი?

– იოანე!

– გვარი?

– მინჩხი, უჰ, ბოდიში მასწავლებლო, თაბაგარი.

გაილიმა.

– მხატვარი ხართ?

– არა მასწავლებლო, ლექსებს ვწერ...

– გეტყობათ...

და წამოდგა...

ნეტავ არ დამენახა. ძლივს გასწორდა, ხელჯოხი აიღო (ამდენხანს რომ არ ჩანდა), თავი დამიკრა, გამილიმა და...

აბღავლებას არაფერი მიკლდა, ლაპა-ლუპით ჩამომდიოდა ცრემლები.

– ნახვამდის იოანე! – კარებიდან დამიქნია ხელი.

*

მთელი კვირა არ დამინახავს.
როგორც იქნა, პარასკევიც მოვიდა.
მესამე გაკვეთილი, ესთეტიკის გვექონდა.
ისევ ხმაურით აივსო აუდიტორია.
თეონა მასწავლებელი ისევ მაგიდასთან იჯდა.
ახლა ხელჯოხსაც ვხედავდი.
ისევ წამში გაიღია ორმოცდახუთი წუთი.
კვლავ ორნი დავრჩით დაცარიელებულ ოთახში.

– წვერი გიხდება, გააგრძელე ლენინის გლოვა! – გამიღიმა და სიმწრით წამოდგა, – არისტო შავდიაშვილს მოგვიყვანა სამასწავლებლოში...

– ვიხუმრე თეო მასწავ...

– ვიცო, მაგრამ, ასეთი ხუმრობისთვის მოსწავლეებს რიცხავენ...

– მადლობა გაფრთხილებისთვის!..

– ნახვამდის იოანე!..

ტაქსი გავაჩერე. უეცრად თეონა მასწავლებელს მოვკარი თვალი.

– თეონა მასწავლებლო, წამობრძანდით, ქალაქისკენ მივდივარ.

– მე სამხედრო დასახლებაში ვცხოვრობ...

– მეც იქით მივდივარ (არადა, სხვა მხარეს ვეპირებოდი).

კარი გავუღე, მივეშველე.

დამშვიდობებისას თმები მომჩერა.

– კარგი ბიჭი ხარ, იოანე, მადლობა!

*

სამი თვე, ორშაბათი და პარასკევი მაბოდებდა. სამი თვე მესიზმრებოდა თეონა მასწავლებელი. მისი გაკვეთილები ერთმანეთზე უკეთესები იყო. ორი სქელტანიანი რვეული გავავსე მისი მონათხრობით.

ერთხელ სიყვარულზე გვესაუბრა და ლამის გვატირა, ისე მოგვიყვანა ის საბედისწირო ავტოვარია, როდესაც სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა და დაინვალიდა.

გაკვეთილი კი ამ სიტყვებით დაამთავრა: „ის მაშინ მოკვდა!“

– ვინ ის? – იკითხა წითურმა ჩაუტიძემ.

– არავინ, ავტობუსი გადატრიალდა და ყველანი გადავრჩით!

გაკვეთილი დასრულდა; ორნი დავრჩით.

– არ შეიძლება იოანე, ბავშვები შეგატყობენ, სიყვარულს მალვა უნდა, ბიჭო!.. – თქვა და ატირდა.

მივედი და ლამაზ, ძალიან ლამაზ თავზე ვაკოცე.

*

მთელი კვირა აღარ წავსულვარ სასწავლებელში.

არისტოფანმა შემომითვალა: ან ავადმყოფობის ფურცელი მოიტანე, ან მიგანევი ლენინსო!..

სიტყვასიტყვით მომიტანა დანაბარები წითურმა ჩაუტიძემ.

– სხვა მასწავლებელს არ ვუკითხივარ?

– კი, ფიზკულტურის მასწავლებელმა: რაღა ახლა გახდა ავად, ქალაქის ჩემპიონატი რომ იწყება ფეხბურთშიო!..

– სხვას?

– თეონა მასწავლებელმა იკითხა: იოანე რატომ არ დადისო!..

ველოდი...

მიყვარდა...

*

პარასკევს მივედი სასწავლებელში, სამი გაკვეთილის შემდეგ (მესამე ესთეტიკა გვექონდა) ქუჩაში გამოვედი. ჯერ ფიზკულტურის მასწავლებელს ვესაუბრე, სპორტულ დარბაზშიც შევირბინე. იქედან გამოსულმა ტაქსი გავაჩერე და... ისევ თეო მასწავლებელი დავლანდე.

– წამობრძანდით, თქვენკენ მივდივარ (ისევ ვიცრუე...)

– მეც ტაქსი უნდა ამეყვანა, დედაჩემმა ხილი გამომიგზავნა.

ჩანთა საბარგულში ჩავდე.

– სამხედრო დასახლებაში! – დავუზუსტე მძღოლს სვლა-გეზი.

– იოანე, თუ დრო გაქვს, ამატანიე ეგ ჩანთა მეშვიდე სართულზე!

ლიფტში შესვლისას, მკერდზე მომიხვდა უცაბედად მკლავი და მთელ სხეულში ელექტრო მუხტმა დამიარა.

გასაღები გამოვართვი და კარი გავაღე.

ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა.

ოთახი წიგნებით იყო სავსე.

– დაჯექი და ყავას დაგაღევიანებ.

– ჩავალ და კონიაკს ამოვიტან!

– მაქვს „ვარციხე“.

– ვინ მოკვდა ავარიის შემდეგ, თეო მასწავლებელი?

– ის!

– აჰა, გასაგებია...

– მეგონა ვუყვარდი, მან კი, როგორც კი გაიგო, ფეხი დაეკარგე, აღარც კი მნახა, ავტოავარიამ გადამარჩინა და თვალი ამიხილა, თუმცა, მაინც ვერ გავძლებდი არაკაცთან...

– თქვენ გაგიმარჯოთ, თეო მასწავლებელი!

– გაგიმარჯოს იოანე, ახლა, ყველაზე მეტად,

შენ მიყვარხარ, დედას ვფიცავარ!..

მთელი ბოთლი დავცალეთ...

მერე მაკოცა.

– იოანე, თორმეტი წლით უფროსი ვარ შენზე, ეს, არ თქვა სადმე, ბიჭო, მადლობელი ვარ, ამ სიყვარულისთვის...

– თეო მასწავლებელი!.. ვტიროდი ბავშვივით (17 წლისა გახლდით)...

– კარგი, დამშვიდდი, მე აბაზანაში შევალ...

თეთრი, ქათქათა ხალათით შემოსილი გამოვიდა, უღვთოთ ლამაზი იყო. გულზე მომეკრა.

– წავიდე?

– შედი იბანავე!

საწოლში დამხვდა.

არც ხელჯოხი ჩანდა და არც „პროთეზი“.

– თეო (მასწავლებელი ვეღარ ამოვთქვი).

– მოდი ჩემთან, ოღონდ, წელსქვემოთ ხელი არ წაიღო და არც შემომხედო!

ესთეტიკა საგამოცდო საგანი არ იყო...

ფეხით ჩაპალ ხონში...

რაც თავი მახსოვს, სულ ვკითხულობ (წაუკითხავად ვეღარც ვიძინებ...) მაგრამ, რაც ახლა მჭირს (ალბათ ბარეორსაც), ამ პანდემიისას და „დარჩი სახლში“ მოწოდების ჟამს, რამდენიმე თვის წინათ, ვერც კი წარმოვიდგენდი.

გადავიკითხე უამრავი, მონატრებული წიგნი, ვკითხულობ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებს და თქვენ წარმოიდგინეთ „ყვითელ პრესასაც“ კი გადავავლე თვალი (უფრო მეტად შემთხვევის წყალობით, მეზობელმა მათხოვა);

გავშალე გაზეთი, სავარძელშიც მოხერხებულად მოვკალათდი და... ღირს მოყოლად: „როცა ვირუსის გავრცელება დაიწყო, პირველად ჩვენ დაგვხურეს, რესტორნები, თანაც გაურკვეველი დროით. მეუღლეს ვუთხარი, (რომელიც სიყვარულით მყავს შერთული და დღემდე ველოლიავები): ერთი კვირით მამაჩემს ავაკითხავ მთაში, საკარტოფილე მიწას დავახვნევიანებ, სხვა საქმეებზეც წაფუკრავ ხელს-მეთქი.

და სამარშრუტო ავტობუსით, რაიონულ ცენტრამდე ვიმგზავრე. იქედან კი ნათესავის „ნივით“, ჩემს მიუსაფარ სოფელში, – სადაც ხუთიოდ კომლი თუ დარჩა, – ავედი.

გავახარე 75 წლის ბერიკაცი, რომელიც ცხენით ისე დაჯირითებს, როგორც ჯეელობისას.

მეორე დღით, როცა ცხენი გუთანში შევაბით და საკარტოფილეს ვხნავდით, დაიწყო ჩემი თავგადასავლები: ჯერ ტელეფონი გადამივარდა გულის ჯიბიდან და გუთანით გადავუარე ზედ (მინა დაიბზარა), მერე იყო და აღმოვაჩინე, გზაში დამმუხტველი დამკარგვოდა (არადა, ორ დღეზე მეტხანს, ვერ გაძლებდა ჩემი „სამსუნგი“).

მეორე დღეს ცოლს ვაუწყე, ვეღარ დაგირეკავ და არ იჯავრო-მეთქი. ასეც მოხდა, ტელეფონი სალამოს გაითიშა.

მამაჩემი ხომ კარგი მზარეულია, მაგრამ მე რას შემედრება (20 წელია პოვარი ვარ), ჰოდა,

ვამზადებდი სადილ-ვახშამს, ხილის არაყსაც ვაყოლებდით და ვიძინებდით.

ღამით ციოდა, წამოთოვა კიდეც. ბარში და ქალაქში რა ხდებოდა აღარ ვიცოდით, რადგან არც ტელევიზორი გვექონდა და აღარც ტელეფონი.

მეოთხე დღეს, სოფლის ბოლოში ჯიპი ამოვიდა. ჩვენ კენწეროში ვცხოვრობთ და ხელისგულივით ჩანს სოფელი. მეც ავდექი და ცხენით ჩავედი ამბის გასაგებად.

ჯიპით, ჩვენი შორეული ნათესავი ამოსულიყო. ოჯახი გამოეხიზნა დედაქალაქიდან. ხვალიდან, მთელ საქართველოში საავტომობილო მიმოსვლა იკრძალება და თბილისიც იკეტება, ჩიტიც ვერ შეფრინდებაო. ტელეფონი გამოვართვი და ცოლს დავურეკე: არ შეშინდე, შენს დასთან და სიძესთან გადადი დროებით-მეთქი. იქვე, მეორე კვარტალში ცხოვრობენ.

ამოვბრუნდი. მამაჩემს ვუთხარი: თბილისი ჩაიკეტა, კომენდანტის საათი გამოცხადდა და დავრჩი მთაში-მეთქი. ეგონა ვხუმრობდი. არ მიჯერებდა.

დილით ძალღუმადურად ავდექი. ცუდად მეძინა. ცოლი შემეცოდა, არასოდეს არ მიმიტოვებია განსაცდელში და ახლა, მარტო ვტოვებდი. ერთი შვილი გვყავს და ისიც, ჩეხეთში ცხოვრობს, კარგა ხანია. უმცროსი და იქვე ყავს, მაგრამ...

განსაცდელში ქალის მიტოვება რა ვაჟკაცის საქმეა (ათი წლის წინ, ბიძაშვილმა რესტორანი გახსნა ორჯონიკიძეში და შეფ-პოვრად წამიყვანა, კაი ხელფასიც მომცა, მაგრამ სამი თვის მეტი ვერ გავძელი, უკან დავბრუნდი), ჰოდა, იმას ვამბობდი, ასეთ დროს კი არ უნდა მიატოვო საყვარელი ადამიანი, პირიქით, თუ შორს ხარ, უნდა დაბრუნდე და ერთად გადაიტანოთ გადასატანი (მეტი რალა განსაცდელი უნდა დადგეს!..).

ბებია მყავდა იმერელი ქალი და ხშირად იტყოდა ხოლმე, „ფეხით ჩავალ ხონშიო...“ და ამეკვიატა ეს ნათქვამი. თვალს მივლულავდი თუ არა, ჩემი ცოლის შეშინებული სახე წამომელანდებოდა და იქვე ბებიაჩემის ხმა ჩამესმოდა, „ფეხით ჩავალ ხონშიო...“

დილით მამაჩემს გავანდე ჩემი ნაფიქრი. შენუხდა, მაგრამ არ დაუშლია. შევკაზმე ცხენი და დავეშვი, ღამის მთელი დღე მოვუნდი რაიონის ცენტრამდე ჩასვლას. მთელი გზა ვფიქრობდი, ასი წლის წინათ, აქ ავტომობილი არც ენახათ და არც გაეგონათ. ასე, ცხენით დადიოდნენ და გაჰქონდათ ნუთისოფელი...

ცხენი ნათესავს დავუტოვე, რომელიც არაფრით არ მიშვებდა (ეზოში ორი მანქანა ედგათ, მაგრამ დაძრავდი და 3000 ლარიც უნდა გადაგხადა ჯარიმა...) კაცო, 9 საათიდან კომენდანტის საათია და შინიდან გასვლა იკრძალება, გახვალ და 3000 ლარიანი ჯარიმა ჩასაფრებულიო!..

შენ ცხენს მიმიხედე, ან მე ჩამოვალ, ან მამაჩემი ჩამოგაკითხავს ამ დღეებში-მეთქი და დავემშვიდობე.

ბინდებოდა. გზისპირებს მოვყვებოდი (გზაზე, საპატრულო მანქანები აშუქებდნენ ფარებს). ერთი-ორჯერ ორმოშიც ჩავვარდი. შუალამისას მცხეთას მივალნიე. განათებულ ჯვრის მონასტერს ავხედე, მერე მტკვრის გაღმა, გადაბრდვიალებულ სვეტიცხოველს გავუსწორე თვალი, პირჯვარი გადავინერე და გზას გავაგრძელე. უეცრად მანქანის შუქმა დამარტყა ბეჭებში, გზიდან ვისკუპე და თხრილში მოვადინე ზღართანი, ჩავნექი. სასწრაფო დახმარების მანქანამ ჩამიშხილა. ისე ვიყავი დაღლილი, ადგომა მეზარებოდა; წამოვდექი და... წინაპრები შემეცოდა, ურმებით და ცხენებით რომ ჩამოდიოდნენ დედაქალაქში, ვაჟა-ფშაველა შემეცოდა, ასე არ ჩამოდიოდა თბილისში?

ფეხები ძლივს მემორჩილებოდნენ, რა დრო იყო არ ვიცოდი, არც საათი, არც ტელეფონი. სადღაც საპატრულო ეკიპაჟმა ჩაიარა. უკვე აღმაშენებლის ხეივანს მივუყვებოდი. ცისკარმაც ინათელა და გამახსენდა... ცოლი, შეიძლება თავის დასთან ყოფილიყო (მე არ ვთხოვე!..). სადარბაზოში ალაღბედად შევაბიჯე, მეოთხე სართულზე ისეთი გაჭირვებით ავედი, თითქოს მყინვარწვერზე ავსულიყავი და ნანატრი კარებიც დავინახე... ფრთხილად დავაჭირე თითი ზა-

რის ღილაკს, გული ამოვარდნაზე მქონდა, თან, ამ დროს, ჩქამიც კი ისმის...

– ვინ არის?

– ვინ უნდა იყოს, გოგია ვარ.

მუხლები მეკეცებოდა, ძლივს ვიდექი და კარიც გაიღო...

თითქოს პირველად ვხედავდით ერთმანეთს, მინდოდა კისერზე ჩამოვკიდებოდი არაქათგადაცლილი და... ვაჟკაცი ვიყავ, ის უნდა შემომხვეოდა კისერზე, მეხვეოდა და ტიროდა... მერე რა, რომ უსწავლელი ვარ, პოვარი, სიყვარული და ერთგულება მომდევს მამა-პაპათაგან, ქალი გასაჭირში არ უნდა მიატოვო, მით უფრო, ასეთ დროს, ჟამიანობისას... ამიტომ არ დამიშალა მამაჩემმა, თუმცაკი შენუხდა, მანაც იცის სიყვარუ-

ლი და მასაც არასოდეს მიუტოვებია დედაჩემი, ვიდრე არ მოუკვდა!..

ღირდა ამ ცრემლად ეს დალლა, კუნთების ტკივილი, რადგან ის ხმა, კარს იქედან რომ გავიგონე „ვინ არის“, იყო უტკბილესი დედამინაზე... ჰოდა, ამ ხმამ იკითხა (ცრემლის ღვრას რომ მორჩა).

– გოგია, ბიჭო, ვინ და რა ძალამ ჩამოგიყვანა?

– ბებიაჩემმა, „ფეხით ჩავალ ხონშიო“ და...

P.S. ყვითელი პრესა ეძახე შენ. ამ ამბავს გავუშვებდი ხელიდან?! მეც ავდექი, აქა-იქ, ჩემი მწერლური გამოცდილება მოვიშველიე, ფინალი შევუღამაზე და, სათაურიც შევურჩიე...



ედიენა ჭოგავა

* * *

დრო ცოტა მრჩება, სიყვარულის ვიგემო გემო,
დრო ყველა შენში დახარჯული ჩემში შევიგრძნო,
კანის სურნელი ჩემი სულის აზრით შთავბერო,
რომ შევუნახო სამუდამო მეხსიერებას.
უფრო მეტი მაქვს გრძნობა სხვებზე, რადგან ასეა,
რადგან სიტყვები შეგრძნებებთან თითქმის დამუნჯდნენ,
და მზერა ჩემი ფრენად მოსულ გრძნობით სავსეა,
ბედნიერი ვარ, რადგან მარტო ყურით არ ვუსმენ.

* * *

ჩემი უძილობა ხარ... სხვისი თუ ხარ სიზმარი?
ჩემი გრძნობის მუზა ხარ... ხარ – ნასროლი ისარი,
არეული გზები ხარ, რაც მე ეჭვში მინახავს,
იმ სამყაროს წვერი ხარ... სულ სხვა გალაქტიკა ხარ,
ზოგჯერ შენ ხარ... მშვიდი დღეეე... არეული ფერების,
ზოგჯერ შენ ხარ მიზანი სხვისი გადაფერების,
გაფრენა ხარ ბოლომდე, საგიჟეთს რომ უხდება,
ზოგჯერ შენ ხარ წამალი, ძარღვებში რომ ბრუნდება,
არც პირველი, ვერც ბოლო, ზოგჯერ სულაც არა ხარ,
ჩემსვე წარმოსახვაში სალვადორის გალა ხარ.

ბორბილბდის პირველი

ახლა მე ქუჩას ვადგავარ შენსას,
რომელსაც ვარქმევ ისევ შენს სახელს,
ან რატომ ჰქვია მას შენი ქუჩა,
ან რა თავი აქვს ამ მისამართებს.
თვალეებით ვეძებ აივანს შენსას,
შუქი ფანჯრიდან გამოდის მშვიდი,

მერედა, ფიქრი წამილებს შფოთვად,
და შფოთვა ჩემში ლელვამდის მიდის,
ეჭვი ოხერი, ეჭვია, ვიცი,
ვფიქრობ, იქნება, სახლშიც არ იყო,
იქნება, გვიან მოვედი რიდით
და გზები ჩვენი უკვე გაიყო.

* * *

კიდეც უნდა გიყვარდეს,
კიდეც უნდა გინდოდეს,
კიდეც უნდა დაგლალოს,
მერე გადაგინდოდეს,
კიდეც უნდა იტირო,
კიდეც უნდა ტიროდეს,
ზეცა თბილი ოცნებით
გთავაზობდეს პირობებს.
ისე უნდა უყვარდე,
ისე უნდა გიცნობდეს,
რომე შენი იმედით,
შენს სიყვარულს ყვიროდეს.



ნათილა კახიძე

მასწავლებელი

– ეს თვალეზბრიალა ბიჭი ჩემი შვილია, თო-
თხმეტი წლისაა, დედით ობოლი, მგონი კიდე
არაა გვიანი ყველანაირი სიკეთე, სიბრძნე, რომ
დაანათლოთ და გზაზე დამიყენოთ...

და...

და... მასწავლებელმა ბიჭს უხმოდ დაახვე-
დრა დაძარღვეულ-დაჭმუჭნული ხელი...

– შევეცდები, ბატონო, იმედს ნამდვილად არ
გაგიცრუებთ...

და...

და... თვალეზი –

ცივი... უკარება, –
არაფრის მთქმელი...

და თვალეზი –

დედის გულივით კეთილი,
სათნო... –

ჯიქურ შეეჯახენ, –

შეერკინენ... –

ბიჭმა თავი დახარა...

– „უკვე ჩემია!“...

გულზე მიიხუტა:

ტანმორჩილი,
ყორანივით შავი,
მწვანეთვალეზა...

– აბა, გიორგი, ნავედით!..

იერი – მკაცრი,

თმა – ნაცრისფერი,

შავი კოსტუმი და ქვედა ბოლო...

მაღალი –

გამდნარ-გალეული, –

კითხვის ნიშანივით მოღუნული.

ბუზის გაფრენის ხმა.

– ესეც თქვენი ახალი მეგობარი!..

და...

ირონიული, ქედმაღლური მზერა...

დახეული ჯინსები,

დაკუჭკუჭებული თმა-წვერი...

– მას, სხვა მასწავლებლები კი... მაგრამ
თქვენ, ასეთს გაკვეთილზე დაუშვებთ?! –

ნამოცდა ერთს.

სხვებმა ერთმანეთს გადახედეს...

წყნარად, მშვიდად:

– როგორც თქვენ დადიხართ წვერ-ულვაშ გა-
პარსულები, ისე მოვა მაგიც, ხვალ!..

– ეს ჩემი პირადი საქმეა, მასწ...

ფეხზე ნამოდგა.

– პირადი საქმეები სახლში!.. აქ სკოლის
საქმეებზე ვართ... დაჯექი!..

– ?..

ყურთსასმენი ყურში –

ტელეფონი ხელში...

წყნარად, თუმცა მკაცრად:

– მგონი ტელეფონს კარგად ვერ უვლი, შვი-
ლო, აი ამ ბავშვებს ჰკითხე და გეტყვიან რა
დროს გამოიყენო და როგორ მოუარო!..

მედიდურად:

– მასწ, გაკვეთილი არ მაინტერესებს!.. რა გა-
კვეთო?!

– ?

„ერთი რთული ბავშვი კიდე!..“

„გაკვეთილიდან გაუშვა?!“

„იოლი საქმეა“.

„გამოსავალი ესაა?!“

„თავად ისარგებლებს ამით, რომ გაკვეთილებიდან გააგდონ!..“

„არაფერი აინტერესებს...“

„იგნორირება გავუკეთო?“

„ყურადღება უფრო სოციალურად დაუცველ, აქტიურ ბავშვებს დავუთმო?!“

„გაყრილ, უცხოეთში წასულ აგრესიულ ბავშვებს ვუმელთვაყოფო?!“

„თუ დროზე არ მოვუქონე თავი სხვებსაც ამირევს!..“

უამრავი გამონვევა...

უამრავი სიძნელე... –

„რა ვქნა გავერიდო?!“

„არა, არა, ასე არ იზამს, ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მე მისი მეგობარი ვარ... სტიმულის მიმცემი... უფრო სხვანაირად უნდა მიუდგე... უფრო სხვანაირი განათლება შევთავაზო და როგორც სხვებს, მასაც მისებური გასაღები მოვარგო...“

და, აი...

„სერტიფიკატი?!“

– ჰმ, მასწავლებელი სულით უნდა იყოს სერთიფიცირებული, მასწავლებელი მასწავლებლად უნდა იყოს დაბადებული... ვერანაირი „სერთიფიცირებული ქალაქი“ ვერ უშველის მას!..

„გამოცდა?!“

– გამოცდები?! ოთხმოცი წლის ქალს?! შეურაცხყოფაა...

– ჩვენი გამოცდა თავად ბავშვია... ბავშვს კი ჩვენ ვამზადებთ საგამოცდოდ, ცხოვრების სარბიელზე გასასვლელად... მერე იქ რა ნიშნებზეც ჩააბარებს, იმის მიხედვით დაგინერენ შენ, მასწავლებელს, ქულას...

და...

და... კონკურენტულ გარემოში კლასის ხელმძღვანელი –

თავისებურად რგავდა ნერგებს, –

ახარებდა,

წყალს უსხამდა...

ელოლიავებოდა...

ელოლიავებოდა... რათა არ დაშრეტილიყო წყარო, –

წყარო – ანკარა...

– მთავარია ბავშვებმდე მივიტანოთ ცოდნა!..

– ამისთანა ბავშვები გვყოლია?!

– ამბობენ სხვა დრო მოვიდაო, სხვა დრო?!..

არაფერიც... როგორც მახსოვს ეს დრო იყო ყოველთვის... უბრალოდ მეტი თავისუფლება მივეცით ბავშვებს... ის კი არ იცინა ბავშვი ახლადფეხადგმულ ხბოს გავს, მეტი თავისუფლება თუ მიეცი შენც გადაგთელავს და თვითონაც თავისუფლებაგალაღებული უფსკულში გადაიჩეხება... ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს ყველაფერს...

– ჩარჩენილია საბჭოთა დროში!..

– ამას ვერაფერი გარდაქმნის!

– ამას სწავლის მისებური მეთოდები აქვს!..

– არცაა გასაკვირი... ამდენი წელი...

„ახალ დროში“ მაინც ძველებურად რგავდა ნაირ-ნაირ ყვავილებს და სიყვარულს გულში იბეჭსნიდა...

როგორ უყვარდათ და თან როგორ ეშინოდათ...

მინვა.

თვალეები მილულა...

„– გია?!“...

– მასწავლებლო, მე მასწავლეთ თქვენ, რომ უაზროდ არ გავყოლოდი ყალბ და მატყუარა ბრბოს, მარტო ყოფნა გერჩიოსო, არ დაგიჯერე... რა ვქენი?!.. სხვებს აყვევი, არ ვიცოდი რისთვის, რატომ... თუმცა მათთან ერთად ვიქნე ხელ-ფეხი, – დამიჭირეს, მიმპერტყ-მომპერტყეს და ყველა დანაშაული მე შემახოცეს... ისინი მართლები იყვნენ, მაასნ... თქვენ მასწავლეთ, მაგრამ ისე ვერ დამარწმუნეთ, როგორც საჭირო იყო თორემ მე დღეს დამნაშავის სკამზე არ ვიქნებოდი!..

„– ნინო?!“

– ლიდა მასწავლებლო, ძლიერი მოსწავლე ვიყავი, ძლიერ გიყვარდი, მაგრამ ამას არ მაგრძნობინებდი, უბრალოდ მე ვგრძნობდი, თუმცა შენებური სიყვარულით, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამიდეთ თავში, თუ როგორ გამომეყენებინა, ჩემი ცოდნა, ნიჭი, კულტურა, ინტელექტი, რომ არ

გამეყიდა სული, სხეული... მაგრამ არ მასწავლეთ ის, თუ როგორ, რანაირად გამენია წინააღმდეგობა, როგორ დამეცვა ქართული სული, ქართული ხორცი, რომელსაც გვერდიდან მაჭრიან, მაგლეჯენ... ყიდულობენ... ყიდიან...

„– გურამ?!“

– თქვენგან ვიცი, ჩემო საყვარელო მასწავლებლო, რომ საკუთარ ნაწვლებ ათ ლარს მეტი ფასი აქვს, ვიდრე სხვანაირად ნაშოვნ ექვსას დოლარს... გეთანხმები მასწ. მაგრამ ვერანაირად ვერ მოვერგე დღევანდელ დროს... კარგი მოსწავლე ვიყავი, უნივერსიტეტიც დავამთავრე... ახლა?.. ახლა საბაჭოზე ვდგავარ და დავათრევ სიგარეტებს, ხან თურქულს, ხან ქართულს, ვიტან ათასწაირ შეურაცყოფას, დამცირებას რომ ოჯახი ვარჩინო... სხვებივით ვერ მოვიპარე, სხვებივით სხვას ვერ წავგლიჯე, სხვას კონკურენცია ვერ გავუწიე... გამიჭირდა მასწ... რატომ სხვანაირად არ გამზარდე, რატომ სხვანაირად არ მასწავლე რომ დღევანდელ დროს ლამაზად მოვრგებოდი... გეთქვა, თანამედროვე სამყაროში იყავი დამოუკიდებელი, მანიპულირებადიო... არ გასაყვედურობ, თურმე რაც შენში არ არის იმას ვერ გააკეთებ... აგერ, ჩემი კლასელები, ცხოვრებაში წიგნი ხელში რომ არ აუღიათ, დღევანდელ ცხოვრებას ლამაზად მოერგენ... ცხოვრებაშიც გამასწრეს... იმათთვის ხომ სხვანაირად არ გისწავლებიათ, მაასწ...

„– ელენე?!“

– თქვენ გაჭირვების დროს ლალი ღიმილი მასწავლეთ... თორემ ამდენი გაჭირვებისა და გაჭირვებულების შემეყურე მე დღეს „ჩავბერავდი“... ეს თქვენი დამსახურებაა... თქვენი სულგრძელობის... რისთვისაც დიდი მადლობა... ისე სკოლებში სწრაფ პოგრესს არ ელოდით, მასწ... მაგრამ თქვენ არ შეუშინდით... მალევე აუღეთ ალღო „ყველაფერია შესაძლებელი, მთავარია დაწყება და მიზნისკენ გამუდმებული სვლაო“ და თქვენც პატარა-პატარა ნაბიჯებით გააგრძელეთ წინსვლა... ბევრ რამეს ჩვენგან სწავლობ-

დი... საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არაფერი გამეგებო, და პერიოდულად როლებს ვცლიდით... გეხმარებოდით საკუთარი ბლოგის არჩევაში, თემების მოფიქრებაში... და ჩვენც ბავშვებიც საკუთარი მასწავლებლის თანაავტორები ვხდებოდით... იცი როგორ გვიხაროდა...

„– გაია?!“

– უბრალო მოხელე ვარ, მასწ. მე ვშრომობ, ვაკეთებ... გვერდიდან კი ხუთასი ჟკუას მასწავლის, იცი როგორები?! ცხოვრებაში რომ არაფერი გაუკეთებიათ... მაგრამ არ ვბრაზდები... იმიტომ, რომ მახსოვს თქვენ რომ თავზე ხელი გადამისვით და მითხარით: „ვინც იცის ის აკეთებს, ვინც არა, სხვას ასწავლის, ან დაცინისო“, გვერდიდან კი გიორგის თვალი ჩაუკარით... იმიტომ, რომ მისი მისამართით თქვით და არ გინდოდა მასაც სწყენოდა... პირიქით თქვენ ამით საშუალება მოგვეცი, რომ ერთმანეთისათვის გვესწავლებინა, შემდეგ გიორგიც აკეთებდა ყველაფერს, ხელოვნების მასწავლებელი სულ კმაყოფილი იყო... – შესანიშნავად გამოსდიოდა სახლის მაკეტები... ეს თქვენი დამსახურებაა, თქვენი... თქვენი თბილი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის...

„– ნონა?!“

– „ყველაზე დამღლელია იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის მართალიაო“... ამას გვეტყოდი განაწყენებული... ახლა მივხვდი, როგორ დაღლილხარ ჩვენთან, მაასწ... მართალი იყავით... დღეს მე მაღალ უწყებაში ვმუშაობ... და ვიცი რაა ეს... თუმცა აქ გავიჭედე, ძალიან გავიჭედე. თქვენ კი ამას ძალიან კარგად ართმევდით თავს, ერთს შემოგვხედავდი და უკვე იცოდით ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი... მე რატომ არ მასწავლეთ ეს?.. რატომ არ მასწავლეთ როგორ მოვერიო, როგორ გავუმკლავდე ამდენ უსამართლობას, ამდენ ბოროტებას, სადაც ყველა მართალია... – თქვენ კი კლასში ამას ოსტატურად ახერხებდით მასწ... ისე რომ ნაწყენი არავინ გყავდა...

„– ელზა?!“

– თქვენ მასწავლეთ, რომ ყოველთვის სიმართლე მეთქვა, ამისათვის დამსაჯეთ კიდევ, ყურიც ამინიეთ, როგორ შემეხეთ, მეთქი, გიჩივლეთ... ყველა ფეხზე დავაყენე... დირექცია, მასწავლებლები, მშობლები... ბოდიში მასწ... ვერ გავითვალისწინე ის, რომ როგორც მოსწავლეს მეც მქონდა მოვალეობები.. მაპატიე... მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ კულისებში ბევრი მომხრე მყავდა, როგორც სიმართლის მთქმელს... მაგრამ საჭირო დროს მარტო დავრჩი, ჩამქოლეს... არ ვნანობ იმიტომ, რომ ყურში ჩამესმის მეგზურად თქვენი სიტყვები: „ტყუილი კარის ძირამდე და სიმართლე შვილიშვილამდე“...

„– იმედა?!“

– ყველგან, ხმამალა ვამბობდი... სახლში, სკოლაში... ლალი მიყვარს, მეთქი... მიყვარდა და დასამალი რა მქონდა, მასწ. ჩუმიად გვერდზე გამინვიე, და ყურში ჩამრჩურჩულე „ჭეშმარიტ სიყვარულს არ უყვარს ლაპარაკი, ის მხოლოდ ქცევით მჟღავნდება, მომავალ მეზღვაურს ეს არ გეკადრებაო“. შემრცხვა... გავნითლდი... ის იყო და ის... მოკვებე... დღეს მე ბედნიერი ვარ, მასწ... – თქვენ უნდა გიმაძღოდეთ, რომ ლალი ჩემი მეუღლეა...

„– მარი?!“

– მე, როგორც ექიმი საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობ მასწ, იცი რატომ?! თქვენ გბაძავთ და იმიტომ... სამართლიანი, ობიექტური, კეთილი, ხალისიანი, თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული, მომთხონი, გამგები, გულწრფელი... თქვენი დამსახურებაა, რომ მე თქვენაირი ვარ და კონკურენტულ გარემოში ძლიერად რომ ვდგავარ, როგორც ძლიერი ქირურგი...

„– გიორგი?!“

– მოჯიბგირე ტიპიანო, სულ გაკვეთილებიდან მაგდებდნენ, მეც ამით ვსარგებლობდი, მიხაროდა... თუმცა თქვენ ამას როგორ გაგიბედავდით, მაგრამ სხვა გაკვეთილებზე სულ გარეთ ვიყავი... მასწოვს როგორ მიცავდით... ჩუმიად მიცავდით...

ამას თუ დაცვა ერქვა, მარტოდ გამინვიეთ და ისე გამლანძლეთ, მერჩივნა ხელი დაგერტყათ... მერე მალულად მოვისმინე თუ როგორ მშვიდად დამრიგებლური ტონით ელაპარაკებოდი ახალგაზრდა ფიზიკის მასწავლებელს – „გაკვეთილიდან ბავშვის გაშვება არაა გამოსავალი, უნდა რალაციით დააინტერესო... შენ ახლა მას მაგით ქცევა განუმტკიცეო“... თუ არადა, არ მიყვარდა არც ერთი საგანი, უფრო სპორტი მიტაცებდა, დილიდან საღამომდე ბურთს ვეკიდებოდი... თქვენ საგანს იმიტომ ვსწავლობდი, რომ ძალიან მიყვარდი, თან ძალიან მეშინოდა, თან მერიდებოდა... ისტორიის მასწავლებელმა მითხრა: „ნახერხიდან ფიცარი გამოვა ისე შენგან კაციო“ – მოხუცებული იყო და არაფერი ვუთხარი, არსადაც არ მითქვამს, არც თქვენთვის მასწ, ისე კი მენყინა. მე დღეს ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი ვარ, და ქართველ ხალხს ვემსახურები... თურმე ნახერხიდანაც გამოვა ფიცარი... ამაში თქვენ მიგიძღვით წვლილი მასწ... იმიტომ, რომ თქვენ ყოველთვის გჯეროდათ ჩემი და საერთოდ საკუთარი მოსწავლეების დიდი მომავლის... თქვენ ჩვენს გამო ყველაფერზე იყავით წამსვლელი... ამიტომაც დიდი იმედი იყავით ჩვენი...

„– ნუგზარ?“

– „ვერ სწავლობსო“, უფრო აქტიურ ბავშვებზე გადაჰქონდათ ყურადღება, მეც წყნარად ვიჯექი, არაფერს ვაშავებდი, სულ ვხატავდი... თუმცა ყველა „მჩაგრავდა...“ თქვენ?... თქვენ... ყველას მეგობარი იყავით, „ყველა ვერ ისწავლის, შვილო, მაგრამ უნიჭო ადამიანიც არ არსებობსო“. თქვენ ნახატები პირველმა გამოიტანეთ სამზეოზე... სკოლის კედლები ჩემი ნამუშევრებით დაამშვენეთ, სტიმული მომეცით... გზაზე დამაყენეთ... მე ახლა კარგი მხატვარი ვარ და მიყვარს ჩემი საქმე... ეს თქვენი დამსახურებაა მასწ, თქვენ კარგად იცოდით ჩვენთან მიდგომის გზები, ყოველთვის აღძრავდით ცნობისმოყვარეობას... „სკოლა არ გააცდინო თუ ვერ სწავლობ კლასგარეშე საქმიანობაში მიიღებ მონაწილეობასო“ – სულ ამას მბარებდით და მეც ხალისით დავდიოდი...

„– ნინო?!“

– „მე თქვენი თვალებით ვუყურებ მომავალსო“ და შენს სულიერ სამყაროში ჩაგვახედე, იქედან ამოგვალე მარგალიტები: სიმშვიდე, იმედი... ღირსება... პატიოსნება, სიყვარული, ნდობა, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა. შრომა... და ეს ყოველივე ჩვენს პატარა სულიერ ქურაში გაგვატარებინე... ასე დაგვაფრთიანე... ასე გავგიშვი ცხოვრების სარბიელზე... რისთვისაც დიდი მადლობა მასწ.

„– ნიკოლოზ?!“

– მასწ, გიორგი სულ დამცინოდა... მერე ვჩხუბობდით, ხან მეცოდებოდა დედით ობოლია, მეთქი... თუმცა ისეთი „მორდა“ ჰქონდა, ჩუმად გითხარი, მაგი, ქალაქელი ბავშვი არ მომწონს-მეთქი, შემოიყვანეთ კლასში თუ არა იმ დღიდან ავითვალისწინე, „ესეც თქვენი მეგობარი იქნებაო“ რომ თქვით, არ გვეჩემა, კაი ხანს ვერ შევეჩვიეთ... მამლაყინა იყო, ყველას ზევიდან დაგვეყურებდა, ვითომდა სოფლებს გვჩაგრაგდა... ცოტა შემეშინდა თქვენი... ვაი თუ მიყვირა-მეთქი... გვერდზე გამიწვიე და ჩუმად მითხარი: „ის რაც არ მოგწონს მასში, ბევრად გეხმარება შეიცნო საკუთარი თავი, ორივე ერთნაირები ხართ... დანარჩენი შენ იფიქრეო...“ გამიღიმე, მხარზე ხელი დამადე და წადი... კაი ხანს ვფიქრობდი, ვერ ჩავწვდი აზრს... თუმცა არც მიხდოდა... დღეს მე და გიორგი კარგი მეგობრები ვართ მასწ... და ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას ერთად ვხელმძღვანელობთ... ესეც ხომ თქვენი დამსახურებაა!..

„– ნიკო... ავთო?!“

– „ყველაზე ძლიერი დარტყმა ადამიანის ღირსებას ხვდებაო“ არ ვიცი რატომ და ვის მისამართით თქვით, მასწ... ერთი ის ვიცი, რომ სულიერი დარტყმა მე და ნიკომ მივიღეთ... ნიკოს დედა გათხოვილი იყო, მამა – სხვაზე დაქორწინებული, ჩემი მშობლები კი გაყრილები, მამა ალთას მყავდა, დედა – ბალთას. ვითომ სამუშაოდ იყო თურქეთში წასული, თუ არადა ამორალურ ცხო-

ვრებას ეწოდა... აგრესიულები, დაუმორჩილებლები ვიყავით... იცი რატომ? ყველა თითს ჩვენსკენ იშვერდა, დამნაშავე ვიყავით თუ არა ყველაფერი ჩვენ გვებრალებოდა... ამიტომაც ჩვენს თავს ჩვენ ვიცავდით და ჩვენც ყოველთვის „დამნაშავის სკამზე“ ვიჯექით... პირველი თქვენ იყავით მასწ, რომელმაც ჩაგვახედა სულში, ტკივილი მოგვიშუშა, ზედ მალამო დაგვადო... და ყველაფრის თავიდან დანყება გვასწავლა...

– „იყიდება საქართველო – გირავდება, ქირავდებაო...“ –

გული შეგტკიოდა, გული შეგტკიოდა და... ჩვენს ნაირ-ნაირ ტკივილს, სხვადასხვანაირ მალამოს უსვამდი... უსვამდი და... შენი დიდი ჭრილობა „საქართველო“ კი – ეულად შიშინებდა... არ შეგეშინდეს მას... ჩვენ რისთვის ვართ, აქ?! შენს უკან ხომ ჩვენ ვდგავართ მთელი არმია, ჩვენ დაგვიამებთ მაგ ჭრილობას... ჩვენ ამოგივსებთ მაგ იარას...

– აააააა! სული მეხუთება!... ბავშვები... სკოლა... –

წამოვარდა...

– რა მოხდა, ბებია?! –

ახლოს მივიდა გოგონა:

თვალეებბრიალა,

მაღალი,

დაკუნთული... –

გვერდზე მიანვინა ოფლში განუწული, დაძვალული სხეული...

– არაფერია, შვილო, „ძილში, სიზმრებად, მოდიან ბავშვები, მოდიან და ნიშნებს მინერენ“...

თვალეები მილულა:

„მასწავლებელთა ფულადი ჯილდო?!“

„ჰმ!“ –

ბამბის ქულასავით გათეთრებული სახე –

ოფლის მსხვილი წვეთები... –

კმაყოფილი:

„მოდიან... ბავშვები მოდიან... და...“

და...

და... ღიმილით შთანთქა აფეთქებული ატმის ყვავილების სურნელი...



ნანა შაინიძე

მიწის ბაბი

– ლაპარაკი ვისწავლე, ცაო, რომ იქნებ ღმერთამდე მიმიტანო სიტყვა... ხომ იცი – მონმე ხარ ჩემი მარადიული ტკივილების.

აი – „მ“ ასოთი იწყება ჩემი სახელიც და ის სიტყვაც, რაც უფალთან უნდა მიმიტანო – მ-ტკივა!.. მთელი სხეული მტკივა, ცაო!

განა შენ არ იყავი, ყოველ ჯერზე რომ წვიმით მბანდი ნაიარევს...

დავიღალე, ცაო, მომიმრავლდა გულზე უღირსი მოსიარულეები... ვკენესი და არ ესმით... ვიბზარები და არ ნუხან... მგლეჯენ და ვერავინ მშველის... მტკივა და არ მიწყლულებენ...

მიმიტანე, გთხოვ, ღმერთამდე, ჩემი სანუხარი...

თუმცა შენ ხომ ჩემი სულის ისეთივე სარკე ხარ, როგორც თვალეები ადამიანის... იმიტომაც ტირი, ბოლოჟამია, ასე გაუთავებლად, რომ ჩემი სულის ტკივილები გადმოიბანო...

ადამის მოდგმას ჰგონია – სული მას უდგას მხოლოდ...

ეჰ! – ეგ ცალკე მისატანი ამბავია ღმერთამდე...

მიიტანე ღმერთამდე ჩემი ნუხილები, ცაო!...

მბრალბ

სანამ რაიმეს ვკითხავდი, ბავშურ, სუფთა თვალეებში შემხედა და მიხვდა, რომ უნდა აეხსნა...

არ დავუჯერე – მატყუებ-მეთქი. არაო, – მითხრა და მასაც ისე შეხედა, თითქოს მთელ სამყაროს ბოდიშს ერთი შეხედვით უხდიდა...

...სკოლის ფორმის მუქი ყავისფერი კაბა მეცვა, ყელსახვევისა და წინსაფრის გარეშე (უკვე ვქალიშვილობდი). ზედასოფლელები ვიყავით, ერთად დაგვიმთავრდა გაკვეთილები და სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდით...

„რასიყემოს“ სახლის აღმართზე ჩამოდიოდა, პატარა ნკეპლა ეჭირა და კი არ ურტყამდა, ეფერებო თითქოს – ისე მოყვებოდა მარალას უკან ჩემი ძმა, თეიმურაზი.

მარალა დედაჩემის შვილივით გაზრდილ კამეჩს ერქვა. ლამაზი, მორკალული რქები და უზომოდ შავი თვალეები ჰქონდა, შავი და სევდიანი...

ყელმოღერებულს უყვარდა სიარული, იქედნურად კი არა, ზოგიერთებმა რომ იციან, პირიქით – ისეთი სანდო და სათნო იყო ამ დროს, ჩახუტება მოგინდებოდა... ჰოდა, ეს ყელმოღერებული და ჩემთან თანშეზრდილი მარალა მიჰყავდა ჩემს ძმას „კვარტალში“ ჩასაბარებლად და იცით რატომ? – დედამ მეზობლის ქალს უთხრა: „ორი წელია აღარ დეისავსაო“...

როცა გავიზარდე, მივხვდი, ამ სიტყვებში რასაც გულისხმობდა დედა...

ყელზე მოვეხვიე, თვალეებში ვაკოცე და ატირებული დავემშვიდობე მარალას...

წავიდნენ, თვალს არ ვაშორებდი, მარალა შედგა, ლამაზი კისერი მოატრიალა და კითხვით სავსე თვალეებით დაუხამხამებლად მიყურა ცოტა ხანს, მერე მიტრიალდა და მორჩილად გაყვა პატრონს სასაკლაოზე... მიდენიდა მარალას

ჩემი ძმა და თითქოს ჩემი ბავშვობაც თან მიჰყვებოდა...

კურდღლის შემდეგ ეს მეორე და შედარებით დიდი ტკივილი იყო, რაც ამ ასაკში განვიცადე. პატარა რომ ვიყავი, მამამ ქალაში ბაჭია იპოვა და მთაში ამომიყვანა, ჩემი თანატოლებით გაივსო ფიცრული ოდა, ბაჭიას შეეშინდა და გული გაუხსკდა...

...წაიყვანეს ჩემი მარალა და იმ წუთიდან მივხვდი – ადამიანები იმდენად უმადურები არიან, მთელი ცხოვრება რომ ემსახურო, თუ დაინახეს,

რომ სარგებელი აღარ აქვთ შენგან, იმ წამიდან შენს მოშორებას შეეცდებიან... ჰო, მიუხედავად იმისა, რომ მარალას რძით ვიზრდებოდი და ვნაყრდებოდი მთელი ოჯახი, მისმა ბერწობამ მაინც „კვარტლისთვის“ გაგვამეტებინა...

...ახლა, როცა ერთმანეთისგან გამეტებულ და ადამიანთა უმადურობას ვხედავ, მარალას „გაკვარტალიანება“ დიდად აღარ მაკვირვებს!..

...წავიდა ჩემი ბავშვობის თვალგვიშერა სასაფლაოზე და ბავშვობისდროინდელი ტკივილები შემატოვა ფირად...

მარტოხმ

...ხანისგან გამომშრალ, გადაღლილ მოცისფრო-მონაცრისფრო თვალებს მალ-მალე გამოაპარებდა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად...

გვერდივერდ ვისხედით, სოფლის ავტობუსი ნაირსახე მგზავრებს ვერ იტევდა.

ახალბედა, პატარა უზრდასრულო დედა ვერაფრით ხვდებოდა, როგორ დაემშვიდებინა გულამომსკდარი შვილი და გათქვირინებულ ძუძუს ძალდაძალ ტენიდა ჩვილს...

მეც გამილღვა გაყინული ცნობისმოყვარეობა და მას დავაკვირდი, გვერდითმჯდომს: ხელები მუხლისთავებზე ელაგა (ბავშვობისას რომ გვჩვევია ხოლმე, ისე), თვალი ვერ მოვაშორე ხელისზურგზე დაკლაკნილ ძარღვებს, რომელიც ბებერი ხის ფესვებს მოჰგავდა... და ფიქრი იქ გამექცა, შორს, სადაც ისე ახლოა ცა – ცოტაც და ღმერთს ხმას გააგონებ...

ამიტომაცაა, მთიელი კაცი ღმერთს რომ ესაუბრება ხშირად...

– დედი, დედი, ჩვენ ზემოთ რომ ხეობა დგას, რატომ არაა ჩვენი ფერის, ან მარტო რატომ დგას?!

...თეთრი ბატკნებივით შესეოდნენ ქვები ფერდობებს.

რძესავსე ძუძუსავით გადმოსადენად მზად იყო მწვანე ტბა...

ვნებაშლილი კაცის სხეულზე აბურძგნული ბალანივით აშლილიყვნენ ნაძვები ტბის ირგვლივ და კეკლუცობდნენ...

– დედი, დედი, რატომ დგას ხეობა მარტოდ? – ჯიუტად იმეორებდა შეკითხვას პატარა...

– ჩუმად ილაპარაკე, არგასაზრდელო! – ჩურჩულით გაუწყრა დედა ნაძვისშვილს და ოდნავ დამთბარი ტონით მიაყოლა: – ეჰ, შვილო! რასაც ეგ მოესწრო და შეესწრო, კიდევ კარგად არის...

მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ - კიდევ კარგი, თვალისჩინიც წაერთვა და ყურთასმენაც აღარ უვარგა, თორემ საკუთარი ტოტებით ამოითხრიდა ფესვებს დღევანდელი შიმშილი...

...წლების ქარტყილებგამოვლილი, უამრავი უსიამო და უსამართლო დღეების მომსწრე, თავსრისხვადატეხილი იდგა ტრიალ ბორცვზე ბებერი, ტოტებჩამოლენილი მარტოხე და დასტიროდა მიწას, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეშერჩენილ ფესვებს უმაგრებდა მთარვალთაგან ათასგზის გადაჯეკნილ მიწას...

დარდობდა მარტოხე:

დაკარგულსაც და აწი დასაკარგავსაც...

გარყვნილსაც და აწი გასარყვნილსაც...

წართმეულსაც და აწი წასართმეველსაც...

მოკლულსაც და აწი მოსაკვლელსაც...

გაყიდულსაც და აწი გასაყიდელსაც...

და ბოლო ჯამში – ყველაფერს ერთად...

ურნმუნოსაც და ღმერთიანსაც ერთნაირად
ეკიდათ ფეხზე სამშობლო...

ჰო, მინა ტკიოდა:

აკვნესებული...

ახვნეშებული...

ატირებული...

სისხლნაკურები...

მუჭა-მუჭა გაყიდული უცხო ტომებზე...

...ვერა, ვერ დაისხამდა მარტოხე მწვანედ
მონასხასე წინვებს, სინდისი არ მოასვენებდა

კარგად ყოფნას და ამიტომაც – ადგა და გახმა...
ყველაფერი სიცოცხლისა, რაც გააჩნდა, მინას
უბოძა, მინას, რომლისგანაც სხვები მხოლოდ
სარგებელს მოელიან და არასდროს უფიქრიათ,
რომ მასაც უნდა მისცე რაღაც და მოეფერო...

მინასაც სტკივა...

იდგა მარტოხე გულგატეხილი და იჭვიანი, და
მწვანეების ირგვლივ აქორჩილი ტყე ეიმედებო-
და მხოლოდლა სამერმისოდ!..

საშპუნის „ჭირი“

...ვერ გაიგებდი, მთის ქიმზე შემდგარი ნაძვი
იყო ცაში გამოკიდებული, თუ ცა ეკიდა კენწე-
როზე!..

შემონაცრისფერებულ მთას ბარიდან დამპყ-
რობელივით ფეხაკრეფით უახლოვდებოდა ნის-
ლების ჯარი...

თითქოს ბარმა უზარმაზარი ყალიონი მოქაჩა
და ბოლი მთას შემოასუნთქა...

მთის მზით ცხვირლოყაგადატყავებული, ფე-
რსავსე გოგო-ბიჭები შეშინებული თვალებით
უყურებდნენ შემომპარავ ნისლს და მათ შორის
ყველაზე უფროსის სიტყვებს იმეორებდნენ:

„ნისლო, ნისლო, აიყარე,
ცხრამთას იქით გადიყარე,
შენი ცოლი ავად არის,
სამი ვაჟი შეეძინა,
ერთი მკვდარი, ერთი ცოცხალი,
ერთი ძლიერ ავად არის,
ადრე მიხვალ – მორჩება,
გვიან მიხვალ – მოკვდება!..“

შემდეგ თავიანთ უსპეტაკეს და ბავშვურ
სულს ნისლს უბერავდნენ – თითქოს მართლა
ჰყოლოდეს შვილები და ეს ლოცვა, რომელიც,
ვინ იცის, რა გზებით და რა რწმენით გადმოეცა
თაობიდან თაობებს, მართლა ახდიდა მთას ბამ-
ბის თეთრ საფარს...

გახლეჩილი ყავრით შემოლობილ ბოსტან-
ში თვალგიშერა ხბოები დაფეთებულ თვალებს
აცეცებდნენ ნისლის ბურუსში და ჯიქანსავსე
დედებს მოიხმობდნენ ბლავილით...

სულისტკივილამდე მომრავლებული, ღობე-
ჩამოშლილი სახლები იმ ძუძუჩამომჭენარ, ბერნ
ქალიშვილებს ჰგავდნენ, სიბერის მარტოობა
რომ გარდაუვალი აქვთ...

ტყის განაპირა კოხტა ნისქვილი კი მთის ბი-
ნულით იგრილებდა გახურებულ გულს და ორ
ქვას შუა ფქვავდა საუკუნის „ჭირს“ – დაცარიელ
მთას!..

დიალოგი საკუთარ თავთან

– რას გაურბიხარ?

– წლებს!

– გეშინია წლების?

– ნნ!

– აბა, რატომ გაურბიხარ?!

– არ ვიცი!

– გგონია გაექცევი?

– არც ეგ ვიცი!

– რამე დაგიშავეს?

– რამე?...

– ესე იგი, კი...

– ...

– რატომ გაჩუმდი?
 – როდემდე ველაპარაკო საკუთარ თავს?
 – ვინმეს ელაპარაკე, თუნდაც მე...
 – ჰმ... მომსმენი ვინ არი?
 – დააინტერესე.
 – როგორ?
 – შეეცადე!
 – არ შემიძლია – აღარ!..
 – შეძლებ!
 – დავილაღე!
 – თავს იმართლებ?
 – არა!
 – აბა რატომ იძახი, რომ დაილაღე? გიფიქრია სხვების დაღლაზე?
 – როგორ არა!
 – ტყუი!
 – როგორ გეკადრება...
 – ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ და გგონიათ მხოლოდ თქვენ ხართ გასაჭირში, მხოლოდ თქვენ არ გიმართლებთ, მხოლოდ თქვენ მიგატოვით უფალმა...

– არაფერიც, მე ასე არ ვფიქრობ!
 – როგორ არა, ფიქრობ... არადა, მიმოიხედე, რამდენი ბედისანაბარა ადამიანი დადის შენს ირგვლივ, რამდენი დაათრევს გაძვალტყავებულ სულით კუპრივით მდულარე ტრაგედიებს... გახსოვდეს, უფალი არასდროს ტოვებს თავის შვილებს – შეეცადე ის შენში იპოვო...
 – აუჰ, ვინა ხარ, ჭკუის ჩამომრიგებლად გამოგზავნა ღმერთმა დედამინაზე? – წერას აუტანიხარ, ვინცა ხარ!
 – ჰმ, რა მარტივია შენისთანების გონის არევა და წონასწორობიდან გამოყვანა...
 – ვინა ხარ-მეთქი?!
 – შენი სინდისი!
 – და (?)...
 – ჰო, სწორად ფიქრობ – ეს მე ვარ შენი შინაგანი ხმა, შენი სინდისი! და სანამ ეს ხმა გესმის, მანამ მოასწარი ნამდვილი სახე დაიბრუნო!
 – ანუ?
 – ადამიანის!

მბონი, გვეშველა!

...ის დროა ზუსტად, ცა რომ მტრედისფერს შემოარტყამს ღამეს და გააძევეს!
 მე კი მერამდენედ შევესწარი განზილებული ღამის გაძევებას, ვინ მოთვლის...
 არ ერჩია, დავეძინებინე? – მიყუროს ახლა უკან-უკან, თითქოს ვენანებოდე დასატოვებლად, თითქოს, ხვალ აღარ მოვა და არ ჩანვება სულში შავი კუპრივით...
 არა, მაინც რა კაია ღამეზე გამარჯვებული ალიონის ხილვა!
 არა ბიჭოს, მე დამეკითხებოდა, ხომ იცი და, არ გათენდებოდა!..
 მე რომ მჩაგრავ და მახნელებ, გეგონა, ისე გაგივიდოდა ყველასთან? არა, ჩემო ღამევე, თუ უფალი ინებებს, კიდევ ბევრჯერ შევესწრები შენს დამარცხებას, თუ არა და, შენ მარადიულად დამარცხდები მაინც, ჩემმა დარდებჩაგუბებულმა და ძილდაკარგულმა თვალებმაც რომ არ გიხილოს...
 ბუნების კანონია ეს და იმიტომ. არ უნდა ახლა მაგ ჩამოღვენილი სახით ყურება – და-

მთავრდე უნდა ამჯერად, არ გაქვს მეტი გზა და საშველი...
 დაილიო უნდა – პაპაჩემის ნაამაგარი ხელის-გულეზივით და ნენეჩემის რძეგამომშრალი, ყურძნის მტევანივით ჩამონურული ძუძუებივით...
 ნადი, ახლა!..
 არაა საჭირო, ყველაფრის მოყოლა სხვებთან... აქ ნანახი და გაგონილი აქვე დატოვე და რამდენიმე საათში ხომ მოეხეტები უკან, ჰოდა, მეც ისევ გამოგიყრუებ მაგ უჩინარ ყურებს, ყველა ქალის უკუღმართ და გაყიდულ ბედზე...
 ჰო, აქ, დედამინაზე, ყველა ქალის ბედს ყიდიან კაცები,
 ზოგი ძვირად...
 ზოგი იაფად...
 ზოგიერთები – გააჩუქებენ კიდევც...
 ჰმ, გაიკვირვა... ვითომ არ იცის, ვითომ ასიათასჯერ არ შესწრები!..
 ...მგონი, მეშველა მეც და, გეშველა შენც – თენდება!!!

ოცნებისფერა

...მე შვილს გავაჩენ და მას ერქმევა დასაწყისიდან დასასრულამდე ჩატეული ყველა ოცნება...

ანუ – ოცნებისფერა...

გავაჩენ და გაჩენისთანავე მოვუყვები – როგორ ვხატავდი შიშველი ხელებით ზეცაზე ფერად იმედებს...

როგორ ვწნავდი ქალის ველური გვირილებისგან გვირგვინს, რომ თავზე დამედგა და წარმომედგინა – ჩემი ოცნების მამაკაცი მარგებდა თითქოს...

მოვუყვები, როგორ შემინითლდა პირველად ყვრიმალეები...

ტყეში გაუქმებულ, საურმე ბილიკზე როგორ მივრბოდი ხელებგაშლილი და ტყეს რომ აბრუებდა ჩემი ყვირილი – მე გავიზრდები!!! რომ გავიზარდე და დიდობაშიც ბავშვად დავრჩი არც ამას დავუმალავ...

პირველ კოცნაზეც მოვუყვები, ცეცხლი რომ წამიკიდა ბაგეზე და გული მუცლის ღრუში რომ ჩამივარდა თითქოს...

ჯერ კიდევ მეხუთე კლასელმა რომ სევდიან

სიყვარულზე წიგნი წავიკითხე და მას მერე „მე-რცია“ რომ სახლობს ჩემში...

არც ჩემს შეცდომებზე გავჩუმდები და ყველაფერს დაწვრილებით ვუაბობ, რომ მან არ გაიმეოროს მსგავსი...

იმ დაცემებზეც მოვუყვები, ყოველ ჯერზე ფეხზე წამოდგომის უინს რომ მმატებდა და მაძლიერებდა...

მოვუყვები: სამშობლოზე, ჩემი ბავშვობის სანახებზე, მეზობლებზე, მეგობრებზე, ნათესავებზე, დედ-მამაზე...

დედაზე განსაკუთრებით – დღემდე რომ ვერ ამოვიკითხე მისი ადამიანური სიღრმეები...

ჰო, მე შვილს გავაჩენ და მასთან ერთად გავიზრდები თავიდან...

მეც გავიბავშვებ, რათა ჩვენს შორის არსებულმა ასაკობრივმა ზღვარმა არ გამიუცხოოს (როგორც ეს ხშირად ხდება, ხოლმე) ჩემი სულის და ხორცის ნაწილი...

მე გავაჩენ შვილს და მას ჩემს ცხოვრებაზე ვუამბობ...



ექს ქუტური

* * *

შემომიმწუხრდი, ხარ ბინდის დარი,
არც ღამედ მექეც და აღარც დღე ხარ,
შენ ჩემი სიზმრის ხარ ბინადარი,
იკითხოს ცხადმა, რომ ვერა გხედავს...

ღია თვალების ნაპირზე მრჩები,
მაინც არაფერს ვყვედრი საწუთროს,
ვუშენებ სიზმრებს წამწამთა ჯებირს,
რომ ცხადმა ველარ მიგისაკუთროს...

ვერ გამოასწრო ბენვის ხიდიდან,
დაიხრჩო სიზმრის ნიაღვარებით,
შენ ჩემი თეთრი წყვდიადივით ხარ, –
არც მითენდები, არც მიღამდები...

ჩემი ხილვების წარღვნავ, – წამწამთა
რიფს მოვარდნილო ზღვად და ზვაფივით, –
რად ვერ გიმეტებ, გამხილო წყალთან
და გაგატანო წყალს სიზმარივით...

* * *

ვერც შენმა ნახვამ ვერ დამაპურა,
არც უშენობა არის ნუგეში...
წვიმს და
ზღვაც თითქოს შამპანურივით,
შუშხუნებს მინის ცისფერ
ფუჟერში...

მშვიდობით! ვისაც მოველით აღარ,
ვინც ჩვენგან დროის მიაქვს დინებას,

ისე მარტო ვარ,
 ყოველი ტალღა
 თითო ყლუპივით
 მომეკიდება...

ცა ღრუბლის ყულფით მიათრევს წეროს,
 სულ მალე ელვის დაკრავს სატევარს
 და ახლა, როგორც
 ზღვას წვიმის წვეთი, –
 მეც ისე დარდი არ
 მემატება...

ზღვა თითქოს სიზმრის მიბრუნებს
 ცხედარს –
 (გუშინდელივით შორსა და ახლოს)
 და თვალებს ვხუჭავ
 ვინმემ უეცრად,
 რომ ჩემს თვალებში არ
 დაგინახოს...

სართული

აყვა თეთრეულს სუნი ლავანდის
 და თეთრი გულის მფეთქავი ჩრდილი,
 მან გადაფინა ზენარი დილით
 და თითქოს გზაზე დაფერთხა
 ძილი...

დაიძრა მხრებით უდაბნოს ხვატი,
 გადმოეკიდა სართული სართულს
 და შეჰყურებდა ათასი თვალი
 შუა ჰაერში გაჭიმულ
 მავთულს...

და თოკზე ასხმულ ზენრებს მძივივით
 მარცვლავდა ქარი და ძილგამქრალი,
 გამორკვეული თითქოს სიზმრისგან
 აჩქარდა გულისცემა
 ქალაქის....

არღვევდა ქარი ზენრის ჯებირებს
 ბზუოდა ფუტკრის სკასავით სკვერი

და სართულს მთელი ქალაქის ჯიბრზე
შეხსნილი ჰქონდა ყველა
სარკმელი...

და ფართხალებდნენ ზენრები ქარში
ფრთებით კი თვალნინ მრავალ მსურველის
ამზეურებდნენ დიდებულ მარშით
ათას ცხელ ამბორს
თავსასთუმლების...

უთვალთვალეზდა ქალაქი სართულს,
სართულს კი ჰქონდა სუნი ლავანდის,
ქარს ნამზეურებ ზენართან გართულს
ათასი კაცის ფიქრი
ზვერავდა...

და როდის... როდის... როცა ხალხს მწველი
მზე წაეკიდა სალსალამათი, –
მოხვია ქალმა თეთრეულს ხელი
და სახლში შეჰყვა მთელი
ქალაქი...

* * *

ფერეიდნელ ქართველებს

ხდება,
შენს თვალებს წაანყდები სადმე
უეცრად,
ბედს მინდობილი,
ცხრა მთას იქით გადაკარგული
და გაოცდები,
უსაშველოდ შენეულია,
ნახვისთანავე თვალებიდან
ყვირის ქართული...

ეს მზერა რამდენ ასწლეულის
სევდას ინახავს,
ოდესღაც ნანახ სიზმარივით გდევს და
გეცნობა,
შენ შეჩერდები,

გააყოლებ თვალს გზად მიმავალს,
იმ კაცს,
რომელსაც შენს მიწაზე
უნდა ეცხოვრა.

პირველი სიყვარული

აცილებ როგორც გადამფრენ ფრინველს,
სანახებისკენ სხვა ცის და მიწის,
როგორ უხდება სიყვარულს პირველს
გულანთებული წყვილების ფიცი...

რომ მხოლოდ ქოხიც გაცხოვრებს ისლის
სულ ცოტა ნისლით და მზის არილით,
რომ სიცოცხლესაც გაიღებ მისთვის,
რამე წვრილმანი სახსოვარივით...

და ვარსკვლავეთთან ზიარ ნიშნობას
თან ჟრუანტელის ახლავს მხეველები
და ფიცს იბარებს იმ წამს ბავშვობა,
ვით საქორწინო საკურთხეველი...

აქვს ყველა სიტყვაც, მონმეს იდუმალს
სიმართლის ოქროს წყალით ნაფერი,
ის ქარაფშუტა მესაიდუმლე
ვითომ ბევრის და არც არაფერის...

მას შემდეგ, თითქოს თავად ავსულთა
დახლართეს ჩვენი ბედ-იღბლის ნართი,
რადგან ძვირფასო, მერე ასრულდა
რაც სიტყვებს შორის დარჩა და არ ვთქვით...

შენი ფიცი და ჩემი უარიც –
(ვით ორლესული ხმალი ვერსალის),
თურმე ორივე იყო ტყუილი
მაშინ რომ ჟღერდა სიმართლესავით...

შემოიკიდეს ყინვებმა ცეცხლი,
შეიბა ზეცის კიდემაც კარი,
არც მე შემაშრა დიდი ხნით ცრემლი
და ვერც შენ თავი ვერ მოიკალი...

თვალეზში მაყრის სარკის ნამსხვრევეზს
 კვლავ დედოფალი, – ავი ზამთარი
 და უძღური ვარ, ვიყო მას მერე,
 იმ ტყუილივით ალალმართალი...

ჭიამამიბ – მბჰოვნინე

„ხვალ თუ კარგი დარია, გაფრინდი“

შენ მპირდებოდი ხვალინდელ დარებს –
 (მისევდა მაინც ცა წვიმის
 მდევრებს),
 – მე გაპატიე ყველა ავდარი,
 რომ დადგა
 შენი გაფრენის მერე...

მეც, ერთ დროს, დედის პოვნის იმედით,
 გაძებნინებდი წვრილმანს,
 არადა –
 მე დედას როგორ გაპოვნინებდი,-
 ჭიამამიავ,
 ჩემიც არ მყავდა!

მოგონილი დრო

ცხოვრობ გამოგონილ დროში,
 (როგორც ბედად დაჰყვა ჰალერს)
 და მზის ანთებიან რგოლში
 სუნთქავ გამოგონილ ჰაერს...

გკვებავს მოგონილი სითბო,
 ცხოვრობ გამოგონილ ხალხში,
 გავხარ უსაფუძვლო სინთეტს
 და ხარ ვილაცათა მსგავსი...

გკურნავს იმედების თოვლი,
 გფიტავს მოლოდინის სნება,
 შენი არაფერი, მგონი,
 სევდაც მოგონილი სევდა...

ცრემლიც მოგონილი, ფუჭი,
 მზერაც ნაძერწი და ხმელი,
 ღიმიც მოგონილი, ტუჩთან,
 თითქოს მიხატესო ხელით...

ჭარბი სიხარული უფრო
 კარგად შეთითხნილი ფარსი,
 შენშიც ბოლო-ბოლო უფალს
 აქვს სულ გრიმიორის ფასი...

...და შენს გამოგონილ დროში
 ძერწავ, კვლავ იგონებ, ომობ
 და ისე უეცრად კვდები,
 ბოლომდე გჯერა რომ ცხოვრობ...

ბიზანო

აიხედავ და თითქოს მზის არის,
 წვიმს და წვიმიან ამინდს ამშვენებს,
 მაგრამ ცის სახლი, – ის აივანი,
 ერთ დღეს უეცრად ამოაშენეს...

იყო ზღაპრიდან ამონარიდი,
 უცებ ქუჩაზე ჩამონვა ღამე
 და ყველა დროის ყველა ამინდი,
 მოულოდნელად დატოვეს გარეთ!

დათმეს კამკამა ათინათები –
 ქარში ერთმანეთს როგორ იჭერენ,
 ვერც ნაბიჯ-ნაბიჯ, ასკინკილათი
 იხტუნავებენ წვიმის ბიჭები.

რაც უსაზღვროც და მისანვდომიც
 გაუნანილეს კედლების წყვილად
 და ფარატინა თბილი ნიავიც
 ოთხმა კედელმა გამოამწყვდია.

არავინ გრძნობდა სინანულს მაინც
 ოთხი კვადრატის მტკიცე საბაბით!
 და ფეხარეულ ფოთლებსაც ანი
 მიუხურავენ ცხვირწინ დარაბებს...

როგორც უსულო მკერდზე კარატი
ჩაქრა ძვირფასი ქვა და მინავლდა,
სახლს მოემატა ოთხი კვადრატი,
ქუჩა ათასით დაპატარავდა.

თითქოს განწყვიტეს გრძელი ამბავი, –
საპნის ბუშტების ცაში გაშვების
და დიდების თვალს მიუსაფარი
გაიზრდებიან ჩქარა ბავშვებიც.

ათასწლის მერე

ვერ ვცან სიკეთე შენი, განგებავ,
ვის გზად ეკალს შლი, ვის გზად ხავერდებს,
ათასჯერ მაინც გთხოვე განგებ და
შემთხვევით ერთხელ არ შემახვედრე.

ძლივს ამოითქვეს სული ხევებმა,
ძლივს ნისლიანებს დაეხსნენ სერებს,
არ გამივლია გულში ერთხელ და
გზად გადამყარე ათასწლის მერე...

ეს ნიშნავს, ცასთან ზიარ მყინვარებს,
ჩამოუქროლოს ურჩმა ნამქერმა,
ნიშნს გიგებს, ახლა გვერდით მივყვები
ფეხის და გულის აუჩქარებლად...

უნინდებურად არც სუნთქვა მეკვრის,
ალარც ვნითლდები, არც თვალს ვარიდებ,
ვინც უფალივით მეგონა ერთი
ვესაუბრები ახლა ამინდზე...

ადექსანდრა იონოვი

ღუპბმ პური

იმ დღეებში, როცა ყინვა და ქარი განსაკუთრებით მძვინვარებს ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში, სერიოჟა სახლიდან გარეთ არ გამოდის. საწოლზე მოკალათებული და სქელ ბამბის საბანში გახვეული... დიდხანს ოცნებობს... უწინარეს ყოვლისა, წარმოიდგენს, რომ ლენინგრადიდან ფაშისტები უკვე გარეკეს. შემდეგ კი ყველაფერი ისე ხდება, როგორც ზღაპარში. რაც მთავარია, ჩნდება ბევრი პური. საფუნთუშეში თაროებზე და ვიტრინებში აწყვია სურნელოვანი, შებრანული ახალგამომცხვარი შავი პური...

ოცნებაში სერიოჟას თავი ხაბაზი ჰგონია. პურის ქარხნის გრძელი დარბაზი... ნელა მოძრაობს კონვეიერის ლენტი, რომლებზეც აწყვია ცხელ-ცხელი, მადისაღმძვრელი პურები. თეთრ ხალათსა და თეთრსავე ქუდში გამონყოფილი სერიოჟა ყურადღებით ითვლის პურებს, რათა არც ერთი ცალი არ დაიკარგოს და ყველას ერგოს. იგი ცხადად გრძნობს ხორკლიანი, ღუმლის სიმხურვალისგან დახეთქილი პურის ყუას. ახლა სუნს არ იკითხავთ, რომაგულ, შეუდარებელ სუნს? სერიოჟას გვერდით დგას ძია ფედია – მეზენიტი. მისი ბატარეა ახლა დაბანაკებულია სკვერში, მოსკოვის სადგურის მახლობლად და როცა ქარი და მკაცრი ყინვები არაა, სერიოჟა ხშირად დადის მეზენიტებთან. მის ოცნებებში ბიძია ფედია პურის ქარხნის დირექტორია და

არა ჯარისკაცი. ისინი ერთად ითვლიან პურებს, შემდეგ კი, როცა მთელი ქალაქის საკმარის პურს გამოაცხობენ, ბიძია ფედია უბრძანებს სერიოჟას, აკრიფოს პურის ნამცეცები კონვეიერზე, ნაწილის შეჭმის უფლებასაც აძლევს. ნამცეცები პურზე უფრო გემრიელია, კბილებში დნება. ამიერიდან სერიოჟა მხოლოდ ნამცეცებს იკმარებს, პური რატომ დახარჯოს? იგი ხომ სხვებს უფრო სჭირდებათ. რამდენი პურია საჭირო, რომ ყველა ადამიანს თითო ცალი მაინც ერგოს? ათასობით! არა, პურს იგი ხელს არ ახლებს, დედას ნაულებს როგორც თავის, ისე მის წილსაც. დაე, დედამ ჭამოს, თვითონ კი ნამცეცებითაც გაიტანს თავს. ნამცეცები შეიძლება მშრალადაც ჭამოს და რძეში ჩალობილიც. თუმცა რძეც არ არის აუცილებელი. რძე, უმჯობესია, ბავშვებს მისცენ. სერიოჟა კი, რაკი ფურნეში მუშაობს, მაშასადამე, პატარა არ არის...

სერიოჟა ფიქრებში იძირება და არ ესმის, რომ დედა ეძახის. იგი უკვე მეხუთე დღეა, რაც შინიდან გარეთ არ გასულა. არ ყოფილა არც საფუნთუშეში და არც სამუშაოზე. საფუნთუშეში იმიტომ არ მიდის, რომ პურის ტალონები სადღაც დაკარგა, სამუშაოზე წასვლის ძალა კი არა აქვს. მეხუთე დღეა თვალღია წევს, მაგრამ მისი თვალეები ვერც ვერავის ხედავენ და არც არაფერს გამოხატავენ. ალბათ დედაც რაღაცა-

ზე ფიქრობს. იქნებ სერიოზოსავით ფიქრობს იმ დროზე, როცა ყოველი ადამიანი შეძლებს თავისთვის მთელი პური იყიდოს, ანდა იქნებ არაფერზეც არ ფიქრობს. უბრალოდ წევს, ყველაფრისგან გამოთიშული და გულგრილი...

– სერიოზა... – ჩურჩულებს დედა. ამჯერად შვილს ესმის, ფურნე და მასთან ერთად პური, მისი სითბო და სურნელებაც მაშინვე ქრება. სერიოზა თბილად ეხვევა საბანში და დედის მიღებული ხმას უსმენს.

– სერიოზა... იქნებ ბატარეაზე გაგველო, ა?... ჯარისკაცები სუბს გაჭმევდნენ და ცოტათი დაწყურდებოდი...

– შენ, დედა?

– მე აღარ მინდა, შვილო...

დღეს დედა ძალიან ცუდად გამოიყურება... ბოლო დღეებში ცოტას ლაპარაკობს. გიშერივით შავი თვალებით შესცქერის სერიოზას და დუმს.

მისი წყენინება არ შეიძლება. ეს კარგად იცის სერიოზამ და სწრაფად ეთანხმება დედას.

– კარგი, დედა, წავალ... ძია ფედია ორცხობილას შემპირდა... სამ დღეში კი ახალ ტალონებსაც მოგვცემენ...

სერიოზას უძნელდება ლაპარაკი, მაგრამ, რა ქნას, დედა ხომ უნდა დაამშვიდოს, ამიტომ წყნარად განაგრძობს:

– ბატარეაზე საიდუმლოდ მითხრეს, თხუთმეტში პურს გვიმატებენო. სამას-სამას გრამს მოგვცემენ თურმე. მართალს გეუბნები, დედი, მართალს, არ გატყუებ!

– კარგი, შვილო... მჯერა... ნადი ძია ფედია-სთან, ის კეთილი კაცია...

სერიოზა ნელა ჩამოდის სანოლიდან და დიდხანს ფუთნის დედას საბანში. შემდეგ ფეხაკრეფით გადის ოთახიდან და ფრთხილად ეშვება ხარახურითა და თოვლით სავსე კიბეზე.

დიდ ძველ შალში გახვეული სერიოზა ნელა მიაბიჯებს მოსკოვის სადგურისკენ, სადაც ორცხობილას შემპირდნენ.

ბატარეაზე შეეჩვივნენ სერიოზას ვიზიტებს, მიწურში შესვლისა და გათბობის ნებასაც აძ-

ლევნ. ბიჭი აქ ყველა მეზენიტეს იცნობს. იცის, ომამდე ვინ სად და რად მუშაობდა. ჯარისკაცები მეტად კეთილნი არიან, კარგად ეპყრობიან სერიოზას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ძია ფედიას უყვარს და ებრალება იგი. სერიოზასთვის მას ყოველთვის მოაქვს ცხელი, სურნელოვანი ზატირუხა. ზატირუხა ჭვავის ფქვილის სუბია. ქვაბიდან დაფნის ფოთლის სუსტი სუნი ამოდის. სერიოზა ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპად ხვრებს ზატირუხას და შემდეგ ქვაბს ცხელ წყალს ავლებს... როცა ძია ფედია ზატირუხასთან ერთად პურის ნატეხს ან ორცხობილას აძლევს, სერიოზა ამ სიმდიდრეს ხელს არ აკარებს, ჩუმად იდებს ჯიბეში და დედასთან მიაქვს. სუბსაც სიამოვნებით ნაულებდა დედას, მაგრამ როგორ ნაულოს ამ სიშორეზე ქვაბით სუბი.

დღეს სერიოზას სიარული უჭირს. ჩვეულებრივზე მეტი დრო მოანდომა ბატარეაზე მისვლას. ან ქარია გუშინდელზე ძლიერი, ანდა ბოლო დღეებში უფრო დასუსტდა ბიჭი.

მეზენიტეები სერიოზას მიწურში ხვდებიან, დღევანდელი ბრძოლის შემდეგ ისვენებენ.

– ბიჭო, სად დაიკარგე?!

– ორი დღეა არ ჩანხარ...

– ოჯახში ყველაფერი რიგზეა? დედა როგორაა, ჯანმრთელადაა?... – დააყარეს მისვლისთანავე შეკითხვები.

ბიჭი გახარებული შეჰყურებს მეგობრებს და არ ეუბნება, რომ თავბრუ ეხვევა და სიცივისგან იყინება. ერთი რომ ნაიქცეს, ველარც ადგება ზეზე. იმას კი არ ფარავს, რომ დედა მძიმედ ავადაა და რამდენიმე დღეა ლოგინიდან ვერ დგება.

– ტალონი დაკარგა, უპუროდ კი სამინლად დაუძღურდა, – ამბობს ბიჭი. მეზენიტეები ხმას არ იღებენ... სერიოზაც ჩუმდება. ბიჭმა იცის, რომ ჯარისკაცები ვერაფრით დაეხმარებიან, ბლოკადის გამო თვითონაც მცირე ულუფაზე არიან. მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც უთბობს გულს – იქნებ ცოტა ორცხობილა მაინც გამონახონ მისთვის. სერიოზა მას დედას მიუტანს და ახალი ტალონების მიღებამდე თავს როგორმე გაიტანენ, მანამდე კი სულ რაღაც

სამი დღე დარჩა... ალბათ, ჯარისკაცებიც ამაზე ფიქრობენ, ვინაიდან ფედია დუბინინის წინადადებას – როგორმე დაეხმარონ ბავშვს, ყველა მხარს უჭერს.

– წავალ, მამასახლისს ვნახავ, – ამბობს ფედია. – შევეცდები ჩემი ხვალისნდელი პურის ნორმა გამოვართვა.

ერთ-ერთი ამხანაგი ფედიას მხარზე ხელს უთათუნებს და ეუბნება:

– ფედია, მოდი ჩემი წილიც გამოართვი.

– ჩემიც...

– ეგ რა არის! მთელი ბატარეისა გამოართვი! ერთ დღეს როგორმე გავუძლებთ...

დუბინინი მიდის და დიდხანს არ ბრუნდება. ამასობაში რომელიღაც მეზენიტეს ბიჭისთვის ცოტა სუპი მოაქვს. სეროჟა თბილ ღუმელთან ზის, ცხელ წვენს ხვრეპს და ფედიას ელოდება. ის კი არ ჩანს.

ბატარეის მამასახლისი გამოცდილი ჯარისკაცი მატვეი კრავჩუკი იყო. თავის უბანზე მას იდეალური წესრიგი ჰქონდა, უყვარდა დისციპლინა და სხვებსაც წესდების ზუსტად და განუხრელად შესრულებას სთხოვდა.

– გამიგე, ფიოდორ, არ შემიძლია... უფლება არა მაქვს, ერთი დღით ადრე გავცე პროდუქტი.

– როგორ არ გესმის, ბავშვს დედა უკვდება... თვითონაც სანთელივით დნება...

– სპეციალური ბრძანებაა, ვერ დავარღვევ... ბატარეის უფროსი პროდუქტის საკითხში ძალზე მკაცრია... როგორ წავართვა ჯარისკაცს პურის უკანასკნელი ლუკმა?

– ამხანაგო უფროსო, ბავშვი რომ ნახოთ...

– რად მინდა ნახვა, არ ვიცი თუ რა, – ბრაზობს კრავჩუკი. – დღეს პურს მოგცემთ და ხვალ ქვემეხებთან დგომას ვერ შეძლებთ.

– შევძლებთ... უნდა შევძლოთ... ჩემი წილი მაინც მომეცით. ვერავინ გაიგებს...

ბოლოს, როგორც იქნა, მამასახლისი დათანხმდა. მართალია, მთელი ბატარეის პურის მიცემა ვერ გაბედა, მაგრამ ერთი მთელი პური მაინც მისცა, მაგარი, შავი და ქვასავით მძიმე.

შინ სეროჟა მარტო არ დაბრუნებულა. მის გვერდით მძიმედ მიაბიჯებდა ძია ფედია, რომელსაც ფარაჯის ქვეშ ძვირფასი ტვირთი ჰქონდა დამალული.

აგერ ძველებური სახლი ლიგოვსკოეს ქუჩაზე. სადარბაზოში ისე ბნელა, რომ თვალთან თითსაც ვერ მიიტან. აი, ახლა აივლიან კიბეს, აჭმვენ დედას და ისიც, ალბათ, ღიმილით გადმოხედავს შვილს. ადრე ხომ მუდამ იღიმებოდა.

– ძია ფედია, – ეუბნება სეროჟა ჯარისკაცს, ვიდრე ოთახში შევლენ, – დედას ცოტა პური მიეცით... ერთბაშად ბევრი არ შეიძლება...

– შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, შვილო, მე ვიცი, როგორ ვაჭამო.

ზამთარში ლენინგრადში ადრე ღამდება. განსაკუთრებით ახლა, როცა ქალაქი ჩაბნელებულია...

ფედია სანოლთან მიდის და საბანს ფრთხილად ეხება.

– გამარჯობა, დიასახლისო! მოულოდნელი სტუმრები გყავს, აი, ცოტა პური მოგიტანეთ...

ძია ფედია ხმადაბლა ლაპარაკობს, მაგრამ ყოველი სიტყვის შემდეგ ხმა სულ უფრო და უფრო უწყდება. ბოლოს იგი ჩუმდება, ყურადღებით აკვირდება ქალს და ნელა იხდის ქუდს. შემდეგ საბანს უსწორებს, სეროჟას გულში იკრავს და ეუბნება:

– დავაგვიანეთ, შვილო... მას უკვე აღარ სჭირდება პური... მაგრამ შენ არ იტირო... ვაჟკაცურად იყავი...

– მე არ ვტირი, ძია ფედია, – წყნარად პასუხობს სეროჟა. იგი მართლაც არ ტიროდა.

ჯიბია, ჯულიუსია



ნინო დარბაისელი

ი. ბროდსკის ერთი ლექსის შესახებ (მესიჯი ნინო დათუკიშვილს)

ნინო მოგესალმები,

ხვალ დილით, ათის ნახევარზე ამერიკული დროით, თბილისურად კი საღამოს შვიდის ნახევარზე, შენი წყალობით, ქართველ რადიომსმენელს ბროდსკიზე უნდა ვესაუბრო, სულ რაღაც ათი წუთით, ჩემთვის ეს ისეთი ცოტაა, ისეთი ცოტა! – თითქოს ამისმაგვარი:

„მოგესალმებით, მე ვარ ნინო დარბაისელი სტრონი, მე ბროდსკი მიყვარს, მჯერა, თქვენც ასევე, მომავალ შეხვედრამდე!“, არადა, ჩვენ ხომ იმ თაობას ვეკუთვნი, ვისაც მასზე საუბარში, ჩურჩულში მთელი საღამოები გაგვიტარებია, ხელიდან ხელში გადაგვიცია მისი ლექსები, რომელიც ხელნაწერებით ვრცელდებოდა მხოლოდ „განდობილთა“ შორის... პრინციპში, რაღაცის მოხერხება შეიძლება, თუ მართლა მართო იმ ლექსზე ვისაუბრებ, რომელიც ბოლო დროს ძალზე პოპულარულია რუსეთშიც, ამერიკაშიც და უთუოდ ამის გამო, ჩემმა თარგმანმაც, რომელიც ადრე ალბათ შეუმჩნეველად ჩაივლიდა, ინტერნეტში დიდი პოპულარობა მოიპოვა და მიხარია, რომ ეს თარგმანი „დარჩი ოთახში“ შენც მოგწონებია. შენს გემოვნებას კი, როგორც იტყვიან, შემიძლია, თვალდახუჭული ვენდო. ისე კი, ამთავითვე მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს ლექსი თავად ბროდსკის არ მიაჩნდა თავის მნიშვნელოვან ქმნილებად, 1970 წლით დათარიღებული კია, მაგრამ მგონი, თითქმის ოცი წელი წიგნშიც არსად შეუტანია. ფრთხილი ეჭვიც კი მინდა გაგიზიარო, რომ გაცილებით გვიანდელი უნდა იყოს, ოღონდ ეგ თარიღი უზის. ასე ხომ არცთუ იშვიათად მოქცეულან სხვა პოეტებიც. ისეთი დისტანციიდან ჩანს დანახული ლექსში ასახული სიტუაცია, ისეთი სახასიათო პლასტები გამოსჭვივის მასში, რომ რემინისცენციის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, თუმცა ეს ტექსტოლოგებმა არკვიონ!

აქ დაგიდებ ჩემს თარგმანს ორიგინალთან ერთად:

იოსებ ბროდსკი

* * *

დარჩი ოთახში, არ მოტყუვდე, რა გინდა გარეთ.
მზეს რას დაეძებ, თუ აბოლებ „შიპკა“-სიგარეტს.
კარს იქით ყოფა უაზროა, შვების თარეში,
სულ წამით გადი, თუ დაგჭირდა საპირფარეშო.

დარჩი ოთახში, ნუ იძახებ, შეეშვი მოტორს,
სივრცე მოიცავს მრიცხველამდე ამ ერთ კორიდორს.
და შენმა ფურმა თუ მთქნარებით თავი შემოყო,
ისე გააგდე, ტანზე გახდაც კი არ დაუნყო.

დარჩი ოთახში, თითქოს ქარმა ჭვალი შეგასო,
რა არის ქვეყნად სკამ-კედელზე საინტერესო.
რად გინდა გასვლა, ღამით მაინც აქ დაბრუნდები.
ისევ ისეთი, ტანჯვით უფრო განამრუდები.

დარჩი ოთახში. ბოსანოვას ცეკვა გიშველის.
პალტოს ქვეშ ტიტველს ფეხიც ჰქონდეს ტუფლში შიშველი.
წინკარში საცხის და კომბოსტოს მძიმე სუნია.
იმდენი წერე, ერთი ასოც მეტობს სრულიად.

დარჩი ოთახში. დე, ოთახმა იცოდეს მარტო,
რას ჰგაეხარ ახლა. საერთოდაც, ეს ინკოგნიტო
ერგო სუმიან. სუბსტანცია გულს რაღად ერჩის.
დარჩი ოთახში. ჩაი გარეთ – სვან საფრანგეთში.

ნუ ისულებლებ. რაც ხარ, დარჩი. სხვა ფუჭად შვრება.
დარჩი ოთახში, ანუ ავეჯს მიეცი შვება.
შეზარკადდი შკაფს უკან, შპალერს ზედ მიესუსე,
დაუსხლტი კრონოსს, კოსმოსს, ეროსს, რასას, ვირუსებს!
(თარგმანი წინო დარბაისელი სტრონისა)

ИОСИФ БРОДСКИЙ

* * *

Не выходи из комнаты, не совершай ошибку.
Зачем тебе Солнце, если ты куришь Шипку?
За дверью бессмысленно всё, особенно – возглас счастья.
Только в уборную – и сразу же возвращайся.

О, не выходи из комнаты, не вызывай мотора.
Потому что пространство сделано из коридора
и кончается счётчиком. А если войдёт живая
милка, пасть разевая, выгони не раздевая.

Не выходи из комнаты; считай, что тебя продуло.
Что интересней на свете стены и стула?
Зачем выходить оттуда, куда вернёшься вечером
таким же, каким ты был, тем более – изувеченным?

О, не выходи из комнаты. Танцуй, поймав, боссанову
в пальто на голое тело, в туфлях на босу ногу.
В прихожей пахнет капустой и мазью лыжной.
Ты написал много букв; ещё одна будет лишней.

Не выходи из комнаты. О, пускай только комната
догадывается, как ты выглядишь. И вообще инкогнито
эрго сум, как заметила форме в сердцах субстанция.
Не выходи из комнаты! На улице, чай, не Франция.

Не будь дураком! Будь тем, чем другие не были.
Не выходи из комнаты! То есть дай волю мебели,
слейся лицом с обоями. Запрись и забаррикадируйся
шкафом от хроноса, космоса, эроса, расы, вируса.

* * *

არ მეძინება. ეტყობა, ვლელავ და კლავიატურაზე კაკუნით მინდა, გავიყვანო დრო დილაძდე.

საოცრად ნელა კი გადის. იქნებ უკეთესიცაა, წერა-წერაში უფრო ჩამოვყალიბდები სახვალიოდ. თუნდაც ამ ერთ ლექსზე იმდენია სათქმელი, იმდენი ამოუხსნელი მომენტია მასში. შეიძლება ითქვას, რომ მისი ათასნაირი ანალიზი არსებობს გამოქვეყნების დროიდან, არც ისე დიდი ხნის წინათ რუსეთში „ძლიერი ტექსტების“ პროექტის ფარგლებში მისი საჯარო განხილვაც კი იყო. დევს მასალები ინტერნეტში. თუ ვინმე სერიოზული ლიტმცოდნისა თუ პოეტის სახელი გსმენია, თითქმის ყველა მონანილეობდა მასში. ცხადია, ამ მასალებს გულდასმით გავეცნობოდი, ვიდრე სათარგმნელად ხელს მოვკიდებდი. განა ყველა მთარგმნელი ასე არ მოიქცეოდა?

საკუთარი ლექსის ანალიზი არაერთხელ დამინერია, სხვისიც – მრავალჯერ, მაგრამ ახლა ვატყობ, რაღაც იქითკენ მიმირბის ფიქრი, რომ რამე ასეთი დავენერო – ბროდსკის ლექსის ანალიზი ჩემი თარგმანითურთ, ანუ საუბრისას ბროდსკის ლექსის პარალელურად შესაბამისი მომენტის ჩემული თარგმანიც დავდო... ცოტა არ იყოს, შემეშინდა ახლა: როგორც მთარგმნელი, ჰარაკირს ხომ არ ვიტარებ? თუმცა რა უჭირს, ბროდსკიზე მე კი არა, ჩემზე დიდად აღმატებულმა არაერთმა ქართველმა მთარგმნელმა წაიტეხა კისერი, თუმცა კარგი თარგმანებიც არსებობს, ჩამოთვლა შორს წავიყვანდა და ვილაც აუცილებლად გამომრჩებოდა. ვიდრე შემეკითხებოდე, თავად გეტყვი, რომ ყველაზე მეტად ბროდსკის ბათუ დანელიასეული თარგმანები მიმაჩნია ღირებულად. ალბათ ყველა დამეთანხმება, ვინც ამ სფეროში ჩახედულია.

ვნერ და ვატყობ, რაღაც ჩართვა-ამორთვები მაქვს. ხან შენ გესაუბრები, ხან – საკუთარ თავს. გუშინ, გადაცემის გეგმაზე შენთან საუბრისას გამახსენდა, როგორ გვქონდა ბროდსკიზე ფიქრის დროს ერთმანეთში არეული მითი და სინამდვილე და მხოლოდ მრავალი წლის წინ, როცა ხელი მიმინვდა მისი შემოქმედებისა და ცხოვრების რეალურ ტექსტებზე, რაღაც გულგატეხილობასავით დამეუფლა, რომ ამდენი მითი მომიკვდა. გახსოვს? – გაგონილი გვქონდა, რომ ერთ ლამეს ბროდსკი ჩუმად ჩამოვიდა საქართველოში და ოთარ ჭილაძეთან მივიდა, ასევე, რომ მისი შეყვარებული ჩვენთან, თბილისში, გერმანულ სკოლაში რუსულს ასწავლიდა, რომ ემიგრაციაში წაყვანა უნდოდა და არ გაატანეს. ვგულისხმობ პოეტ დალი ცაავას, რომელთანაც ბროდსკის წრფელი მეგობრობა აკავშირებდა და რომლის მოგონებებიც გვიან გამოქვეყნდა იმის შესახებ, როგორ მსჯელობდნენ ერთად

გალაკტიონის „მერის“ ბელა ახმადუღინასეულ თარგმანზე და როგორ ცდილობდა ბროდსკი, ეთარგმნა „ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა“ და როგორ აღიარა, რომ მთელი ღამე გაათენა და პროგრესს ვერ მიაღწია პირველი სტრიქონის მერე.

რალაციით ერთმანეთს მაგონებს ამ ორი პოეტის ყრმობის თავგადასავალი. ბროდსკიც გალაკტიონით ცუდი მოწაფე იყო სკოლაში, გალაკტიონით ისიც კლასში ჩარჩა და ის სასწავლებელი მიატოვა. მასაც გალაკტიონით უნდოდა, კარგი განათლება მიეღო, სულ დამოუკიდებლად მეცადინეობდა, ინგლისური და პოლონური – ღამის დამოუკიდებლად ისწავლა, თავისუფალ მსმენელადაც დადიოდა საინტერესო ლექციებზე, საბოლოოდ ნობელიანტმა და არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა სამშობლოში რვა კლასის ატესტატიც კი ვერ აიღო, მერე ჩვენ რომ ღამის სკოლას ვეძახდით, იქ გადავიდა, იარა-იარა და როგორც წერენ, ატესტატამდე ვერ მივიდა. გალაკტიონს კიდეც, ერთი რალაც, მოსკოვში გაგანია რევოლუციის დროს ჰქონდა გავლილი ორთვიანი სარეჟისორო კურსები და საბუთების შევსებისას ზოგჯერ „პროფესია – რეჟისორი“ წერდა.

ცხადია, გული დამწყდებოდა, რომ გავიგებდი, გალაკტიონის თარგმნა სცადა ბროდსკიმ და არ გამოუვიდაო, მაგრამ იცი, რა? ახლა უცნაურ რალაცას გეტყვი, რუსული თარგმანები გალაკტიონს ასე თუ ისე, არ აკლდა, ინგლისური თარგმანების სიმწირე კი ხელს უშლიდა ფართო ასპარეზზე გასვლაში. მოხდა ასეთი რამ, გია ჯოხაძე ბროდსკზე მუშაობისას დაუკავშირდა თავისთვის უცნობ, სინამდვილეში კი ცნობილ ამერიკელ პოეტს, დრამატურგსა და მთარგმნელს ლინ კოფინს, – ადრე, ამერიკაში ახლად ჩამოსული ბროდსკის მდივან-ასისტენტს, რომელსაც მანამდე საქართველოს არსებობა, მგონი, არც კი გაეგონა. გიამ ისე გააცნო და შეაყვარა ქართული ლიტერატურა, რომ ლინმა არა მხოლოდ გალაკტიონი, არამედ რუსთაველი, ბარათაშვილი და უამრავი სხვა პოეტი და პროზაიკოსი თარგმნა და თარგმნის.

სხვათა შორის ლინს, რომელიც ქართულსაც ეუფლება, აქ ამერიკაში გამოცემული აქვს წიგნი „იოსებ ბროდსკი – იოსებ ბროდსკია“, მგონი, ამ წიგნის ფრაგმენტები ქართულადაც ითარგმნა.

ეჰ, ლობე-ყორეს მივედ-მოვედები ახლა მე, კონკრეტულად კი ერთ ლექსზე მსურდა მელაპარაკა, ამიტომ მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავალ. ლექსი, შენც იცი, დიდი არაა, დიდ აზრთა სხვადასხვაობას კი იწვევს.

იმზეც კი არ არიან მკვლევარები საბოლოოდ შეთანხმებული, თუ ვინაა ადრესატი, ვის მიმართავს ავტორი მრავალგზისი, იმპერატიული დაჟინებით, „ოთახში დარჩიო“. ზოგი აზრის თანახმად, აქ ზოგადად საბჭოელი ადამიანი იგულისხმება, ადამიანი, რომელიც ჩაკეტილ სივრცეშია მოქცეული და არავითარი სხვა გამოსავალი არა აქვს. მეც გავიზიარებდი ამ თვალსაზრისს, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. იმპერატიული, ბრძანებითი კილოთი გაჯერებულ ამ ტექსტში აშკარად ჩანს, რომ მიმართვის ობიექტს არჩევანის საშუალება აქვს, მას შეუძლია, არა მხოლოდ კომუნალური ბინის კორიდორში გავიდეს, არამედ ტაქსიც კი გამოიძახოს, კარს მომდგარი ქალიც – მილკაც შეუშვას ან არ შეუშვას თავის ოთახში. ეს მაფიქრებინებს, რომ ავტორი არა ვინმე სხვას, არამედ საკუთარ თავს უნდა მიმართავდეს.

ჟანრობრივად მკვლევართა ერთ ნაწილს ლექსი სატირულად მიაჩნია. თუ ჩემი პოზიცია მართებულია, მაშინ ტექსტი წმინდად სატირაში ველარ ჯდება და თვითირონიული გამოდის... თუმცა რატომ, გარემო, ანტურაჟი, ერთადერთი რეალური ადამიანი „მილკა“ მაინც სატირულად გამოსახული გამოდის. „მილკა“ – ჟარგონია, დიდძალეუბიან ქალს გულისხმობს, ჯიქნებიანი, მენველი ძროხის „მილკას“ მიმსგავსებით, დაახლოებით ისეა, ჩვენში რომ იციან „ფაქიზოს“ თქმა საყვარლად ზანტ, ძროხასავით არსებაზე.

რუსეთში ამ ლექსის შესახებ გამართული დისკუსიის დროს, სხვათა შორის, ერთმა გამომსვლელმა თქვა, საინტერესოა, ვინმემ მისი თარგმნა რომ მოინდომოს, რას უზამს ამდენ გაურკვეველ მო-

მენტს ლექსში, სიტყვა-სიტყვით რომ თარგმნოს, ხომ უაზრობა გამოუვაო. მე კი, როგორც კადნიერ არსებას, მეჩვენება, რომ რალაცეები ჩემი დისტანიიდან უკეთაც კი ჩანს (კაცმა რომ თქვას, ამის ილუზია მაინც თუ არა გაქვს, რამეს სათარგმელად ხელს რომ ჰკიდებ, რალად უნდა გაისარჯო!).

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ლექსის დროსა და სივრცის პრობლემებზე მსჯელობს და ამბობს, რომ სამი სივრცეა წარმოდენილი: ოთახი – საერთო კორიდორი „კომუნალკა“ და გარეთ.

მე აქ, ფინალიდან კოსმოსურ სივრცესაც დავამატებდი და ასევე მიკროკოსმოსს, რომელიც ლექსის ფინალში ექსპლიციტურულია სიტყვით „ვირუსი“. ასე არა სამი, არამედ ხუთი პარამეტრით წარმოდგენილი, ყოვლისმომცველ სივრცე გამოდის. მათ თვალსაზრისში კი ჩემს ყურადღებას უფრო „კომუნალკა“ – საბჭოთა ყოფის მახასიათებელი გარემო იქცევს.

არ ვიცი, ამ ტიპის ბინები ან რუსეთში ან საქართველოში კიდეც თუა შემორჩენილი და შესაბამისად, თანამედროვე პოსტსაბჭოელი ან თუნდაც ამერიკელი მკითხველის წარმოსახვა აქ რამდენად მუშაობს, მე კი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში სიტყვა „კომუნალკა“ ნახსენები არაა, მიმაჩნია, რომ კომუნალკა//კომუნისმი – ამგვარი ბგერწერული და კონტექსტუალური ბმა შორს არ უნდა იყოს ავტორისეული ჩანაფიქრიდან, ანუ ოთახი – შიდა, პრივატული, თუმცა კეთილმოწყობილი სივრცეა, მის გარეთა – საერთო-საზიარო სივრცე კი მრიცხველამდე მანძილსა და საერთო საჭირო ოთახს მოიცავს.

გაგახსენებ, ჩვენ „კომუნალკის“ ბავშვები ვართო, – ამბობს ერთგან ბროდსკი – „და როდესაც ჩვენი მშობლები სიყვარულს ეძლეოდნენ, ჩვენ თავს ვიმძინარებდითო“.

წარმომიდგენია, რა ბედნიერი იყო ბროდსკი, როცა მისმა ოთხსულიანმა ოჯახმა 1955-ში „კომუნალკაში“ მიიღო ოთახნახევრიანი ბინა, თანაც სად! იქ, სადაც რევოლუციამდე ზინაიდა გიპიუსი ცხოვრობდა. იმ დროს იგი უკვე წერდა და სულ ცოტა ხანში პირველად გამოაქვეყნებდა ლექსებს და მტკიცედ გადაწყვეტდა კიდეც პოეტობას... აი, ასე, „გადაწყვეტდა“, როგორც თვითონ წერს და არა ისე, ჩვენში რომ გვარწმუნებენ, პოეტად უნდა დაიბადოო. ცხადია, პოეტად იყო დაბადებული, მაგრამ საქმე ისაა, პოეტად დაბადებული – პოეტად გაიზარდო. ეს ყოველთვის ისეთ დიდ შრომასთანაა დაკავშირებული, როგორც ბროდსკიმ იტვირთა. დავწერე ეს სიტყვები და მე თვითონვე მწარედ გამეღიმა. იგი თხუთმეტი წლიდან ფიზიკურად და გონებრივად, მართლაც დღე და ღამე შრომობდა და როცა დაიჭირეს და ციმბირში, არხანგელსკში გადაასახლეს, თან იძულებითი შრომა მიუსაჯეს, სასჯელის მიზეზად განაჩენში 1964 წელს, არც მეტი არც ნაკლები, მუქთახორობა ანუ პარაზიტობა ჩაუწერეს. არსებობდა ასეთი მუხლი საბჭოთა კანონმდებლობაში, ოთხი თვის უმუშევრობის გამო ციხეში უშვებდნენ ადამიანებს საძაგელი კომუნისტები. არადა, ოფიციალურ, შტატიან ლიტერატურულ სამსახურში პოეტს იმავე მიზეზით არ ღებულობდნენ, რა მიზეზითაც დაიჭირეს კიდეც სინამდვილეში – ეს მისი პოლიტიკური არასანდობა იყო.

* * *

სიტყვა გამიგრძელდა ლექსგარე ამბებზე, ახლა ლექსს მივყვები და შევეცდები, ჩემი ინტერპრეტაციები გაგიზიარო, მანამდე კი გეტყვი, რომ ჩემი ხედვით, ეს არის „კომუნალკა“/კომუნისმისგან თავის დაღწევის მცდელობა, გარე თუ არა, შინა ემიგრაციის გზით მაინც, მისგან გამიჯვნა.

პარადოქსული იცი, მაინც რა არის? საბჭოთა კავშირიდან გასაღწევად პოეტი ადრული ასაკიდან რას არ აკეთებდა, თვითმფრინავის გატაცებაც კი ჰქონდა დაგეგმილი მეგობრებთან ერთად და ბოლო მომენტში შეეშინდათ და გადაიფიქრეს, იმ ამბიდან თორმეტი წლის მერე კი ჯერ მოქალაქეობა გაუუქმეს, მერე ერთ თვეში ძალით ჩასვეს თვითმფრინავში და ვენაში გააფრინეს. იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ბარგი წესიერად ჩაელაგებინა, მეგობარი ქალისა და შვილის წაყვანის ცდაც ჩაეშალა, არადა თავიდან საბჭოთა უშიშროება თითქოს თანახმაც იყო. თუმცა რა, ეს ხომ იგი-

ვე საიდუმლო სამსახური იყო, მანამდე, ხუთი წლის წინ უფლება რომ არ მისცა, ახალშობილი ბიჭი ანდრეი სამშობიაროდან თავისი გვარით გამოეყვანა.

წარმოსახვები მომეძალა, ერთსაც ვიტყვი და ლექსზე გადავალ.

ვენაში, აეროპორტში, თვითმფრინავიდან მოსაცდელში რომ გავიდა, დამხვედრმა მეგობარმა ჰკითხა, რა გეგმები გაქვსო და მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არა მაქვსო...

კმარა!

* * *

ლექსის დასაწყისი ორი სტრიქონი ასეთია:

Не выходи из комнаты, не совершай ошибку.

Зачем тебе Солнце, если ты куришь Шипку?

მე ასე ვთარგმნე:

დარჩი ოთახში, არ მოტყუვდე, რა გინდა გარეთ.

მზეს რას დაეძებ, თუ აბოლებ „შიპკა“-სიგარეტს.

მართალი გითხრა, შიპკა რომ სიგარეტი იყო, საიდანღაც კი მახსოვდა და მზესთან მისი დაპირისპირება გავიგე, როგორც ირონია. თუმცა მოლიპულივით ფრთხილად მიყვარს სათარგმნ გზაზე სიარული და ჩემდა საბედნიეროდ, სხვაგვარი გაგებისთვის შანსი დამიტოვებია. საქმე ისაა, რომ, როგორც გვიან გავარკვიე, აქ ლაპარაკია არა მზისა და სიგარეტის დაპირისპირებაზე არამედ ორი ბულგარული წარმოების თუთუნზე „სოლნცე“ და „შიპკა“. პირველი – უფრო დაბალი ხარისხისა ყოფილა და ძირთადად გაჭირვებულები, ჯარისკაცები და სტუდენტები ეწეოდნენ, მეორე – რომელსაც „ძმათა სასაფლაოსაც“ უწოდებდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ბლენდი უამრავი უცნობი და უსახელო მინარევისგან შედგებოდა, შედარებით ძვირიანი და იმ დროსთვის ახალი გამოსული იყო. შედარებით, თორემ ისიც კარგი ნაგავი ყოფილა, ოდნავ ძვირიანი.

აი, ამას ეწეოდა მაშინ დღეში ორ კოლოფს. ცამეტი წლიდან რომ დაუნყია პოეტს სიგარეტის წევა, ხუთი სტენოკარდიული შეტევისა და გულის ღია ოპერაციის მიუხედავად, ბოლომდე თავი არ დაუნებებია, ნუ, ახლა, ამერიკაში რომ უკეთესი ხარისხისას მონევედა, რად უნდა ლაპარაკი.

ყველაფერი, რაც ამას მოსდევს ტექსტში, ჩვენ ოთახგარეთა, კომუნისტურ გარემოს დავუკავშიროთ და ჩემი აზრით, ამ ძალიან საინტერესო მომენტზე დავფიქრდეთ: ბროდსკიმ რომ, თავისი უბრაულობის მიუხედავად, ბრწყინვალედ იცოდა რუსული, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ხომ გახსოვს მისი სიტყვები, ენა კი არაა პოეტის ინსტრუმენტი, თვითონ პოეტია ინსტრუმენტი ენის ხელში, ამ ლექსში თითქოს ორი აშკარად, ენობრივად მოუწესრიგებელი მომენტია. ვნახოთ პირველი:

О, не выходи из комнаты. Танцуй, поймав, боссанову

в пальто на голое тело, в туфлях на босу ногу.

ჩემი თარგმანი:

დარჩი ოთახში. ბოსანოვას ცეკვა გიშველის.

პალტოს ქვეშ ტიტველს ფეხიც ჰქონდეს ტუფლში შიშველი.

ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, რაკი ბოსანოვა ბრაზილიური ცეკვაა, აქ ავტორს საზღვარგარეთის, როგორც თავისუფალი სივრცის თემა აქვს გაღრმავებული, თავში ხომ სოციალისტური საზღვარგარეთის – ბულგარეთის მოტივი შემოიტანა შიბუკა-სიგარეტის გზით. იქნებ არც უამისობაა, მაგრამ ჩემი ინტერპრეტაცია ამ ხაზს ძნელად ერგება.

მე ვიაზრებ ბინარულ ოპოზიციას: გარეთ (საერთო კორიდორიდან დანყებული, ქუჩიან-ყველაფერიანად და შიგნით – ოთახი).

რა რჩება პოეტს შიგნით, მას შემდეგ, როცა მილკაც არ შემოუშვა და პრაქტიკულად, გააგდო?

რა ახასიათებს შინა სამყაროს? – წარმოსახვა. ვინაა ის წარმოსახული პარტნიორი, რომელთანაც ცეკვავს ლექსის გმირი?

ვის მოსავს შიშველ ტანზე პალტო, ვინ არის ფეხშიშველი.

რატომ არის ეს წინადადება ასე ბუნდოვანი?

რა წარმოსახოს აქ მკითხველმა – მარტოობაში მუსიკის ფონზე გალაღებული, ტიტველ ტანზე ქალურად ჩაცმული თუ საკუთარ წარმოსახვასთან რეალობაში მარტო მოცეკვავე პოეტი?

იქნებ ეს სულაც წარმოსახული ცეკვაა საკუთარ წყვილისცალთან?

თუ ასეა, ვინაა იგი?

ბასა ნოვა – წყვილის ცეკვაა.

რატომ „პაიმავე ბასანოვუ“? ცეკვის დროს შეიძლება დაიჭირო პარტნიორი, მაგრამ „ცეკვის დაჭერა“ ხომ აბსურდული სინტაგმაა?

ამაზე დაეჭვებამ მიმიყვანა აზრამდე, რომელსაც ახლა გაგიზიარებ.

ბროდსკი რომ ლექსის რიტმიკას იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა და ბგერობრივ კავშირებს სემანტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს ცნობილია. ხომ არ არის ამ სახის გასაღები სწორედ ტექსტსმილმიერი ბგერწერული ბმის შედეგი?

აქ ისევ ბიოგრაფია მოვიშველიოთ. ბროდსკი სწორედ ისეთი კაცი იყო, რუსები „ადნალიუბს“ რომ უწოდებენ. ქალები მართლა მუდამ თავს ეხვია და ძალიან აგდებულადაც ექცეოდა, პირდაპირ ეუბნებოდა, მაგალითად, ამ ერთხელ მინდინარო, მთელი ცხოვრება თითქოს სურდა, მთელს საქალეთზე ამოეყარა ჯავრი იმის გამო, რომ ახალგაზრდობისას მისმა ერთადერთმა სიყვარულმა, მუზამ, მოგვიანებით მისი ერთადერთი ვაჟის დედამ საჯაროდ, თანაც არაერთხელ ულალატა და თანაც ვისთან, სწორედ იმ უახლოეს მეგობართან, ვისაც ჩააბარა საპატრონოდ, როცა კაგებეს ემალებოდა. ხომ გახსოვს ამ მუზის სახელი? – მხატვარი მარიანა ბასმანოვა. სტრიქონის ბოლოს, სარიტმო სიტყვად გატანილი სიტყვა, ბრაზილიური ცეკვა-დუეტის სახელი „ბასანოვა“ სწორედ „ბასმანოვასთანაა“ ბგერობრივ ბმაში. ახლა ჩასვი ბასმანოვა ბასანოვას ადგილზე და ახლიდან წაიკითხე ზემოთა ორი სტრიქონი. ვფიქრობ დამეთანხმები, რომ ყველაფერი ლაგდება – ორიგინალშიც და შესაბამისად – თარგმანშიც.

ეს ამბავი გადავავლორეთ, მაგრამ ახლა მოდის, რაც მოდის:

Не выходи из комнаты. О, пускай только комната
догадывается, как ты выглядишь. И вообще инкогнито
эрго сум, как заметила форме в сердцах субстанция.
Не выходи из комнаты! На улице, чай, не Франция.

დარჩი ოთახში. დე, ოთახმა იცოდეს მარტო,
რას ჰგავხარ ახლა. საერთოდაც, ეს ინკოგნიტო
ერგო სუმი. სუბსტანცია გულს რაღად ერჩის.
დარჩი ოთახში. ჩაი გარეთ სვან საფრანგეთში.

ჯერ ბოლო სტრიქონი მოვილიოთ, მარტივად ვთქვათ, რომ აქ უკვე უცხოეთის მესამე ქვეყანა შემოდის, საფრანგეთი – ბულგარეთისა და ბრაზილიის შემდგომ. მე აქ – ირონია უფრო მესმის.

„ეს ინკოგნიტო ერგო სუშია“ – ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ აქ არის პაროდია დეკარტის ცნობილი გამონათქვამისა, „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, მაგრამ ინკოგნიტოს ჩასმით ვლებულობთ ენობრივად არასწორ, თუმცა მაინც ინტერპრეტირებად გამონათქვამს „უცნობი ვარ, ანუ ვარსებობ“ ანუ თუ გინდა იარსებო, უცნობად უნდა დარჩე. ამოდ შეეცდება ვინმე, ამას მოდევნებული აბსურდული წინადადება სუბსტანციის შესახებ – რაციონალზაციას დაუქვემდებაროს. როგორც ჩანს, ავტორის ჩანაფიქრით, იგი ან უნდა მიიღო, როგორც აბსურდი ან როგორც სიმარტოვეში, საკუთარ არსებაში ჩავლებული მომენტი, გონებაში ჯერაც ჩამოუყალბებელი იდეის ვერბალიზებისა.

ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა ბროდსკის უყვარდა სიტყვა „სუბსტანციის“ ხშირი გამოყენება, ყოველთვის პიროვნების შინაგან ბუნებაზე საუბრისას მოიხმობდა, თუმცა რას გულ-ისხმობდა მასში, ბოლომდე დაუდგენელია. ეს მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა აქ თვითპაროდირებას მიმართავდეს.

აი, ფინალამდეც მივედით!

слейся лицом с обоями. Запрись и забаррикадируйся
шкафом от хроноса, космоса, эроса, расы, вируса.

ნუ ისულებებ. რაც ხარ, დარჩი. სხვა ფუჭად შვრება.
დარჩი ოთახში, ანუ ავეჯს მიეცი შვება.
შებარკადდი შკაფს უკან, შპალერს ზედ მიესუსე,
დაუსხლტი კრონოსს, კოსმოსს, ეროსს, რასას, ვირუსებს!

რალა დაგიმალო, და ამ, ნამდვილ ვერსიას ხმამალლა კარგად ვერ ვკითხულობ.

„შებარკადდი“ – ეს სიტყვა ქართულში არ არსებობს. მე შევქმენი, ორიგინალის ადეკვატი რომ გამომსვლოდა. თარგმანში ბროდსკის ხმა ასე უფრო ისმის, მაგრამ ქართულად, თან ლექსის ბოლოში მკითხველისთვის, ცოტა არ იყოს, ძნელი შესაგუებელია, ამიტომ გავკადნიერდი და ვიდეოჩანაწერში ადაპტირებული ვერსია წარმოვთქვი.

არც ზედ მიესუსეა – „ჩვეულებრივი“ ქართული, მაგრამ, ჩემი ფიქრით, პოეზია იტანს ასეთ რამეებს.

სუსი – აქ ჩემთვის, მთარგმელისთვის ისე ჟღერს, როგორც საბჭოთა უშიშროების – კაგებს ქართული აბრევიატურა. ლექსის ბოლო ფრაზა დღემდე აზრთა არანაკლები სხვადასხვაობის მიზეზია: დაუსხლტი კრონოსს, კოსმოსს, ეროსს, რასას, ვირუსებს!

რა აკავშირებს ამ ჩამონათვალ სიტყვებს, გარდა ნომინატივისმიერ „სან“ ბგერაზე დასრულებისა? ქრონოსი – პირველდმერთი – დრო, კოსმოსი – წესრიგი, ეროსი – ეროტიკული სიყვარულის ღმერთი, რასა – ის, საბაბი, რის გამოც დიქტატორები ებრძოდნენ ებრაელებს, ვირუსი – მიკრო, უმცირესი, თვალთ უხილავი, მაგრამ მრავალთა მომწამლავი რამ, თვალთ უხილავი სანამლავი.

ჩემი ფიქრით, ეს არის მთელი მაკრო და მიკროკოსმოსი, რომელიც პიროვნების შინაგან თავისუფლებას გარედან, ძალმომრეობითად უპირსპირდება და თუმცა ლექსი ამით სრულდება, ფიზიკური ტექსტიდან გასულ მკითხველს აუცილებლად ეუფლება გამოუვალობის ტრაგიკული თუ არა, სევდიანი განცდა მაინც, იმის გამო, რომ, როგორც ჩვენი დიდი პოეტი იტყოდა, „საშველი არ არის!“

* * *

შენი მამამთილი და ჩემი დიდი მასწავლებელი ბატონი აკაკი განერელია აქ, ბოლოში აუცილებლად შემნიშნავდა, რომ არაფერს ვამბობ სალექსო ფორმაზე, რიტმიკაზე, ევფონიაზე, რითმათა კონფიგურაციაზე და სავსებით მართალიც იქნებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ცალკე, სერიოზული კვლევის თემაა, მე კი მღელვარე ღამის გასაყვანად გწერ ამ ვრცელ წერილს.

ამასობაში ჩემთან, ამერიკაში ირიჟრაჟა კიდევ, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენთან, საქართველოში ბინდდება. კიდევ ორიოდე საათი და დიქტორი გამოაცხადებს რალაცას, ამგვარს – დღეს იოსებ ბროდსკის დაბადებიდან ოთხმოცი წელი შესრულდა. ამერიკიდან გვერთვება პოეტი ნინო დარბაისელი სტრონი, რომელიც ისაუბრებს იოსებ ბროდსკის ლექსზე „დარჩი ოთახში“!

მგონი, მზად ვარ!

ედგარი – მერამდენად

(გ. ტაბიძის ერთი ლექსის ინტერპრეტაციის ცდა)

გალაკტიონის პოეზია რომ საიდუმლოებებითაა აღსავსე, ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, ამიტომ დასაწყისიდანვე მარტივად აღვნიშნოთ და პირდაპირ ჩვენი ამჯერადი ყურადღების საგნისკენ ვცადოთ გზის გაჭრა.

ერთ ლექსზე მინდა გაგიზიაროთ ჩემი ... აქ თავად ჩასვით ეტიკეტით შეპირობებული რაიმე ეპითეტი – მოკრძალებული, ვარაუდებზე დაფუძნებული აზრი და ასე შემდეგ, რადგან ამ თემაზე არაერთხელ უფიქრიათ ისეთ დიდ ავტორებს, როგორცაა რეზი თვარაძე, დათო წერედიანი, ამირან გომართელი და სხვანი და შესანიშნავი გამოკვლევებითა და ესეებითაც გაუმდიდრებიათ გალაკტიონოლოგიის თარო.

რაკი ჩემთვის ოკეანის გაღმა ტექნიკურად მიუწვდომელია მათი ტექსტების სრული კორპუსი, ხოლო ჩემს ადამიანურ მეხსიერებას ხარვეზები ნამდვილად არ აკლია, ვშიშობ, ზეპირი ციტირებებით აქ უფრო არ ავანგრიო სააზროვნო ველი, ამიტომ უშუალოდ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას შევეცდები.

წინასწარვე შევთანხმდეთ, რომ რალაცებში დავემთხვევით, რალაცებში – ვერა. საბოლოოდ – ეს ჩემი ინტერპრეტაციაც საერთო სიმრავლეს მიემატება, გალაკტიონის მიერ ტექსტში ჩაუნჯებული გამოცანა კი ამის მერეც შემდგომ მკითხველსა თუ მკვლევარს დაელოდება... მაგრამ ჯერ გულდასმით ნავიკითხოთ ტექსტი, რომელზე მსჯელობასაც ვაპირებთ:

ედგარი მესამედ

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი.
 იყო საღამო. ლოცვები. ზარი.
 და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,
 რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.
 ენატრებოდა ფრთებს სითამამე
 უზრუნველობის, შენი სიშორის!

მაგრამ უეცრად ვილაც მესამე,
ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

1915

ახლა მოკვდავთა ენაზე ვცადოთ გადმოტანა იმისა, რაც გადმოგვყვება: წარსულში, ერთ ძლიერქარიან სალამოს ლექსის ლირიკული გმირი – პოეტი ვინმე ლენორასთან, სატრფოსთან ერთად სალამოხანს ტაძრისკენ მიემართებოდა. ტაძრიდან მოისმოდა ზარისა და ლოცვების ხმა. გმირის ფრთებს ენატრებოდა ლენორას სიშორისდროინდელი უზრუნველობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობდა კიდევ უფრო წინანდელ წარსულში რაღაც დრო, უკეთესი და სანატრელი, ვიდრე ეს ლენორად სახელდებულ ქალთან ერთად ტაძრისკენ ერთად სვლა... მაგრამ რაღაც მომხდარა (სწორედაც მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ!“), თან უარესი – ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი (აქ ყურადღება მივაქციოთ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის გამეორებას, თავისებურ პოეტურ ემფასისსა და ეპითეტებს: მესამე და მახინჯი) ჩადგა მათ შუა და ამბობდა, საცაა სიკვდილის წამი მოვაო.

და ასე, სამმა განაგრძო გზა ტაძრისკენ, ხოლო თავიდან მოტირალი ქარი ბოლოს – კვდებოდა (დრო – წარსული, კილო – თხრობითი, მნკრივი – უწყვეტელი).

მკვლევართა ყურადღებას ამ ლექსზე მსჯელობისას ძირითადად შემდეგი საკითხები იპყრობს: რატომ ჰქვია ლექსს „ედგარი მესამედ“, ვინაა ის „მესამე“, ვინც წყვილს შუა დგება?

რა კავშირია სათაურისეულ სიტყვა „მესამესა“ და იმავე სიტყვასთან, როცა იგი ლექსში შემომატებული, მოახლოებული სიკვდილის მაუნყებელი ინსტანციის აღსანიშნად, ეპითეტად გამოიყენება?

მიღებული და ცხადი აზრის თანახმად, ლექსში ნახსენები პოსეული – Lenore – ლენორა – ლენორაა, რომელიც რუსული პოეზიის, ძირითადად ბალმონტსა და ბელის თარგმანების წყალობით გაჩნდა ქართულ პოეზიაში და გზად ინგლისური ჟღერადობა იცვალა. ეს თვალნათლივია, მაგრამ ხომ არაა მასში შერწყმული კიდევ სხვა წყაროთაგან მომდინარე არსება/არსებანი?

ქართული პოეზიის ისტორიაში რომ გალაკტიონი არაა ერთადერთი, ვისთანაც ლენორა იქცა სახელად მიღმასამყაროში მსუფევი, მიუწვდომლი სატრფოსი, მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რანამს ტერენტი გრანელის ამ ლექსის ფრაგმენტს შევახსენებ:

ლენორა – წმინდა,
ლენორა – ერთი.
ლენორა მინდა,
ლენორა – ღმერთი.

ლენორა მოდის
და მოაქვს კუბო.
ლენორა – ლოდი,
ჩემია უფრო.

ლენორა მინდა,
ლენორა – ფიქრი.

ლენორა – წმინდა,
 ლენორა მიჰქრის...

(„ლენორა წმინდა“)

ცისფერყანწელთა პირველი საერთო ტკივილის – უდროოდ გარდაცვლილი, დიდად იმედისმო-
 მცემი ერთი მათთაგანის, შალვა კარმელის ლექსი კი იქნებ არ ახსოვდეს ან არც იცოდეს მკითხვე-
 ლმა, ამიტომ ვრცელი კია, მაგრამ მაინც სრულად დავდებ...

ერთი დღე ტყეში

1.

პოეტი მეფე, პოეტი ბავშვი,
 გამიყოლიე დაბინდულ გზაზე.
 მე მკლავი მქონდა შენს სურნელ მკლავში.
 ვფიქრობდი ჩუმად: ვინ იცის – რაზე!
 ხეებს ჩაექრო მთვარე ბურთული,
 მე კვლავ მესმოდა სონატა მთვარის.
 მაგ თვალთ სისოვლე, თმა დაბურდული, –
 ჩემ ცოდვილ ბაგის, ხელების არის!
 იყო შრიალი, ფოთოლთა თქეში,
 გრიგალმა ხმებიც გაიტენორა.
 ვიყავით სტუმრად ერთი დღე ტყეში –
 მე და ლენორა, მე და ლენორა!..

2.

ზღაპრული თვალი ვიცი ჯადოა
 და ჩავიძირე მეც შენს ჯადოში.
 ახლა ტყე ჩვენთვის ელდორადოა, –
 უნდა ვიცხოვროთ ელდორადოში!
 და ტყის კარვები ჩვენთვის მწვანდება
 ნაზი, სპეტაკი, თავშენაბელი.
 მაგრამ ხეებზე რად მელანდება
 ყელსახვევების უცხო საბელი?!
 ახ, სახრჩობელა! ყვითელ ნემოზე
 პოეტის კუბოს ვხედავ ზმანებით...
 შენს ხელის ნაცვლად უნუგემოზე
 მე ვტირი ცისფერ ხელთათმანებით!

3.

მშვიდობით! გტოვებ! მივდივარ მთაში!
 დიდ შუადღისას მე ავალ მთაზე.
 შენ სად იქნები ლენორა მაშინ?!
 რისთვის არ ვიცი, აჰ, რისთვის, რაზე

ჯვარს გადაინერ ნორჩ თავხურათი,
 თუ დაგეჭდობა მშვიდად მკლავები?!
 მე ვიცი მხოლოდ ერთი სურათი –
 პოეტის სულში ნასაფლავები!
 როს მზე ამოვა მაღალ გორასთან,
 ის იტყვის ალბათ მხურვალე მზეში:
 ვიყავ ბედნიერ ჩემს ლენორასთან
 ერთი დღე ტყეში! ერთი დღე ტყეში!

4.

მინდოდა ცრემლი, ზეცა... დიდება...
 და მე წვალებით ავედი მაღლა.
 დღეს სინანულად მაქვს დარიდება,
 დღეს დიდებისას ვიგრძენი დაღლა!..
 სად ხარ, ლენორა! მარტო ვბერდები!
 გეძახი ახლა... გეძახი გვიან!..
 მე შენს ჩვენებას კვლავ ვაჩერდები
 და საოცრებას თვალეში ღვრიან!..
 მისმინოს ლანდმა ლოცვა ზენარი.
 ამაოება თავს დამგრიგალობს...
 მოდი, ლენორა, მოდი, ლენორა!
 მკვდრეთით აღდგომას სული გიგალობს!..

1918

არ მინდა, ჩვენი მსჯელობის ხაზს ავცდე, ამიტომ აქ მოკლედ შევნიშნავ, რომ კარმელი არა მხოლოდ იცნობს პოს ნაწარმოებთა საერთო კონტექსტს და იქიდან ალუზიებით აჯერებს თავის ლექსს (მაგ. ელდორადო და სხვ.); იგი გალაკტიონის ინტონაციებითაც უხვად სარგებლობს (ეს – ზედაპირზე დევს). ამავე დროს, სათაურიდან დაწყებული, ისეთი ახალი მომენტებიც შემოაქვს, რაც სავარაუდოდ არა პოსგან ან გალაკტიონისგან, არამედ თავად ამ ავტორის ცხოვრებისეული რეალობიდან უნდა მომდინარეობდეს.

* * *

პირველსავე სიტყვას მივუბრუნდეთ.

ედგარ პოს ძალზე ცნობილი ლექსი „ყორანი“ ლენორს რომ ახსენებს და გალაკტიონის ლექსი მისით ნასაზრდოებია, როგორც მახსოვს, ეს ამ ლექსის ყველა მკვლევარს აღნიშნული აქვს სხვადასხვა მოდიფიკაციით. ვაჟა-ფშაველადან დაწყებული, ქართულად იმდენჯერაა „ყორანი“ სხვადასხვა დროს თარგმნილი, თუ არ ვცდები, ცალკე კრებულადაც უნდა იყოს გამოცემული. ამიტომ მისი აქ დამონშება – ზედმეტია.

მკვლევართა უმეტესობა ლექს „ლენორს“/ლენორასაც მოიხსენიებს, თუმცა ციტირებული – არ მაგონდება. დაწყებული გასული საუკუნის დასაწყისიდან ამ ლექსის არაერთი, მრავალნაირი თარგმანია რუსულ პოეზიაში. ქართული – ამ მხრივ განებივრებული როდია.

აქ სრულად მოვიყვან ჩემს ახალ თარგმანს ორიგინალიდან.

ერთი ენიდან მეორეზე ლექსის ზუსტი თარგმანი – წარმოუდგენელი რამაა, მაგრამ მიზანი ასეთი მქონდა, რამდენადაც შეეძლებოდა, მაქსიმალურად დამეცვა დედანთან სიახლოვე, რათა ლიტერატურის მკვლევარებს ციტირებისას გამოსდგომოდათ.

ედგარ პო

ლენორი

– ო, გატეხილა თასი ოქროსი! გაფრინდა სული სამარადისოდ!
რეკონ ზარებმა. სული წმინდანის მდინარე სტიქსის წყალზე დადისო.
და, გაი დე ვირ, ცრემლს რად არ დაღვრი, იტირე ახლა ან არასოდეს,
შეხედე, სად წევს სიცოცხლე შენი, ლენორი როგორ აღარ გახსოვდეს!
მოდო, უბრძანე ჩატარდეს წესი, დე, დაიტვირონ დედოფლის დარი,
სამგლოვიარო იმღერონ ჰანგი და განადიდონ უდროოდ მკვდარი,
ის, ვინც წავიდა ასეთი ნორჩი, სინორჩის გამო ორმაგად მკვდარი.

– უმადურებო! სიმდიდრისათვის გიყვარდათ, მაგრამ გძულდათ ამაყი!
ეშურებოდით, სწეულისათვის რომ დამდგარიყო დღე დასამარხი!
როგორ ეგების წესის აგება, ან რეკვიემის რამე მაგვარი?
თქვენი ქცევით და თქვენი ენებით, თქვენი ავთვალთ შეება წავგარეთ,
თქვენ გაამწარეთ და შეინირეთ, თქვენ გაიმეტეთ ნორჩი ამგვარი.

– ვთქვათ „პესავიმუს“ – ვართ ცოდვილები, მაგრამ უბრძანე, როგორც წესია,
ცად აღველინოს ჰანგი გლოვისა, სულისთვის ასე უკეთესია.
ტკბილმა ლენორმა დაგტოვა ადრე, იმედად ჰქონდა ქალწულს უზადოს,
შენ, გადარეულს სარძლოს სიკვდილით – ცაში ადგილი რომ გაგიმზადოს.
ასე ნატიფი, სამართლიანი წევს, არ აღეღვებს ყოფის თარეში,
მის ყვითელ თმებში სიცოცხლე ხარობს, მაგრამ სიკვდილი უდგას თვალეში.
მის ყვითელ თმებში კვლავ სიცოცხლეა, დაუბუდია სიკვდილს თვალეში!

– განვედით ჩემგან! გულში ნათელი მიდგას, არ მინდა გამოტირება.
წინ ანგელოსნი მიუძღვებიან, ძველი პეონის ჰანგი ინება.
არავითარი რეკა ზარების! დაუფლებია მას წმინდა ლხენა,
ზეცამ მოუხბო იდუმალ ნიშნით, წყეულ მიწაზე არ დააყენა.
მინიერ ტოლებს ცისა არჩია. სულმა ნაწყენმა, სიკეთით საგსემ
ჯოჯოხეთიდან სასუფეველისკენ გზა გაიკვალა, ამაღლდა ასე,
გლოვიდან ოქროს ტახტზე ავიდა, ცათა მეუფის გვერდით ზის ცაზე.

1845

(თარგმანი ინგლისურიდან ნინო დარბაისელისა)

* * *

ადრე სადღაც მითქვამს და აქ კი დაბეჯითებით მინდა გავიმეორო, რომ პირადად მე პრინციპულ შეცდომად მიმაჩნია, როდესაც, მაგალითად, გალაკტიონის რაიმე ლექსზე, პოეტურ სახეზე,

გამონათქვამზე და ა. შ. მსჯელობისას, მკვლევარები ცდილობენ, გააბათილონ ადრე სხვის მიერ ნაკვლევ-ნათქვამი და გამოთავისუფებულ ალაგას საკუთარ კონცეფციას მიუჩინონ ადგილი.

გალაკტიონი სინთეზირების, ინტეგრირების უბადლო ოსტატია და მოდელი – „ან – ასე, ან – ისე“, რომელიც ჩვეულებრივ, ლიტმცოდნეობითად საკვლევი მასალისადმი მიდგომისას წარმატებულია, მის შემთხვევაში – საბოლოოდ მარცხისათვისაა განწირული, თუმცა შესაძლოა, რაღაც ეტაპზე გამარჯვების მომტანადაც გამოიყურებოდეს, ილუზორულობის გამო.

ამისი რწმენა მაძლევს მყარ საფუძველს, ვთქვა, რომ ჩემი ინტერპრეტაცია არამც და არამც არ ებრძვის და უპირისპირდება დღემდე სხვათა მიერ ნათქვამს, სწორედაც პირუკუ, ითვალსწინებს და ავსებს მას, ასევე, ტოვებს ღია სივრცეს მომავალი, სავსებით მოსალოდნელი ინტერპრეტაციებისათვის.

* * *

იმისათვის, რომ რაიმე მოვლენას ან საგანს მესამეობის სტატუსი მიენეროს, ჯერ უნდა არსებობდეს მის წინარე, ორი რამ.

გალაკტიონს ამის გარდა, კიდევ ორი ლექსი აქვს, სადაც „საუბარი ედგარ პოზეა“, მაგრამ ლექსების დათარიღების ჯიუტი ფაქტი არ იძლევა საშუალებას, სათაური „ედგარი მესამედ“ ქრონოლოგიურობით ავსხნათ. არ არის ეს რიგით მესამე ლექსი.

არც მნიშვნელობით ჩამოუვარდება ორ დანარჩენს (მჯერა, აქ – მცოდნე პირდაპირ დამეთანხმება, ხოლო საქმეში ჩაუხედავი მკითხველი სიტყვაზე უნდა მენდოს), რომ ვთქვათ, ხარისხის მიხედვით გამოდიოდეს მესამე.

იქნებ რაიმე ამბავი, მაგალითად, ედგარის ტაძრისკენ სვლა მეორდება მესამედ?

კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ეს არ არის ჯვრისწერისთვის, შესაუღლებლად ტაძრისკენ სვლა, თორემ ედგარ პოს ქორწინების მესამე, უიღბლო ცდაზეც შეიძლებოდა გვეფიქრა. სარა ელმირა როუსტერისა და ვირჯინია ელზა კლემის მერე. ხოლო გალაკტიონს ჯვარი ერთხელაც არ დაუწერია და რეგისტრირებულ ქორწინებაშიც კი მხოლოდ საკმაოდ ხანდაზმული, ორმოციან წლებში გატარდა წინა კვინიკაქესთან, თუმცა სამი ცოლი ჰყავდა სხვადასხვა დროს და ჩვენთვის საინტერესო ლექსის დაწერის თარიღი (1915) ამ ამბებს მთელი ოცდაათი წლით უსწრებს.

როგორ ჩანს, რომ ამ წერილის ავტორი მაინც ქალია, თორემ რა შუაშია აქ ახლა გალაკტიონის ცოლების რაოდენობა!

(აქვე, მოკლედ გავიხსენოთ, რომ მოტივი „წარსულში ტაძრისკენ სვლისა“ ამ ლექსის მერე, კარგა გვიანაც გაიელვებს თავად გალაკტიონთან: „ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად, ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად, რად მიჰყვებით ასე მკაცრად ჩამავალ მზეს, ჩამავალს“. როგორც ვიცი, თარის დაბეჯითებით განსაზღვრა ჭირს, მაგრამ აშკარაა, რომ აქ გვიანი გალაკტიონია.)

იქნებ გალაკტიონს, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ ედგარ პოს ორი ლექსი გამოხატავდა ლენორასადმი დამოკიდებულებას, გადაწყვეტილი ჰქონდა, მესამედ მის ნაცვლად თავად ამეტყველებულიყო ლენორაზე – მიღმიერი, იდუმალი ქალწულისადმი უიმედო სიყვარულზე, რომელიც არა მხოლოდ მან, არამედ მისმა თანამედროვე ქართველმა თუ არაქართველმა პოეტებმა ისე ღრმად განიცადეს და გაიზიარეს, რომ თავისად იქციეს და დაისაკუთრეს, როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ მოხმობილ გრანელისა და კარმელის ლექსებში იკვეთება.

აქ არ მინდა დამავინწყდეს აღნიშვნა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, თავად ედგარ პომ სახელი „ლენორა“ გოტფრიდ ბიურგერს (1773) „მოსტაცა“ ამავე სახელწოდების საკმაოდ სახელგანთქმული ბალადა-პოემიდან და მისტიური თავგადასავლის ქალწულის თვისებები უდროოდ გარდა-

ცვლილი თავისი ცამეტი წლის ცოლის, – დეიდაშვილის ვირჯინიას ხატებასთან შეანივთა, თუმცა ამ მართლაც ოქროს შენადნობში სხვა ევროპულ ფოლკლორულ თუ ლიტერატურულ ნაწარმოებთან ნაზავიცაა.

თავის მხრივ, ბიურგერის ეს ძალზე გავლენიანი ბალადა, დანყებული სათაურით, ქალის სახელით, – „ლენორათი“, ყველაფერში უხვად სარგებლობს გერმანულენოვანი მითოლოგიითა და ფოლკლორით.

რალაც ისეთი გამოვიდა, რაც ედგარ პოს, როგორც არაერთი ჟანრის სათავეში მდგარ ავტორს თანამდევად ექცა: იგი – წარმოშობით ირლანდიელი ამერიკელი ინოვს ევროპული კულტურას, მის ღრმა ძირებს, ნიაღს და ქმნის თავის გასაოცარ, იდუმალების კანონებით მართვად ინგლისურენოვან, თუმცა ამერიკულ ლიტერატურულ სამყაროს, შემდეგ ეს სამყარო უბრუნდება ისევ ევროპულ კულტურას და ევროპელ ავტორთან მიერ შემოქმედებითად განვითარებული ერთიან მსოფლიო ლიტერატურაზე, მათ შორის ამერიკულზეც ახდენს უდიდეს გავლენას... თუმცა ეს – უკვე სხვა კვლევის თემაა.

* * *

ისევ სახელ ლენორ/ლენორას მივუბრუნდეთ. იგი თავისი მხრით, ნიშნავს შუქს და ინგლისურენოვან ქვეყნებში დღემდე წარმოადგენს სახელ ელეონორას კნინობით, მოფერებით ფორმას.

ედგარ პოს სწორედ ამ სახელწოდების მცირე, პროზაული ქმნილება აქვს, „ელეონორა“ გაჯერებული მისი უდროოდ დაღუპული სატრფოს ვირჯინიას ამბით და მე ვფიქრობ, მასშია საძიებელი გასაღები „ყორნისაც“ და მისით ნასაზრდოები სხვა ავტორთა პოეტური ქმნილებებისაც.

ძალიან მოკლედ გადმოგცემთ შინაარსს:

ყვავილმრავალ, ფერადოვან მდელოზე, სადაც მდუმარების კამკამა მდინარე ისე მშვიდად მიედინება, რომ მის ფსკერზე ფერადოვანი კენჭების ხილვით ტკობაა შესაძლებელი, პოეტი თავის სანუკვარ, საცოლესთან – ნორჩ ელეონორასთან განმარტოებულა, ელეონორა მოახლოებულ სიკვდილს გრძნობს და შეიპირებს პოეტს, რომ მისი წასვლის მერე, არასოდეს მიატოვოს აქაურობა, თან ჰპირდება, რომ მარადიული სასუფეველიდან მოვევლინება ხოლმე ხან სიოს, ნაზი ქარის, ხან რაიმე ჩვენების სახით. თავის მხრივ, პოეტი იფიცებს საშინელი ფიცით ქვეყნიერების მეუფის წინაშე, რომ არასოდეს უღალატებს ელეონორას.

გადის დრო, პოეტი მიატოვებს ყვავილმრავალ მდელოს და სადღაც, მინიერ სამეფოში მოხვედრილი გაიცნობს სხვა უმშვენიერეს ქალწულს, რომლის მიმართ ვნებიანი სიყვარულიც გადაავიწყებს თავის საშინელ ფიცს და ცოლად შეირთავს.

ამბავი პოსთვის შეუსაბამო ოპტიმიზმით, უეცრად კი მთავრდება, ეცხადება ელეონორა და უწონებს არჩევანს, თითქოს იმ მოტივით, რომ სიყვარული კარგია და იგი ქორწინებით უნდა დაგვირგინდეს, მაგრამ ქვეყნიერების მეუფის წინაშე დადებული საშინელი ფიცი?

მხოლოდ პო კი არა, ნებისმიერი დიდი ავტორი თავისი შექმნილი სამყაროს დემიურგია, მაგრამ ყველა სამყაროს რალაც კანონები და კანონზომიერებანი მართავს. პო – ლირიკული პერსონაჟი – ამ კანონზომიერებათა წინააღმდეგ მიდის ცნობიერად, ძალადობს მათზე, მაგრამ ქვეცნობიერი არ არის ადვილად მოსატყუებელი. მისთვის პოეტი – უკვე ფიცის გამტეხი და მოღალატეა, თავისი თავისთვისვე არასასურველი, თუმცა მოუშორებელი. ეს მისი ადამიანური ნატურის გაორებას იწვევს (გავიხსენოთ პოს „უილიამ უილსონის“ მოტივი). მისი მეორე – მინიერი, მოღალატე ნახევარი, რომელსაც მიტოვებული ზეციური ქალწული უკვე აღარ ეკონტაქტება, არც ბაგეზე ეკონება ძველებურად და არც ხმას სცემს, იმქვეყნიური ნაზი სიოს ნაცვლად ქარიშხლებს მოუცავს.

პოეტი, ყორნის დანაჩხავლებისა არ იყოს, ველარასოდეს შეხვდება ელეონორა/ლენორას, რადგან ქალწული – ეს ახალი ბეატრიჩე, ქვეყნიერების მეუფის თანამეტახტეა, მისი ადგილი უკვე სხვაგანაა (იხ. ლექსი „ლენორი“), იქამდე კი ფიცისგამტეხ მეტრფეს აღარასოდეს მიესვლება (ყორანი). ქარიშხლადქცეული სიო – შეიძლება მივიღოთ მიღმიერი ლენორას მრისხანების ნიშნად.

მათი ახალი შეხვედრა – სხვა დემიურგის, გალაკტიონის ლექსში ხდება, რომლის ფინალში ეს „სიბობოქრის“ ქარი კვდება და მანამდე შეუთავსებელი სამეული ტაძრად სვლას განაგრძობს).

მე კითხვაზე პასუხს პოსა და გალაკტიონის შემოქმედებათა ერთიან კონტექსტში ვეძებ.

ვფიქრობ, რომ რეალურად წარმოდგენელია, ქალ-ვაჟი ტაძრისკენ მიდიოდეს და შუაში ვინმე, მახინჯი უცნობი ჩაუდგეს, მათ კი, ვითომც არაფერი და სამმა ერთად გააგრძელოს გზა ქარიშხლის გრიალში... თუმცა ეს ერთადერთ სიტუაციაშია მოსალოდნელი და წარმოსადგენი: თუ გაორებული პოეტი – შინაგანად – იდუმალეთიდან გამოცხადებულ, განრისხებულ ლენორასთან ერთად, ხოლო გარეგნულად – მარტო მიდის ტაძრისკენ.

შინაგანად იგი უკვე ველარ უძლებს გამოცხადების სიმძაფრეს და ნატრობს დროს ქალწულის სიშორისა, მათ შუა ჩამდგარი მესამე – ეს მისივე, ლალატითა და ფიცის გატეხვით დამახინჯებული, „ქვე-მეა“, ვილაც, რომელსაც ვერასოდეს მოიშორებს. ეს „ქვე მე“ ყრუდ აუნყებს, რომ „საცაა, მოვა სიკვდილის წამი“. ლექსის ბოლოს, სიკვდილით არა ადამიანი, არამედ მოტირალი ქარი კვდება („ქარი დაცხრა სიბობოქრის“ – გვიანდელიდან).

ლოგიკურად გამოდის, რომ გაორებული პოეტი მთელი თავისი ბნელ-ნათელი არსებით, სიმახინჯე-მშვენიერებით, მიემართება ღვთის სახლისკენ, ქეჯნადქცეულ ლენორას სახებასთან ერთად, ოღონდ ეს ყველაფერი მე აწმყოთი გადმოვეცი, ლექსის მიხედვით კი წარსულში მომხდარა.

დასასრულს, ვეცდები თავი მოვუყარო სხვადასხვა დინებას და მოკლედ ჩამოვაყალიბო, რის თქმას ვცდილობდი:

პროზაული ქმნილება „ელეონორა“ (1843), რომელიც ლენორას სახის და „ყორანის“ გასაღებია, რუსულად გალაკტიონის ლექსზე გვიან ითარგმნა, ადრეც რომ თარგმნილიყო, შიგ ვირჯინიას სახე კია მოცემული, მაგრამ სახელი ლენორა – არ ფიგურირებს.

ეს მაფიქრებინებს, რომ „ედგარი მესამედ“ უნდა ნიშნავდეს რაღაც პოეტური მისტიკის ძალით ედგარადქმნილი გალაკტიონის მიერ ლენორას (ვირჯინიას, რაც ქალწულად ითარგმნება) მესამედ მოხმობას ლექსში.

ჩემს რეფლექსიას ალბათ ერთი დიდი ჩავარდნა აქვს: მკაფიოდ ვერ მოხერხდა საკომუნიკაციო ბმის დაფიქსირება სათაურსა და „ვინმე მახინჯ მესამეს“ შორის.

მხოლოდ ძალიან ფრთხილად შემიძლია ვთქვა, რომ თუ შესაძლებელია, სათაური, მართლაც პოეტური მისტიკის ძალით, ედგარადქცეული გალაკტიონის ანუ ედგარის მიერ ლენორას მესამე ხსენებას ნიშნავდეს, მაშინ ედგარის ქვეცნობიერი, მისი ვილაც, ცუდი, მახინჯი „იგი“, არის ის, ვინც განუშორებელ მესამედ ჩამდგარა პოეტსა და მის მარადიულ სიყვარულს შორის (პიროვნების გაორება: „ქვე მე“ – მახინჯი და „ზე მე“ – პოეტი), ამ ლოგიკით თითქოს ყველაფერი მოსახელთებელ კავშირშია...

თუმცა ამაზე ფიქრი – სხვა დროს!




პარინა რხიკვაძე

საქმიანი ისტორიებიდან კარგი ლიგეიაზურა იქმნება

რატომ „ფრანით მორბენალი“

გავრცელებული აზრია: „ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ცხოვრებას. წარმატება თუ წარუმატებლობა მხოლოდ მის პირად ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოახერხებს იგი ღვთისგან ბოძებული უნარ-ჩვევების რეალიზებას. სრული სიმართლეა ეს აზრი, თუ ადამიანი ცხოვრობს თავისუფალ სამყაროში (ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სადაც პიროვნების ნიჭის გაფურჩქვნას არანაირი დაბრკოლება არ ეღობება, სტიმული კი უამრავი სდევს თან. გამოთქმა „ამერიკული ოცნება“ ხომ ამის დასტურია. რამდენი ქართველის გახსენება შეიძლება, ბედის საძებნელად წასულებმა პირველობაც მოახერხეს და მტკიცედ აღბეჭდეს საკუთარი სახელი ამერიკის ისტორიაში.



სხვა შემთხვევაში კი, ე. ი. დანარჩენ სამყაროში, ადამიანის ცხოვრების გზას, მის ავ-კარგს ბევრად განსაზღვრავს სოციალური, რასობრივი, რელიგიური და ეროვნული კუთვნილება, ტრადიციები, ხშირად დრომოჭმული საზოგადოებრივი აზრი, ანუ მრავლისმთქმელი და მრავლისმეტყველი, საღი აზრის ჩამკვლელი „რას იტყვის ხალხი?...“

ყოველივე ეს დიდი ოსტატობით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიაში, მათ ხასიათებში არაჩვეულებრივი წვდომით აღწერა ავლანელმა, ოღონდ ინგლისურენოვანმა მწერალმა ხალედ ჰოსეინმა რომანში „ფრანით მორბენალი“. ნაწარმოების ერთ ეპიზოდში წინააღმდეგობრივი პერსონაჟი, უკვე სინანულით შეპყრობილი ამირი გულდანყვეტილი ამბობს: „მე რომ არა, იქნებ ბაბას ისინიც წაეყვანა ამერიკაში? ყველაფერი სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო. ჰასანს თავისი სახლი, სამსახური, ოჯახი ექნებოდა. იქ იცხოვრებდა, სადაც არავის ანალვლებს ჰაზარა ხარ თუ არა. სადაც წარმოდგენაც არა აქვთ, ჰაზარა რას ნიშნავს. ვინ იცის...“

ვინ არიან ამირი და ჰასანი, რა უხილავი თუ ხილული ძაფებით დააკავშირა მათი ცხოვრება განგებამ, რას ნანობს ამირი და რატომაა ჰასანი ტრაგიკული პერსონაჟი? ყოველივე ამას მოგვითხრობს მწერალი და წიგნის დასრულების შემდეგაც დიდხანს ჩაგვაფიქრებს ჰასანის ბედზე.

რატომ შევარჩიე ეს ნაწარმოები? საოცრად მოვიხიბლე მისი რომანით „მთებმა მთებს უთხრეს“. ადრეულ ბავშვობაში დაშორებული და-ძმის ემოციური შეხვედრა ექვსი ათეული წლის შემდეგ არასდროს დამავიწყდება. ვფიქრობდი, მწერლის სხვა ნაწარმოებიც ასეთია, თუ „მთებმა მთებს უთხრეს“ მისი შემოქმედების „ობოლი მარგალიტია?“ (ისევე როგორც მარგარეტ მიტჩელის „ქარნაღებულნი“, ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“... შეიძლება ვცდები, შენიშვნებს მივიღებ...)

„ფრანით მორბენალი“ უფრო მეტ საფიქრალს გვიტოვებს. მას აქვს ბედნიერი დასასრული. ამირი მიზანს აღწევს, ძმიშვილი თავისთან მიჰყავს, მაგრამ აქამდე ბევრი ღირსეული პერსონაჟი ეწირება უსამართლობას.

ცოტა რამ რომანის პერსონაჟების შესახებ

რომანში მოქმედების დიდი ნაწილი ვითარდება XX საუკუნის ქაბულში. ვაზირაქბარხანი დედა-ქალაქის ელიტარული უბანია. მდიდართა სახლებს შორის საუკეთესოა წარმატებული ბიზნესმენის საჭიბ აქბარის სასახლე. აქ ცხოვრობს იგი მცირეწლოვან ვაჟ ამირთან ერთად. საჭიბი ნამდვილი ვაჟკაცია, ფიზიკურად ძლიერი. ერთხელ დათვსაც კი შესჭიდებია, რის გამოც მას „ტუფან (გრიგალ) ალა“ უწოდეს. მას სამი რამ იტაცებს: პოლიტიკა, ფეხბურთი და ბიზნესი. იგი დიდი ქველმოქმედიცაა. საკუთარი პროექტითა და ფინანსებით ააგო ობოლთა თავშესაფარი. მისი დასაფლავების დღეს მომსვლელები მასზე მადლიერების გამომხატველ სიტყვებს არ იშურებენ: „სახლის აშენებაში დამეხმარა“, „სამსახური მიშოვა, არც კი მიცნობდა კარგად“. „ყველამ უარი მითხრა, მან კი მასესხა“, „...ძმასავით მიყვარდა“. საჭიბი ქვრივია, მისი ულამაზესი მეუღლე, ფილოლოგი, ქაბული უნივერსიტეტის პროფესორი სოფია აქბარი ამირის დაბადებას გადაჰყვავა 1963 წელს.

ეზოში პატარა, უბრალო სახლიცაა. აქ ცხოვრობს ჰაზარა მსახური ალი, საჭიბის თანატოლი და თანაშემზრდილი. იგი ხუთი წლის ობოლი ბიჭი იყო, როცა საჭიბის მამამ, ქაბულში ცნობილმა ადვოკატმა, შინ მოიყვანა და შვილთან ერთად ზრდიდა. საჭიბს გულწრფელად უყვარდა იგი და საშინლად ტიროდა, როცა ალი პოლიომელიტით დაავადდა. ბიჭი გადარჩა, მაგრამ სახეც დაუმახინჯდა და საშინლად დაკოჭლდა კიდევ.

ალის პირველ ცოლთან შვილი არ შეეძინა. ქალი გათხოვდა და მრავალშვილიანი დედაც გახდა. ალიც ხელმეორედ დაქორწინდა, ახალი ცოლი ულამაზესი სანაუბარი (აგრეთვე ეთნიკურად ჰაზარა) საკმაოდ სახელგატეხილი ქალი იყო. 1964 წელს წყვილს ბიჭი შეეძინათ – ჰასანი, რომელიც კურდღლის ტუჩით დაიბადა. დედამ ერთი კი დახედა ახალშობილს და ზიზლით სავსემ ქმარს მიუგდო. ერთი კვირის შემდეგ კი მოხეტიალე მუსიკოსებს გაჰყვავა და გადაიკარგა. საჭიბის გადაწყვეტილებით, ჰასანსაც ერთი წლის ამირის ძიძა ზრდიდა. ბიჭები ძმებავით იზრდებოდნენ, ოღონდ ერთი მდიდრულ სახლში, მამის ქონებისა და პრივილეგიების მემკვიდრედ, მეორე კი ქოხში, როგორც რიგითი ჰაზარა, უუფლებო და ბევრისგან აბუჩად აგდებული ეთნიკური კუთვნილების გამო.

იროვნება, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს აღამინათა ბედს

ვინ არიან ჰაზარები? სქოლიოში მათ შესახებ ვკითხულობთ: „სპარსულად მოლაპარაკე ხალხი ცენტრალურ ავღანეთში. უმეტესობა შიიტი მუსლიმია. ისინი შეადგენენ ავღანეთში სიდიდით მესამე ეთნიკურ ჯგუფს“. ჰაზარებს, გაბატონებული პუშტუნები ზიზლით უყურებდნენ და ყოველთვის დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ. თუმცა საჭიბის ოჯახში ასე არ ხდება.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ამირისა და ჰასანის თანატოლი, ასეფი უკიდურესი ნაცისტია, ეს გასაგებიცაა, რადგან დედით გერმანელს, დედისგან განსხვავებით, ჰიტლერის ნაცისტური შეხედულებები მოსწონს: „ჰიტლერს რომ დასცლოდა, დღეს მსოფლიო უკეთესად იქნებოდა მოწყობილი. წიგნები უნდა წაიკითხო. ის წიგნები, რომლებსაც სკოლაში გიკრძალავენ. მე წავიკითხე და თვალები ამეხილა. ახლა ჩემი ხედვა მაქვს. ავლანეთი პუშტუნთა მიწაა... ნამდვილი ავლანელები ჩვენ ვართ და არა ეს ბრტყელცხვირები (იგულისხმება ჰაზარები). მისი ხალხი აბინძურებს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სისხლს. ავლანეთი ავლანელებისათვის!“

სამწუხაროდ, ასეფის მსგავსი სოციოპათი მრავლადაა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და როგორც კი ხელისუფლება მის თანამოაზრეთა ხელში აღმოჩნდება, ეთნიკური წმენდა გარდაუვალა.

ასე დაემართა ნანარმოებში ჰაზარებსაც. მოგვიანებით, ხელისუფლებაში მოსულმა თალიბებმა სხვებთან ერთად დახვრიტეს ჰასანი და მისი ცოლი, ხოლო მათი მოზრდილი ვაჟი ასეფისა და მისი უზნეო მეგობრების „გასართობ ბიჭად“ იქცა.

ალი და ჰასანი არ უჩიოდნენ თავიანთ ბედს. საჰიბის სახლში მათ არავინ დასცინოდა. ჰქონდათ სითბო, საკვები და ისინიც ერთგულად ემსახურებოდნენ მდიდარი ოჯახის წევრებსა და მათ სტუმრებს. მართალია, ეს არ იყო „ავთანდილ-შერმადინობასავით“ ამალღებული ურთიერთობა, მაგრამ მამა-შვილი თავისი ეთნიკური კუთვნილების გამო უკეთესს ვერც ინატრებდა. „მე არ მინდა აქედან წასვლა“ – აღიარა ჰასანმა, როცა 1973 წლის 14 ივლისს მონარქიის დამხობის გამო მთელი ღამე ქალაქში შეუწყვეტლად ისროდნენ. ბიჭი შიშობდა, ახალ ხელისუფლებას ჰაზარები არ ამოუწყვეტია. ჰასანის შიში გამართლდა, ოღონდ უფრო გვიან, მეოთხედი საუკუნის შემდეგ...

ქურდობა – ყოველი უბედურების სათავე, ანუ არქიმდგარი მამაშვილობა

საჰიბი ანუ ბაბა, როგორც მას ამირი უწოდებს, შვილს მართალი გზით სიარულს ურჩევდა, ქურდობა ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნდა და ამირს ხშირად უმეორებდა: „იცოდე, მხოლოდ ერთი ცოდვა არსებობს, მხოლოდ ერთი – ქურდობა. ყველა სხვა ცოდვა ქურდობის ვარიაციაა. კაცს როცა კლავ, მის სიცოცხლეს იპარავ, კაცის ცოლს – ქმრის ყოლის უფლებას ჰპარავ, ბავშვებს – მამას. როცა ცრუობ, სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ ვიღაცას, როცა თაღლითობ – სამართალს“. სამწუხაროდ, ასეთი მაღალზნეობრივი სიტყვების მთქმელი ვაჟკაცი და უშიშარი საჰიბი თავად ცხოვრობს სიცრუეში და ვერავისთვის გაუმხელია (გარდა უახლოესი მეგობარ რაჰიმ-ხანისთვის), რომ ჰასანი მისი შვილია, მისი სისხლი და ხორცი. ვერ გაბედა, რადგან „სირცხვილი იყო ამ ამბის გამხელა. ხალხი ჭორაობას დაიწყებდა, კაცის სახელი, ღირსება ფეხქვეშ გაითელებოდა“. ბაბას კი არ უნდოდა ხალხის თვალში „ღირსეული კაცის“ სახელს შელეოდა... შეშინდა დათვთან მორკინალი კაცი და გასწირა ბიოლოგიური შვილი – ჰასანი. გასწირა დამცირების, სიღარიბის, უუფლებობის, უსწავლელობის, ფსკერზე ცხოვრებისა, და ბოლოს, სიკვდილისათვის.

როგორც ჩანს, ბევრგან მუშაობს დაუნერელი „რას იტყვის ხალხი“, თავისი დრომოჭმული ადათ-წესებითა და ყველა არაა ალუდასავით გამბედავი, რომ რომელიმე სიმახინჯეზე გაბედულად თქვას: „არა, მე შევცვლი ამას!“ შეიძლება, ბაბა ამის გასაჯაროებას იმიტომაც მოერიდა, რომ დაინდო ბავშვობიდან თანშეზრდილი ალი – პოლიომელიტისაგან დაინვალიდებული – ცოლისაგან მიტოვებული, პუშტუნი აბეზარი ბავშვებისაგან ათასჯერ გულმოკლული, მაგრამ უერთგულესი და ზნეკეთილი ჰაზარა მსახური და ეს ერთადერთი ნათელი წერტილი დაუტოვა, ერთადერთი სიხარული დაჩაგრული კაცისა – ვაჟიშვილი.

ბიოლოგიურმა მამამ გასწირა ჰასანი რომელზედაც უკლებლივ გადასულიყო მამის ვაჟკაცური თვისებები: გამბედაობა, ნიჭიერება, მოხერხებულობა, შეუპოვრობა, მიზანდასახულობა, ერთგულება. საჭიბი ცდილობდა ბიჭი თავისთან ყოლოდა, ერთხელ ტბაზე ყოფნისას „ხელიც კი გადახვია მას“. ყოველი დაბადების დღეს ისეთ საჩუქარს ჩუქნიდა, როგორც ამირს, და ინდოეთიდან მოწვეულ ქირურგს ბიჭისთვის თანდაყოლილი კურდღლის ტუჩის მოსაშორებლად ძვირადღირებული პლასტიკური ოპერაცია გააკეთებინა. ბოლო კი, როცა მშიშარა ამირის მიერ ჰასანისათვის ქურდობის დაბრალების გამო მსახური მამა-შვილი წასვლას გადანყვეტს, ცრემლებით ევედრება მათ, ეს არ გააკეთონ. ხოლო წასვლისას ატირებული აცილებს მათ სადგურზე.

ჰასანისა და ბაბას მამა-შვილობა არ შედგა, თუმცა მამა მთელი ცხოვრება იტანჯებოდა ამის გამო, რადგან უნამუსო არ იყო: „უნამუსოები არ იტანჯებიან საკუთარი საქციელის გამო“. იგი ორად იხლიჩებოდა ჰასანსა და ამირს შორის, ძალიან განიცდიდა, რომ ჰასანის მიმართ სიყვარულს ღიად ვერ გამოხატავდა.

სამაგიეროდ, ბაბამ ყველაფერი მისცა ამირს, ბოლო ამოსუნთქვამდე იმედი იყო ვაჟიშვილისა, რომელის არაფერი მოსწონდა. ბიჭი სულ არ ჰგავდა მამას, ოდნავადაც არა. მისი ვაჟკაცური თვისებების ერთი მისხალიც კი არ იყო მასში. ამირს ბავშვობიდან კითხვა უყვარდა. შემდეგ თავადაც დაიწყო პატარ-პატარა მოთხრობების წერა, მაგრამ ბაბას ამისთვის არასდროს შეუქია იგი. ბიჭს არ უყვარდა ფეხბურთი, ნადირობა, ცხენოსნობა. მშიშარა იყო და მტირალა. მამა წუხდა, თანატოლებს წინააღმდეგობას რომ ვერ უწევდა და ამ დროს ამირის მაგივრად ჰასანი იგერიებდა აბეზარ ბიჭებს. „პატარა ბიჭობაში თუ საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია, კაცი რომ გახდება ვინ დაუდგება გვერდით, ცხოვრებას როგორ გაუმკლავდება... მე თვითონ რომ არ მენახა როგორ იმშობიარა ჩემმა ცოლმა, ვერასდროს დავიჯერებდი, რომ ჩემი შვილია“, – წუხდა მამა.

ლაჩრობა და სიმხდალე არშემდგარი ქმობის მიზეზი

ამირის სიმხდალის მიზეზით გაიყარა ბიჭების გზა. ეს ზამთარში მოხდა, ფრანგებით ბრძოლის შეჯიბრის შემდეგ. ბიჭები 13-14 წლისანი იყვნენ. ამირს ძალიან სურდა, ბაბას გული მოეგო და ფრანგებით ბრძოლა ამის საუკეთესო ასპარეზი იქნებოდა. მით უფრო, რომ მას დამხმარედ ჰასანი ეყოლებოდა – სწორუპოვარი ფრანგით მორბენალი. ასეც მოხდა. დაძაბულ ასპარეზობაში გამარჯვების შემდეგ ჰასანი მარტო წავიდა იმ ლურჯი ფრანგის მოსატანად, რომლის პატრონიც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს. ფრანი ქალაქის უკაცრიელ ადგილას დაეშვა. როცა ჰასანს დაავიანდა, ამირი მის მოსაძებნად წავიდა და ქალაქის ბოლოს მისულს უსიამოვნო სურათი დახვდა: ლურჯი ფრანგის პატრონი ასეფს თავის ამაღასთან ერთად ჰასანი მიწაზე დაეგდო და შერცხვენას უპირებდა. ამირი შეშინდა, გამოჩენა ვერ გაბედა, ჰასანი ბოროტ ბიჭებს ჩაუტოვა და ყოყმანის შემდეგ იქაურობას მოსცილდა...

ამ შემთხვევამ საშინლად დათრგუნა ამირი, ისედაც ლაჩარი. არაფერი შეიმჩნია ჰასანმა, რომელმაც შენიშნა უკან მიბრუნებული ამირი. ბიჭების ურთიერთობა უკვე დასასრულისკენ მიდიოდა. ამირს არ სურს ჰასანის სიახლოვე და მამას სთხოვს, ჰაზარა მსახურები შეცვალოს. ბაბას ამის გაგონება არ სურდა: „ჰასანი არსად არ წავა, ეს მისი სახლია. ჩვენ მისი ოჯახი ვართ“. მაშინ ამირმა უკადრებელი იკადრა. ჰასანს ძვირფასი საათისა და ფულის მოპარვა დააბრალა.

ზნეკეტილი ჰასანი ხვდება ამირის ქცევის მოტივს, რომ ბატონმა სახლიდან გააგდოს. მაგრამ მათდა გასაოცრად მოტყუებულმა ბაბამ აპატია ჰასანს საქციელი და დიდხანს და გულწრფელად

სთხოვდა მამა-შვილს დარჩენილიყვნენ მათთან და ეცხოვრათ ძველებურად. ალიმ და ჰასანმა გადაწყვეტილება არ შეიცვალეს და ატირებულმა ბაბამ მანქანით გააცილა ისინი სადგურისაკენ.

ამ ეპიზოდს ხელმეორედ დავუბრუნდი, როცა ამირმა ათეული წლების შემდეგ რაჰიმ-ხანისაგან შეიტყო, რომ ჰასანი მისი ძმაა. ახლა უკვე მძაფრად ვიგრძენი მწუხარება მამისა, რომელიც იძულებულია სამუდამოდ მოშორდეს აულიარებელ შვილს, რომელზედაც უკლებლივ გადავიდა მისი საუკეთესო თვისებები.

ამირი მთელი ცხოვრება იტანჯებოდა თავისი საქციელით: „მე გავყარე ისინი სახლიდან... ისე ვუყვარდი ჰასანს, როგორც არასდროს არავის შევუყვარდებოდი“. უკვე ოცდათვრამეტი წლის ცნობილმა მწერალმა, შეერთებული შტატების მოქალაქემ გადაწყვიტა ბავშვობისდროინდელი შეცდომის გამოსწორება. მან ურთულესი მისია დაისახა, დაბრუნებულიყო ავღანეთში და სასტიკი თაღბებისაგან დაეხსნა სოჭრაბი, გარდაცვლილი ჰასანის ერთადერთი ვაჟი. ეს რომ არა, „ისევ წაიღებდა წყალი წარსულს, ჰასანს, სოჭრაბს, ბაბასა და ჩემი დანაშაულის გამოსყიდვის უკანასკნელ შანსს“.

ამ თავგანწირვის პერიპეტეებს არ მოვყვები, დაინტერესებული მკითხველი თავად გაეცნობა, თუ რა სირთულეების გადალახვა, დაუძლეველის დაძლევა დასჭირდა ამირს მიზნის მისაღწევად. მან სოჭრაბი სამშვიდობოზე გაიყვანა ცხოვრებისაგან დამცირებული, დაჩაგრული ბიჭი.

ნეტავ რომელია ჰასანი?

წიგნის ქართული გამოცემის ყდაზე მშვენიერი ილუსტრაციაა: 70-იანი წლების მშვიდობიანი აღმოსავლური ქალაქის, ქაბულის ფონზე გორაზე დგას ორი ბიჭუნა. ერთნაირი სიმაღლის, ერთნაირი ჩაცმულობით, თავზე წაბლის ტოტების ჩრდილი დაჰფენიათ, აქ ბიჭების საუკეთესო გასართობი ადგილი იყო და რომელიღაც ხეზე მათ მიერ ამოკანრული წარწერაცაა: „ამირი და ჰასანი – ქაბულის სულთნები“. ბიჭების თავზე აქაურების ყველაზე საყვარელი გასართობი წითელი ფრანია და მისკენა მიმართული მათი ალტაცებული მზერა. ვაკვირდები თითქმის ერთნაირი ბიჭების სილუეტს და ვფიქრობ, რომელია მათ შორის ზნეკეთილი, მიმტევებელი და საოცარი ჰასანი – შეუდარებელი ფრანით მორბენალი?



პაია ჭადიაშვილი

პორცელანი – მშვენიერების მონაზრება

არიან სიტყვები, რომლებსაც რაღაც იდუმალეზა დაჰყვებათ. ისინი გვატყვევებენ უცხოობითა და ერთგვარი მიუწვდომლობით, ინვევენ შორეული მშვენიერების განცდას. ერთ ასეთ სიტყვად პორცელანი წარმოგვიდგება, რომელსაც კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ორიოდ ნიმუშის ჭრილში წარმოვაჩინთ (კონსტანტინე გამსახურდია, ნატო ინგოროყვა). პორცელანი ფაიფურის ხელოვნებაა, რომლის საშუალებითაც დახვეწილ, ნატიფ ჭურჭელს ამზადებდნენ უძველეს ხანაში, ჩინეთსა და იაპონიაში, შემდეგ კი ევროპასა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

მსოფლიო ლიტერატურის არაერთ გამორჩეულ ნიმუშში არის წარმოჩენილი ადამიანის ხელით შექმნილი მშვენიერი ნივთები, რომლებიც გამოხატავენ ეპოქის სულს, ხელოვნების ტენდენციებს, გამოსახვის თავისებურებებს, იმ გზებსა და ხერხებს, რომელთა საშუალებით ხელოვანნი „ღმერთთან გატოლებას“ (გამსახურდია), ბიბლიური იაკობივით მასთან შეჭიდებას ბედავენ, რათა მსხვერპლის, ტანჯვის ფასად რაღაც ისეთი შექმნან, რომელიც სამყაროსავით იდუმალი და მიმზიდველი, მასავით ცოცხალი, ფერადოვანი და შთამბეჭდავი იქნება.

„ჰოი, საკვირველებავ, ისეთი ადამიანებიც რომ მოიპოვებინ, რომელთაც მატერიაში სულის ჩარგვაც ეხერხებათ!“ – ასე გამოხატავს

გაოცებას კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „პორცელანის“ გმირი. მშვენიერი, ჰაეროვანი ჩაის ჭურჭელი ისე დაიპყრობს ამბის მთხრობლის გულს, სულსა და გონებას, რომ მის გარეშე თითქოს სიცოცხლე ვეღარც წარმოუდგენია. ის ყოველდღე დადის როსტრუპების ოჯახში, რადგან აქ შეუძლია შეეხოს ხელოვნების ამ ნიმუშს, სწორედ ამ სიფრიფანა, დახვეწილი, ნატიფი ფინჯნიდან იგემოს სურნელოვანი ჩაი, იგრძნოს კავშირი გარდასულ საუკუნეებსა თუ ადამიანებთან, რომლებიც ძერწავდნენ „პორცელანის ფორმებსა და ფერადებს“. ამგვარად, იგი თითქოს რაღაც უხილავ რიტუალში იღებს მონაწილეობას, მისტერიაში, რომელსაც მშვენიერებასთან ზიარება შეიძლება ეწოდოს.

მწერალი წუხს, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ ყოფიდან გააქრო ისეთი ნივთები, რომლებსაც უძველესი ოსტატები ხელით ქმნიდნენ და შიგ მთელ თავიანთ ოსტატობას, სულს, გულს, გონებას, ოცნებას აქსოვდნენ, სულს შთაბერავდნენ: „რამდენი სულიერი სიკეთე და სათნოება უნდა გამოეჩინათ ხელებს, რომ ამ პორცელანის სათუთი, რჩეული ყუნწის მსგავსი ხელსაკიდი არ დაემსხვრიათ“. ამგვარი ნივთები გადაალახვიებდნენ ადამიანს დროისა და კულტურის ბარიერებს. მწერლისთვის საცოდაობაა, როდესაც მშვენიერ ნივთებს მუზეუმს აფარებენ: „მუზეუმი სხვა რაღაა, თუ არა უშვე-

ლებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი, ყოველი რასა თავის გრძნობებს ჰმარხავს... დიდი საფლავი მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადობისა და რითმების... ბარონ როსტრუპის მშვენიერი პორცელანიც, ალბათ, ასეთ ადგილას ასაფლავია სადმე...“.

ადამიანის ესთეტიზმი სხვადასხვანაირად ვლინდება. მაგალითად, ამ ნოველაში ეს ამგვარადაც წარმოჩნდება: „ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა საგნებისადმი დამოკიდებულების გამომჟღავნება“. სწორედ ხელოვნების მშვენიერ ნივთებს გაჰყავთ ადამიანი „ბანალური რეალიზმის“ ჩარჩოებიდან, მას ფანტაზიის, წარმოსახვის უნარს უფითარებენ, სულიერ თვალს უხელენ, ახალ განზომილებებს შეაგრძნობინებენ. მატერიალურ სამყაროსაც აქვს არა მხოლოდ ხილული, არამედ ფიზიკური თვალისგან უხილავი სივრცეები, რომელთა დანახვასაც პერსონაჟი მიკროსკოპის საშუალებით იხილავს და აღტაცებული ვერ მალავს აღფრთოვანებასა და გაოცებას: „ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე, სულ სხვა ფერადი, სულ სხვა ხაზმოსმა, ვიდრე ის სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალთ ვხედავთ“.

ასე რომ, ხელოვნების მოყვარული პერსონაჟი ამის შემდეგ თავის ფილოსოფიურ შეხედულებას, წარმოდგენას რეალობისა და ირეალობის შესახებ ამგვარად აყალიბებს: „ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა. კიდეც ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა, მხატვრის მიკროსკოპში დანახული“. რა თქმა უნდა, ეს ეხმიანება ხელოვნების შესახებ პლატონისეულ წარმოდგენებს, რომლებზედაც ის დანვრილებით მსჯელობს თავის დიალოგებში („სახელმწიფო“, „იონი“, „ფედონი“ და სხვა). მკითხველს გავახსენებთ ქრისტიანულ სწავლებასაც, კერძოდ, პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ, რომელშიც ვკითხულობთ: „რადგანაც ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები“

(13,12). სიტყვა „მაშინ“ მრავალმნიშვნელოვნებითაა დატვირთული, ერთგვარი შიფრია, რომელშიც კოდირებულია მიღმური სამყაროს შესახებ ინფორმაცია. ხელოვნებას კი შეუძლია (სიტყვის, ფერის, მუსიკისა და სხვ.) გზით ადამიანს მარადიულის სუნთქვა შეაგრძნობინოს.

ნოველაში აღმოსავლური და დასავლური ხელოვნების განსხვავებულობაზე, უძველესი ჩინური და იაპონური ხელოვნების თავისებურებების შესახებ საგულისხმო თვალსაზრისებია წარმოჩენილი. პერსონაჟები საინტერესოდ მსჯელობენ იმის შესახებ, როგორ გადაილახება ხელოვნების გზით დროსივრცული ბარიერები და როგორ ხდება შესაძლებელი შეხება ირაციონალურ, მისტიკურ, მეტაფიზიკურ სამყაროსთან, კანტისეულ ნოუმენტა „ხილვა“ (ფენომენტა, რადაც გვევლინება ხილული სამყარო, მიღმა „გადახედვა“): „იაპონელებისა და ჩინელების მხატვრობა მიყვარს. ისინი არასოდეს ხატავენ ჩიტს ისე, როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ჩიტს – მოძრაობისას, ფრენისას“.

ნოველაში წარმოჩენილია, როგორ იჭრება ყოფაში მატერიალური, პრაგმატული, მომხმარებლური ინტერესები. როსტრუპების ოჯახი უძველეს ჩაის ჭურჭელს ყიდის. მთხრობელი წუხს: „ალარ მესმოდა თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ჩაის სერვიზის ნაზი წკრიალი. ჰაეროვანი ხმა ძველი ჩინური კულტურისა. მის ნაცვლად სუფრაზე ვხედავ ტლანქ, უხემ, ევროპული ფაბრიკაციის ჩაის ჭურჭელს“. ეს ხდება მიზეზი მთხრობლის საშინელი გულისწყვეტისა და იმედგაცრუებისა: „შენ ერთ წამში ხელიდან გააგდე ძვირფასი საუნჯე, რომელიც მთელი ეპოქის სულიერი სიმდიდრის ჭურჭელიც იყო“.

ნოველაზე ფიქრისას, რა თქმა უნდა, ნატო ინგოროყვას ლექსების კრებული გაგვახსენდა, ამავე სახელწოდებით: „PORCELLANAE“ (2015 წ.). ეს ერთგვარი პოეტური კოდია, სიტყვა პორცელანი – თანმხლები ჰაეროვნების, ამაღლებულობის, სინატიფის, შეგრძნებით და უცხო სურნელის შლეიფით. საითკენ გაუძღვება ეს სურნელი მკითხველს? ლექსების ნაკითხვის შე-

მდეგ მკითხველი ხვდება, როგორ იმსხვრევა ეს პორცელანი მკაცრ და უხემ რეალობასთან შეხებისას. პორცელანი სულის სიმბოლოდ აღიქმება, რომელსაც სიყვარულით გაფრთხილება სჭირდება, ან პორცელანი სხეულია, სულის ნატიფი ჭურჭელი, რწმენის მადლით განწმენდილი, რომელშიც იხარებს სული, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სული წმიდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან, და რომ არ ეკუთვნით თქვენსავე თავს?“ (პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 6,19). რა თქმა უნდა, ცალკეული სიტყვა, ფრაზა თუ მხატვრული სახე პოეზიის კონტექსტში ინტერპრეტაციების, ფიქრის დაუსრულებელ ნაკადებს აღძრავენ.

კრებულში ამჯერად ყურადღებას იქცევს ლექსი „სიჩუმის ხმაურზე“. ეს ოქსიმორონი თავიდანვე მიგვანიშნებს იმ ქვეტექსტურ წინააღმდეგობაზე, ბზარზე, რომელიც სიტყვას, ლოგოსს (პირდაპირი თუ ფარული, ფილოსოფიური თუ საღვთიმეტყველო მნიშვნელობით) აქვს გაჩენილი:

„იმსხვრევიან სიტყვები
დღისა და ღამის ფაიფურით“.

აქ დაახლოებით იგივე განწყობა შეიძლება დაეუფლოს მკითხველს, რაც გამსახურდიას ნოველა „პორცელანის“ ფინალის კითხვისას.

არაჩვეულებრივი სიცხადით მეტყველებენ ლექსისეული მეტაფორები, რომელთა საშუალებით ავტორს გულიდან გამოაქვს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ თანამედროვე სამყაროსეული ტკივილი, გაუცხოების გამძაფრებულ კრიზისში გამოხატული:

„მესმის უცნაური ხმები მოაქვს
სიტყვების მსხვრევას და
აქ აღარავინ კითხულობს სიჩუმეს“.

„სიჩუმე“ ის სიღრმეა, რომლისკენაც უნდა მიიმართოს მზერა სულიერი ზრდისა და განვითარებისათვის, საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნებისათვის. სიჩუმე თითქოს იმ უხილავი

განზომილების კარია, რომელიც ადამიანს ჭეშმარიტებისკენ მიუძღვება. სიჩუმე მატერიალური ხმებისგან განწმენდილი ქროტოპია, რომელიც ადამიანი შეიძლება ღმერთს შეხვდეს. და თუ სიტყვა დამსხვრეული ან უძლურია, როგორც ბარათაშვილი ამბობს: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, მაშინ „დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად“ („ჩემი ლოცვა“). სიჩუმის ანბანის დავიწყება კი ქვეტექსტურად ადამიანის ღვთაებრივი სამყაროსგან მოწყვეტის ტკივილს ამხელს. ამ მეტაფორის მრავალმნიშვნელოვნება მკითხველს სიმბოლური გააზრებისკენ უბიძგებს, როგორც გოეთე წერს „ფაუსტში“: „ზეაიდრება წარმოსახვა ფრთების სწორებით, მარადისისკენ ლაღად შეკრავს კამარას“. ეს არის კიდევაც პოეზიის, როგორც „სიბრძნის დარგის“ (რუსთაველი) დანიშნულება.

ნატო ინგოროყვას ამ ლექსის აზრობრივი ტონალობის კამერტონია გიორგი ლობჯანიძის სტრიქონები, ეპიგრაფად წამძღვარებული: „ვინ გაბზარა შენი მარტოობის მყიფე ფაიფური?“ ამ მეტაფორასაც ლექსში დამატებითი საინტერპრეტაციო სივრცეები და კონტექსტები შემოაქვს. ფიქრის ნაკადების მოძრაობა კი დამოკიდებულია მკითხველის გულსა, სულსა და გონებაზე.

ზოგადად კი, ნატო ინგოროყვას ამ კრებულის სხვა ლექსები გვაფიქრებს არა მხოლოდ ეგზისტენციალურ საკითხებზე, არამედ გამოთქმის ხელოვნებაზე, იმაზე, თუ რა აძლევს პოეტურ სიტყვას ძალასა და ენერგიას? ყოველდღიური გაცვეთილი, ფერებგაცლილი ლექსიკონიდან სიტყვების პოეზიის მეტაფიზიკურ სივრცეში გადანაცვლება და მოგზაურობა ხომ გულისხმობს ერთგვარ მისტიკასა და მაგიას, რომელსაც პოეტები, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, ფლობენ. ისინი ხან იმპულსურად, შთაგონებისა და ექსტაზის ნუთებში, ხან კიდევ განზრახულად სიტყვებს იმგვარად აწყვილებენ, რომ იბადებიან უცნაური, უცხო და მოულოდნელი მხატვრული სახეები და განწყობები. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე

ქართველ პოეტებს შორის პოეტური სიტყვის გამორჩეული ხელნერით ყურადღებას იქცევს ნატო ინგოროყვა. ის ენდობა სიტყვას, ლოგოსს, რომელიც „პირველითგან იყო“, მაგრამ აღარ ენდობა სიტყვას, ადამიანთა ბაგეებზე ამსხლტარს, გაფიქრებულსა თუ განზრახულს. ის გრძნობს, წუთისოფლისეული სიტყვების მეორეულობას, უმადლობას და ცდილობს ამ სიტყვებით, რომლებიც კარნავალის ნიღბებს ემსგავსებიან, მოიხელთოს ყოველდღიურ ადამიანურ შეგრძნებებში გამკრთალი თუ შემოჭრილი იდუმალი, ზესთასოფლიური, სამოთხისეული, მარადიული.

პარადოქსია, მაგრამ პოეტი ნატო ინგოროყვა, თან არ ენდობა სიტყვებს, მათ ცვალებადსა და ყალბ ციალს, თანვე ცდილობს ისევ სიტყვების საშუალებით საგანთა და მოვლენათა შუაგულს, საზრისს ჩასწვდეს. ამიტომაც მკითხველს გაანდობს, რომ მისი საუკეთესო ლექსი „უსიტყვეობა“. სიტყვა – ის ლექსიკური ერთეულია, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება ამ კრებულში. ნატო ინგოროყვა ცდილობს და ახერხებს კიდევაც სიტყვებით დაატყვევოს და გამოავლინოს საკუთარ თავთან, ადამიანებთან, სამყაროსთან ურთიერთობისას წარმოშობილი ტკივილი და სიხარული. ის არ იგონებს ახალ სიტყვებს, პოეტური ნეოლოგიზმები არ სჭირდება მას, რადგან ახერხებს ცოცხალი მეტყველების მდიდარი მარაგიდან იმგვარად გამოიყენოს ყოველდღიურობისაგან გაცვეთილი სიტყვები, რომ მკითხველმა მათი საშუალებით შეიგრძნოს რეალური დრო-სივრცის მიღმა არსებული უხილავი განზომილებები. პოეტი არ ერიდება ენაში სულ ახლახან გაჩენილ სიტყვებსაც, ჯერ კიდევ რომ არ მოუპოვებიათ ქართული ლექსიკონის სახელმწიფოს მოქალაქეობა, მაგრამ ამგვარი ნებართვის გარეშეც ხალისით დანავარდობენ ყოფითი მეტყველების სხვადასხვა სივრცეში. მაგალითად, სიტყვა „დაგილაიქოს“ თავისნაირ არაპოეტურ სიტყვასთან „ადრესატი“ სრულიად თავისუფლად მონანილეობს კრებულის პირველივე ლექსის ემოციურ-ინტელექტუ-

ალური დაძაბულობის შექმნაში („ადრესატი“). ამ ლექსში მინიმალური მხატვრული სახეებით მიიღწევა მარტოობისა და სიცარიელის ძლიერი ტკივილიანი შეგრძნება: „სინათლეს არ ეყო დრო, ჩვენამდე მოელნია“. ლექსის, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული მოზაიკური ნახატიდან უცებ გამოიკვეთება რომელიმე ფერი, ამ შემთხვევაში ეს სტრიქონი და წარმოაჩენს უსიყვარულო, გაუცხოებულ, სინათლეს მოკლებულ ურთიერთობას.

ვინ არის ამ ლექსების უსახელო ადრესატი? მკითხველი გრძნობს, რომ უმისამართო წერილები სწორედ მისთვის იწერება. პოეტი ღმერთს ადამიანებში ხედავს. მართალია, ეს ადამიანები ხშირად ძალიან მინიერნი, ყოფითობას მიჯაჭვულნი არიან, მაგრამ მათ არ დაუკარგავთ სიტყვების მოსმენის უნარი.

პორცელანს კიდევ ერთი მხატვრული ტექსტი ამოაქვს მეხსიერებიდან. ეს არის აკუტაგავა რიუნოსკეს „ხინა თოჯინები“, რომელშიც ისეთივე გამოტირებაა მშვენიერებისა, გაფერმკრთალებული ესთეტიკისა, როგორც გამსახურდიას ნოველაში. „სუნთქვაშეკრული მივჩერებოდი ამ სასწაულს. ფარნის სუსტ შუქზე ვხედავდი სპილოს ძვლის სკიპტრიან იმპერატორს, ბრწყინვალე გვირგვინოსან დედოფალს, მარჯვნივ ციტრუს – ტატიბანს და მარცხნივ – ალუბლის ხეს; პაჟს, რომელსაც გრძელტარიანი, მზის საჩრდილობელი გაშლილი ქოლგა ეპყრა ხელთ; სეფე-ქალს ლანგრით ხელში, ოქროს სახეებიან გაკრიალებულ სატუალეტო მაგიდას და ლაქნასმულ კომოდს; ნიჟარებით გაკოპნიავებულ თეჯირებს, მაგიდებს, ფინჯნებს, მოხატულ ფარანს, ფერადი ოქრომკერდით შეკერილ ბურთულებს“. ამ მოთხრობაშიც გაღარბებული ოჯახი ყიდის უძველეს იაპონურ სარიტუალო თოჯინებს. სასონარმკვეთია ნოველის ფინალური ეპიზოდი: „ამ დღეებში, იოკოჰამაში, ინგლისელის სასტუმრო დარბაზში ვნახე ქერათმიანი გოგონა, რომელიც ძველი ხინა-თოჯინის მოგლეჯილი თავით თამაშობდა. შეიძლება იმ თოჯინებსაც,

რომელზედაც ამ მოთხრობაშია ლაპარაკი, მწარე ხვედრად ერგოთ, მოხვედრილიყვნენ ერთ ყუთში რეზინების თოჯინებისა და ტყვიის ჯარისკაცების გვერდით“.

ხელოვანი არიან ის ადამიანები, რომლებიც ცოცხალი სიტყვების საშუალებით დროის, გარემოებისა თუ ათასი სხვა მიზეზით, ადამიანის გულგრილობით, დაუდევრობით დაბზარულსა და

დამსხვრეულ მშვენიერებას თავიანთი წარმოსახვის სივრცეში ოქროს ძაფებით, ცოცხალი სიტყვებით, კინცუგის ხელოვნების ოსტატობით კვლავ და კვლავ ანებებენ და პირველყოფილი სინორჩით განგვაცდევინებენ. გვარწმუნებენ, რომ „სამყაროს არსებობა გამართლებულია, როგორც ესთეტიკური ფენომენისა“ (ნიცშე, „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“).

ნიგნი-კონსერჯი – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“

„ბევრ ჟანრს გამოვიგლოვებთ ცხოვრებაში, დარჩება მხოლოდ მეტაპოეზია და მეტაადამიანი“, – წერს ბესიკ ხარანაული და ამგვარ მეტაპოეტურ ტექსტს ქმნის, „მთავარ გამთამაშებელს“, რომელშიც, როგორც მარსელ პრუსტი იტყოდა, ერთადერთ რეალობას ფიქრები ქმნიან და რომელშიც „ადამიანი სულ მიედინება“. „რანაირია ნიგნი, რომელიც სულ იკითხება და იკითხება? არ გასდის ადამიანს სულიდან იმის გემო და უნდება კვლავ და კვლავ გადაშლა და კითხვა და კითხვა... რადგან არ აშინებს, არ მოძღვრავს, არ ირწმუნება, არამედ, თითქოს სარკის შუქს დაატარებს იმის სულის ჩრდილში, რომ საიდუმლო კუნჭულები გაუნათოს და შეახსენოს თავი, სრულ და შეუბღალავ სიმარტოვეში“, – კითხულობს ბესიკ ხარანაული და მკითხველს ამგვარ მეტაჟანრულ ნიგნს სთავაზობს, რომელიც დაქსელილია სივრცული და დროული ბადეებით, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ განზომილებებს ქმნიან. ცხადი, სიზმარი, მითი, ლეგენდა, ზღაპარი, წარსული, მომავალი – თანაბარი ინტენსივობით შემოიჭრებიან და ერთმანეთს გამსჭვალავენ. რეალობისა და ირეალობის გადაკვეთის გზებზე, ერთგვარ გზაჯვარედინებზე წამიერად შეყვინებული ავტორი ერთ რომელიმე გზას კი არ ირჩევს, ერთ რომელიმე დროსიც ულ არეალს, არამედ ერთდროულად რამდენიმეს. როგორ ახერხებს ამას? პოეტი თვითონ-

ვე ცდილობს აუხსნას მკითხველს, თუ ის ისეთი ერთგული აღმოჩნდება, რომ გაუძლებს განზომილებებში ხეტიალის თავბრუსხვევას და ბოლომდე მიჰყვება.

მას აწუხებს ის, თუ „როგორი მნიშვნელოვანია ყველაფერი სიზმარში და როგორი უმნიშვნელოა ქალაქზე“ და სწორედ ამ წინააღმდეგობას გადალახავს ამ ნიგნში, დაწერილშიც ინარჩუნებს სიზმრისეულ ნაგრძობს. „ძილი ნიშნავს ცოტა ხნით სამყაროს გატანას შენი ცნობიერებიდან გარეთ“ (ბორხესი). პოეტი ხილულისა და უხილავის სივრცეებში ერთდროულად განაცდევინებს თავს მკითხველს და ნაცნობ სამყაროს ახლიდან აღმოაჩენინებს. ეს ჰგავს დროში ხეტიალის მარსელ პრუსტისეულ გამოცდილებას. ისიც დაკარგულ დროს დაეძებდა და ამას არატრადიციული და ორიგინალური თხრობის სტილით ახერხებდა.

ბესიკ ხარანაულს სურს, თავი დააღწიოს მკითხველისთვის ჩვეულ, ნაცნობ ათასგვარ წერის მანერას და ერთგვარ მეტათხრობას მიაგნოს, რომელიც ამბის, შეგრძნების, ნაფიქრის უბრალო გადმოცემის მიღმაა. ამიტომაცაა, რომ იგი მკითხველთან სიტყვით ურთიერთობის საოცარ ხვეულებს ქმნის. ამ ნიგნში ხშირად შეხვდებით კომპოზიტებს, რომელთა შემადგენლობაშია სიტყვა მეტა, მეტა-ჟანრი, მეტა-ნიგნი, მეტა-პოეზია, მეტა-ადამიანი, მეტა-მორალის... მეტაფი-

ზიკის ანალოგიით. რა ჟანრი გაუძღვება მეტა-თხრობას? „რა სასაცილო იქნებოდა, რომანს რომ ვწერდე, მოთხრობას რომ ვწერდე, ლექსს... რადგან ეს ხომ არ იქნებოდა ისეთივე რეალობა, როგორც ჩვენს დროში ტექნოლოგიაა?“ „მე ვხვდები, ჩემი ტექნოლოგია ჩემი საკუთარი ენის ტექნოლოგიაა, გარემოებით ჩემს გვამში ძარღვებისა და ნერვების სიმებად გაბმული“. „ძალიან მინდა ვსაუბრობდე ვინმე უცნობზე, მაგრამ ასეთი მხოლოდ მე თვითონ ვარ“, „სუნთქვითა ვწერ და არა სიტყვათწყობით“. „ჟანრის ძიებაში მე თვითონ დავდგინდი“. „ვწერ. რას, რომ არ ვიცი. ხალხი თვითონ დარქმევს სახელს“.

ამიტომაცაა, რომ ამ წიგნში მკითხველი შეხვდება ყველა ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტს, ერთგვარ ჟანრულ მოზაიკას. მთელი წიგნი „მეს“ უსასრულო და უცნობ სამყაროში ხეტიალია. ეს „მე“ ყოველწამიერად გარდაისახება სიტყვის ძალით და ცდილობს უცხო ნილაბში, რათა უცხო ტყავში ჩასახლებულმა შეგვაგრძნობინოს, როგორია სინამდვილეში ცა, დედამიწა, სამოთხე თუ ჯოჯოხეთი. მთელი წიგნი არის თამაში სიტყვებით, ფრაზებით, შინაარსით, მხატვრული სახეებით, მოტივებით, თემებით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც წარმოსახულ, წიგნის სამყაროში ხდება. დანერვილი (ან წერის დრო, როცა წარმოსახულს სიტყვით ახორციელებს) არის პოეტის მატერიალურ-სულიერი არსებობის მთავარი სივრცე. მისთვის წიგნის წერა არის თვითონ სიცოცხლე. სიცოცხლე, რომელიც ჯერ პოეტს ათავისუფლებს ყველგანმყოფი და ყოვლისგამსჭვალავი მოკვდავობისა და მისი თანმხლები ათასგვარი შიშისგან, ხოლო შემდეგ მკითხველს. ასე რომ, იგი ადამიანის ხსნის მისიას აკისრებს წიგნს, რომელსაც შეუძლია მკითხველს დაეხმაროს, გულის კარი გაუღოს სიყვარულს (ღმერთს). მისთვის წერა არის გამოცნობა, შეცნობა სამყაროსი და საკუთარი თავისა. ორივე ერთმანეთს გამსჭვალავს. სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შემცნობი, მისი გადამწერი, ამ შემთხვევაში, მწერალი არსებობს. დეკარტისეული, „ვფიქრობ, მაშასადამე

ვარსებობ“, ავტორისთვის ასე იცვლება: „ვწერ, ე. ი. ვარსებობ“.

ის ოცნებობს ისეთ წიგნზე, რომელსაც არც დასაწყისი ექნება და არც დასასრული ღმერთით. ბორხესის „ქვიშის წიგნიც“ ამ ოცნების დევნას გამოხატავს. წიგნის სათაური – მთავარი გამთამაშებელი, მრავალმნიშვნელოვანია. მწერალი მის „დაბადებასაც“ მისტიკურ საბურველში ახვევს: „ამ წიგნის სათაურიც ხომ სიზმრიდან ამყვამ, თორემ, ისე, გიჟი უნდა ვიყო, რომ ვიკითხო მთავარი გამთამაშებელი – ვინ არის? რა არის?“ იგი ხან მხატვრულ ტექსტშია, ხან მის მიღმა, ხან მიწიერია, ხან ზეციური, ხან კაცია და ხან ქალი, ხან ბედისწერაა და ხან შემთხვევითობა და ა. შ. ამ სიმბოლოს შესახებ თვითონ მწერალი გააბნევეს მსჯელობებს მთელ წიგნში, როგორც ასაკენკს, რომ მკითხველმა ბოლომდე მისდიოს და გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, ვინ თუ რა არის ეს მთავარი გამთამაშებელი. ბოლოს შეიძლება დაასკვნას: მთავარი გამთამაშებელი შეიძლება იყოს ყველაფერი: სულიერიცა და უსულოც. ის იცვლება დროისა და ვითარების შესაბამისად. შეიძლება ერთ წამში სხვა იყოს, მეორეში სხვა და რადგან ერთ წამშიც კი შეიძლება ყოფნა სხვადასხვა განზომილებაში, მთავარი გამთამაშებელიც ამ ერთ წამში შეიძლება იყოს სხვადასხვა. მწერლის საფიქრალია, რა წარმართავს მის ყოველწამიერ სულიერ მოგზაურობას ნაცნობსა და უცნობ სივრცეებში: თვითონ, მისი ცნობიერება (სული, გული, გონება, გრძნობა...) თუ სხვა რამ გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი. წიგნის წაკითხვის შემდეგ კი მკითხველს მთავარი გამთამაშებლის ერთი მნიშვნელობა, ნილაბი ამახსოვრდება: მთავარი გამთამაშებელია თვითონ მწერალი, შემოქმედი, რომლის გარეშე არანაირი „თამაში“, ე. ი. მხატვრული ტექსტი, არ შედგება, თუნდაც მოკარნახე ღმერთი იყოს: „ჩემი თავის თემა მექცა ჯოჯოხეთად – ჩემს საკუთარ თავს მე მათამაშებენ“, „მე მოვიფიქრე სიზმრიდან ცხადში და სააქაოდან საიქიოში გამავალი ფანჯრები. და ბოლოს, მე მოვიფიქრე საიქიოს ეპოსის ფანჯარა“. ეს უკანასკნელი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ალუზიაა.

პოეტი ისაა, ვინც დროისა და სივრცის მიღმა დახეტილობს, სულ ერთია, წარღვნამდელია თუ თანამედროვე, ამიტომაცაა, რომ წიგნში ეკლესიასტეს სულისკვეთებით გამსჭვალული წარღვნამდელი პოეტის ლექსები ისევე იკითხება, როგორც ჩვენი დროისა: „რაც არის, ის უკვე იყო, და, რაც იყო, ის უკვე არის, ამიტომაც, მსგავსებას რომ ნახავთ რამეს, არ გაიკვირვოთ: „მეც წარღვნამდელი ვიყავ, როგორც დღეს ხართ თქვენ წარღვნამდელი“. წარღვნა, ისევე როგორც მეორედ მოსვლა, აპოკალიფსი ახლა ხდება, უბრალოდ, ზოგი შეიგრძნობს, ზოგი ვერა. როგორც იოანე მოციქული წერს: „რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს“ (იოანე, 5, 25).

ავტორი თავისი ჩანაწერების ამ კრებულს ჟანრობრივად ამთლიანებს მინაწერით: მეტაპოეტური წიგნი-კონცერტი. მეტაპოეტური მინაწერებს იმაზე, რაც პოეტურობის მიღმაა, რაც სიღრმეშია და რის შეცნობასაც სულიერი ძიება სჭირდება: „სხვაა მეტაფორაში, სხვაა სინამდვილეში, ამიტომაცაა, რომ სინამდვილე და მეტაფორა განუწყვეტლივ იცვლიან ფალანგებს, რომ ცხოვრებას თამაში მოუგონ“.

კონცერტი სანახაობაა, სადაც ადამიანი მიდის გასართობად.

ეს წიგნიც სანახაობაა ადამიანური ყოფისა.

ერთ მშვენიერ დღეს მწერალმა „მეხსიერების ერთი დაკეტილი უჯრა გააღო“ და იქიდან „ნახევარი საუკუნის წინანდელმა შთაბეჭდილებამ შემოანათა“ და გაჩნდა ახალი მიზეზი ახალი წიგნის შექმნისა: „როგორ გადმოვხატო და გადმოვიწერო ეს სმენითი და ვიზუალური წარსული? ეს წამი საკმარისია მხოლოდ წიგნის ზოგადი სახის დასანახავად და არა წიგნისთვის, რომელსაც მინდა, რომ მივცე სახე იმ კონცერტებისა, რომლებსაც ბავშვობაში უამრავჯერ დავსწრებივარ და ახლა მე ჩემი თავისგან იმავს ვითხოვ – ამბავს, სიმღერას, ცირკს, ცრემლს და სიცილს... ყველაფერს ერთად, ერთ წიგნ-კონცერტად, როგორც მაშინდელ წარმოდგენებში ხდებოდა, და, თავისი ჟანრული მრავალფეროვნებით ნამდვილი დღესასწაული იყო...“ „ვის

შესწევს ძალა, რომ მთელი ეს მრავალფეროვანი თეატრალური და საცირკო შთაბეჭდილება თავისი წარმოსახვის ფრთებქვეშ მოაქციოს და მის ქარგზე გამოჭრას წიგნი?

ალბათ იმას, ვისაც შეუძლია, ყველაფერი ერთად დაინახოს, შეუძლია დაიმახსოვროს და დაიტიოს საფეთქლებით შეკრულ უჯრაში... მით უმეტეს, როცა სოფლის გარიჟრაჟებზე და საღამოებზეა გაზრდილი და ადვილად შეუძლია ოყოს – კონცერტი! „ამ წიგნის კითხვისასაც მკითხველი უცნაურად ამოვარდება ჩვეულებრივი რეალობიდან და აღმოჩნდება ახალ რეალობაში, რომელიც სინამდვილეს ჰგავს და განსხვავდება კიდევაც მისგან – ჰგავს იმით, რომ აქაც ადამიანური შეგრძნებები, სურვილები იხატება, განსხვავდება იმით, რომ მკითხველი ერთდროულად განიცდის სხვადასხვა სივრცულსა და დროულ განზომილებებს. ანმყო, წარსული და მომავალი ერთად წარმოუდგება. მეტაპოეზია, – ლექსის იქით, ფურცლის იქით, აზროვნების იქით, სახელშერქმეული გრძნობების და საგნების იქით...“ ეს ჰგავს ფრანგ სიმბოლისტთა წმინდა პოეზიის ძიებას, რომელიც უნდა ყოფილიყო „მთვრალი სურნელთა იდუმალებით“, „სხვა ყველა არის – ლიტერატურა“ (პოლ ვერლენი).

ბესიკ ხარანაული ფიქრობს, რომ „ადამიანიც მისახედია, ისიც კარგა ნაღეჭია წიგნის „ცხრაკლიტულების“ გასაღებები თვითონ წიგნივეა. ერთი ასეთი ცხრაკლიტულია ყდაზე ავტორთან გამოსახული უცხო კაცი. ეს კაცი პოეტის თანასოფელი ამირანია. ავტორი მის გვერდით სხვანაირია, რადგან ამ წიგნში ამირანიც ერთ-ერთი მთავარი გამთამაშებელია, რომელიც ლეგენდად და მითად გადაიქცა, რადგან ბედისწერისა თუ შემთხვევის წყალობით, რომელიღაც წლის, თვისა და რიცხვის, საათისა და წამის მონაკვეთში პოეტთან ერთად ფოტოზე აღიბეჭდა. ესეც მოჭიდავეა, ცხოვრებასთან დამარცხებული, როგორც ის, კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული ახლაც, ოღონდ სხვა განზომილებაში. „ვისაც თვალები აქვს, დაინახავს“, როგორც სახარებაშია. და დაინახა ის მწერალმა აქ და ჩვენს დრო-

ში. ისევე როგორც აქ და ახლა ხედავს პავლე მოციქულსა თუ სტეფანეს, რომლის დასჯასაც დაესწრო ჯერ კიდევ „ბრმა“ სავლე და შემდეგ, თვალახილული დღემდე ქადაგებს. ვისაც ყურები აქვს, გაიგონებს, როგორც სახარებაშია. „ეს წიგნია დაეჭვებულთათვის, ვინც მიწას ფეხის-გულებით გრძნობს და ჰაერს ყურის ქალამნებით! სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველო!“

წიგნი იწყება ერთგვარი მეტაპოეტური „გამოცხადებით“ უჩინარი წამყვანი, როგორც წინასწარმეტყველი, ადამიანებს მიანიშნებს აპოკალიფსის მოახლოებაზე. მკითხველი თითქოს ბიბლიის რომელიმე ტექსტს კითხულობს, უფრო ზუსტად, იოანე მახარებლის მიერ კუნძულ პატ-მოსსზე ხილვით ჩანერილ „გამოცხადებას“.

ბესიკ ხარანაულის სტილი ამ წიგნში ერთგვარი მეტა-სტილია. იგი გვაგონებს ხან მახარებლების, ხან ნიცუმს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ და ხან ლაო ძის „დაო ძინის“ წერის მანერას. ამ სამივესთან აკავშირებს: ერთგვარი ზემთაგონებულობა სისადავე, უბრალოება, პოეტურობა, სიბრძნე, გულწრფელობა, თანვე საოცარი მიზიდულობისა და დატყვევების ძალა. მუდმივი შეგრძნება იმისა, რომ მკითხველი „განძის მადიებელია“ და რაც უფრო თავდაუზოგავი იქნება კითხვისას, მით უფრო მიუახლოვდება სანადელს. ეს სანადელი კი ის საოცარი სიმშვიდეა, რომელსაც სულისა და ხორცის ჰარმონიული თანაარსებობით მიაღწევს კაცი. ამგვარი სიმშვიდის ძიება მხოლოდ დიდ ბრძოლას, ჭიდილს გულისხმობს საკუთარ თავთან და მთელ სამყაროსთან. ეს ბრძოლა არასოდეს მთავრდება.

ამავე დროს, პოეტის სტილისთვის დამახასიათებელია ირონია საკუთარი თავის, მკითხველის, სამყაროს და ყოველივე იმის მიმართ, რის შესახებაც წერს. „თუმცა ეს წიგნი არ არის ლიტერატურის ეპიტაფია, ყველა ჟანრიდან გადარჩება მხოლოდ პოეზია – სიმწვანე, სილურჯე, ადამიანი – იმისი იქნება... და მეც, ლიტერატორი ხომ არა ვარ, მე ხომ გატყავებული, ნიშნის მოგებით მდინარეში გადაგდებული მელა ვარ, რომელიც, მიუხედავად განწირულებისა, ქვეყნიერებას მაინც დასცინის“.

წიგნის დასაწყისში „მოთელვა თამაშის დაწყების წინ“ – მოგვაგონებს კონცერტის დაწყებამდე სხვადასხვა ინსტრუმენტის აწყობა-გასწორებას. ზოგიერთი ფრაზა მუქი შრიფტითაა გამოყოფილი – მკითხველს შეუძლია ჯერ მხოლოდ ისინი წაიკითხოს, მოემზადოს თამაშისათვის, წაკითხვისათვის. გაისმის ქაოსური ხმები – ამ შემთხვევაში, მკითხველი კითხულობს ერთმანეთზე მიჯრილ სტრიქონებს, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდებიან. ეს ფრაზები, „ხმები“ კონცერტის დროს დაინმინდებიან და ჰარმონიულად შეერწყებიან ერთმანეთს. მაგრამ ამ ფრაზებს ამ ერთგვარ „ქაოსში“ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობები. ხშირად სენტეცია თუ მაქსიმია. მაგალითად: „თუ არ იბრძვი, ბუნებას არ შეესაბამები“, „სიკვდილის უნახავმა სიცოცხლისა რა უნდა ვიცოდე“, „პოეზიასაც ჰყავს ფარისევლები და სადუკეველები“, „მოვა დრო და ჩემი გახსენება ნაბიჯს აგირევთ“, „მკვდარს შემიპყრობენ, დამთავრდება ჩემი გაქცევა“, „პოეტი ისევე სჭირდება ცხოვრებას, როგორც ფეხსაცმელს ლანჩები“. „ამქვეყნად ყველაზე ახალგაზრდა არსება ჩემი წიგნია“ და სხვ. ერთი კიდევ: „მოთელვა პირველ ოფლამდეა“. „ვიდრე თამაში დაიწყებოდეს, მკითხველი და ავტორ-გამთამაშებელი ფურცლის მინდორზე მოთელვას გადიან“. ხოლო მოთელვას თუ „გადაურჩები“, ესე იგი, წიგნს არ მიატოვებ, მაშინ დაიწყებ „შენი თავის ძებნას“.

მთელი წიგნიც – ეს არის საკუთარი თავის ძიება, სულის მოგზაურობა, სულის თავგადასავალი. მკითხველი თითქოს შეეჭიდება მწერალს, რომელიც ტექსტში უჩინრადაა. ეს შეჭიდება მყდუნდება კითხვისას აღძრულ ფიქრებსა და წარმოსახვებში. მწერლისთვის მთავარია, მკითხველი არ გაიქცეს „სათამაშო მოედნიდან“, ამისთვის ის ყოველ ღონეს ხმარობს, ათასნაირ უკვე ცნობილსა თუ უცნობ, დავინყებულ ილეთს იყენებს, პირველ რიგში, გულწრფელობას, მკითხველსაც აქეთკენ უბიძგებს – ერთგვარი სულიერი გაშიშვლებისკენ, რათა შემეცნების გზას წინ არანაირი „სამოსი“ და „სამკაული“ არ გადაეღობოს. „აბა,

დაინყე ჩადირვა შენს საკუთარ სულში (ადვილად ითქმის), ცხრაჯერ ცხრა ფეხი სანთელი დაგე-
წვება, ვიდრე იქ ჩახვალ და იხილავ საკვირველე-
ბას. ადამიანის სული ხომ ნაწილია უსასრულო-
ბისა და არა თვითონ ადამიანისა“.

ამ ჩანაწერების ყოველ ნაბიჯზე ნაღმებივით
ფეთქებებიან აზრები, რომელთაც სიცოცხლის
გულისგულში შეჰყავხარ: „ობობას შიგნით ისე-
თივე გუგუნია, როგორც სამყაროში“. „დაფრინა-
ვს პეპელა! ბუნების ენერჯიაა მის აფრებში... ის
არ შეიძლება თავისი თავის წინააღმდეგი იყოს...
პეპელა ბუნებას აკვდება ხელში, შენ კი შენს
თავს“, „გარეგნობას თუ მოიშორებ, ნახე, როგორ
დამსუბუქდები“, „კაცი შენშიც სულ იმალება“.

წიგნის მთავარი მიზანი (თუ შეიძლება ერთი
რომელიმე მიზნის გამოყოფა), არის საკუთარი
„თავის ძლევა“. ამიტომაც ხშირად არის ერთგ-
ვარი მედიტაციები. პოეზიის გზით მკითხველი
ვარდება ექსტაზში და საკუთარ სულში მოგზაუ-
რობს. ავტორის პოეტურ-ფილოსოფიური მსჯე-
ლობანი ეგზისტენციალურ საკითხებზე მკი-
თხველს სამყაროს უხილავი განზომილებების
შესამეცნებლად უბიძგებენ. წიგნის ბოლო თავი
„მოთქმით გალობა დედამიწის გამო“ (პათოსით

ჟიულ ლაფორგის ლექსს – „სამგლოვიარო მარ-
ში მიწის გარდაცვალებაზე“ რომ ეხმიანება) ასე
მთავრდება:

„ჩვენო მინგრეულ-მონგრეულო ღვთაებავ,
გადმოგვხედე, გადმოდგი ნაბიჯი,
ჩვენ კიდევ დავიძვრებით,
ტანჯულებს უღელი აერთოს, განთავისუფლდეს,
შემოგვიშვი
შენს კარ-მიდამოში,
მადლის სათხოვად, წიგნის დასაწერად...“.

დოსტოევსკი წერდა: „დედამიწის აღსასრუ-
ლი რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადა-
მიანებისთვის ეკითხათ: „აბა, რას იტყვით, შე-
იცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან
რა დასკვნა გამოიტანეთ აქედანო“, – ადამიანს
შეეძლო უსიტყვოდ გაეწოდებინა „დონ კიხოტი“:
„აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, – შეგი-
ძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“ ბესიკ ხარანაუ-
ლისთვისაც წიგნია კაცობრიობის გადამრჩენი,
ამიტომ ყველაზე მთავარია, ადამიანმა არ და-
კარგოს ის მადლი, რომელიც ახალ წიგნს შეაქ-
მნევენებს. წიგნი ხომ ღვთის სახლივითაა, მასში
ლოგოსი (სიტყვა) ცოცხლობს.

აკაკი ბაქრაძე და გრიგოლ რობაქიძე

„საუკუნეებს ველაპარაკები“ – ეს სიტყვები
ცხოვრებისაგან გამოტანჯულმა გრიგოლ რობა-
ქიძემ დაწერა და მათში საუკეთესოდ წარმოჩნდა
მისი პიროვნებისა და შემოქმედების ღირებუ-
ლება. სწორედ ამ ღირებულებას იკვლევს აკაკი
ბაქრაძე წიგნში „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქი-
ძის ცხოვრება და ღვანლი“, რომელიც მის უკა-
ნასკნელ ამოსუნთქვასაც დაემსგავსა, ღრმასა
და ყოვლისმომცველს. ამ ამოსუნთქვას თან
ამოჰყვა მწერლის სული და მარადისობას შეე-
რწყა. კარდუ, ანუ ქართველთა თაურფენომენი,
მასაც ისევე აწვალვდა, როგორც გრიგოლ რო-

ბაქიძეს, ამიტომაც დაეძებდა მას ერთადერთი
ყველაზე უეჭველი და ჭეშმარიტი გზით. გზით
სიტყვისა, რომელიც სამყაროს მკვიდრ ლოდად
დაფუძნებულიყო თვით უზენაესის მიერ.

აკაკი ბაქრაძის სიტყვაში, ზეპირად წარმოთ-
ქმულსა თუ დაწერილში, დრო მთლიანდებოდა
და სიცოცხლის უნივერსალური კანონზომიერე-
ბანი წარმოჩნდებოდა. წარსული, აწმყო და მო-
მავალი როგორც საიდუმლო ენერგეტიკული ვე-
ლები ერთმანეთს გადაკვეთდა და ყოფიერების
ხილულ და უხილავ განზომილებებში განუყოფ-
ლად თანაარსებობდა. მის წიგნებში ამ მთლიან

დროს ქმნიდნენ ღვთისგან რჩეულნი, რომელთა შემოქმედებასა და მოღვაწეობაში ღირებულება ენიჭებოდა სიცოცხლეს. სწორედ ასეთნი იყვნენ ილია და აკაკი, რომელთა პორტრეტებიც იმგვარად შექმნა, რომ ისინი წარმოჩნდნენ როგორც ერთსა და იმავე დროს ერთნი და მრავალნი, ცალკეულნი და მთელნი, კერძონი და ზოგადნი, პიროვნებანი და ქართველი ერის ხატებანი, მისი იდენტობის განმასახიერებელნი. ამგვარ პიროვნებათა ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობით აკაკი ბაქრაძე მკითხველს იმ გზაზე აყენებდა, რომელსაც საკუთარ თავისა და სამყაროს შემეცნებისკენ მიჰყავდა.

XX საუკუნემ თავისი სრულყოფილი ასახვა გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაში პოვა. აკაკი ბაქრაძემ მასში, როგორც მისტიკურ სარკეში, ბევრი რამ ნახა საგულისხმო. მან არა მხოლოდ გაჩხრიკა და გამოიძია გრიგოლ რობაქიძის პიროვნებისა თუ შემოქმედების დაფარული შრეები, წაიკითხა მისი სულის გაფერმკრთალებული პალიმფსესტები, არამედ ამ ქვეტექსტების ლაბირინთებში შეუძღვა მკითხველს და უამრავ საიდუმლოს აზიარა. მან თანამედროვე ადამიანი თითქოს გაათავისუფლა მატერიალური ღირებულებების ტყვეობიდან და გამოფიტული სული თავის ნამდვილ სამშობლოს, მეტაფიზიკურ, ირაციონალურ სამყაროს მიაახლა.

აკაკი ბაქრაძე, უპირველესად, გრიგოლ რობაქიძის სულიერ პორტრეტს ქმნის. უხილავსა და მოუხელთებელს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებში ჭვრეტს და მკითხველს აწვდის როგორც ძიების გზაზე მოპოვებულ დიდ გამოცდილებას. მან კარგად იცის, რომ რობაქიძის შემოქმედებაზე საუბარი ძნელია, რადგან, როგორც თვითონ წერს, იგი „ყოფიერების მეტაისტორიულ აზრს ეძებს. ამის მისაგნებად კი ადამიანმა მითოსის ჯურღმულეებში უნდა იხეტილოს. მას ქართულ მითოსსა და ქართულ ენაში სურს იპოვოს ქართველთა მსოფლხატის თაურარსი“. აკაკი ბაქრაძე ამ წიგნში თან დაჰყვება გრიგოლ რობაქიძეს ყოფისა თუ „მითოსის ჯურღმულეებში“

და მკითხველსაც იქით უკვალავს გზას. თაურარსის ძიების კვალსა და შედეგებს იგი პოულობს მის რომანებში („გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „მცველნი გრალისა“ და სხვ.), დრამებში („ლონდა“, „ლამარა“, „მალშტრემი“ და სხვ.), ლექსებში, მოთხრობებში, ესეებსა და კერძო ბარათებში. ავტორი რობაქიძის შემოქმედებას არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გაიაზრებს. მისი აზრით, ქართული მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძემ დააყენა კარდუ, რომლის სახელწოდებაც აიღო „ქართლოსიდან“ ბერძნული დაბოლოების გარეშე. იმავდროულად, კარდუ ენათესავება „ქალდეას“ – ქართველთა უძველეს სამშობლოს. რობაქიძემ კარდუს შინასახეც გამოძერწა გოეთეს თაურფენომენის იდეის დახმარებით. აკაკი ბაქრაძე თვალს მიადევნებს, როგორ გამოავლინა გრიგოლ რობაქიძემ ქართულ ენაში ქართველი ხალხის შინასახე, როგორ დაადგინა სიცოცხლის კავშირი სინმინდესთან. მან მითიური კუთხით დაინახა კავშირი ცეცხლს, სიცოცხლეს, სინმინდესა და სიმტკიცეს შორის. იგი გამოწვლილვით წარმოაჩინს რობაქიძის მიერ შექმნილი მითიური საქართველოს თაურარსს. იმასაც დასძენს, რომ მისთვის მითიური უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე ისტორიული: „მის ცნობიერებაში არსებობდა გამოგონილი საქართველო, როგორც გამოგონილი კერპი კარდუ. გამომჟღავნდებოდა, გამოვლინდებოდა თუ არა მითიური საქართველო ისტორიულში? ეს არავინ უწყოდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ამის დიდი სურვილი და წყურვილი ჰქონდა“. „გრიგოლ რობაქიძეს სჯეროდა, რომ ხელისუფლება საკრალური მოვლენა იყო. ვიგინდარების ყოფნა ხელისუფლებაში დაუშვებლად მიაჩნდა“.

აკაკი ბაქრაძე სხვადასხვა რაკურსით ხატავს გრიგოლ რობაქიძის პორტრეტს და ამ დროს ლიტერატურულსა თუ ფერწერულ შარჟებსაც მოიხმობს. ყველაზე უკეთ კი მწერალს წარმოგვიდგენს ქეთევან ამირეჯიბისთვის გაგზავნილი ნაპოლეონისგამოსახულებიანი ღია ბარათი, რომელზეც მწერლის ასეთი მინაწერია: „ამბობენ, მე

აქ ნაპოლეონს ვგავარ, ნუთუ მართლა?“ „ნუთუ მართლა“ აქ ისე გაისმის, როგორც „ღიას“. გვახსენდება ბარათაშვილის ნაპოლეონისკენ სწრაფვა, მის სახეში საკუთარი სულიერი ენერჯისა და „უძლეველობის“ გამომჟღავნების ნადილი.

XX საუკუნის ათიანი წლებიდან გრიგოლ რობაქიძე ქართული კულტურის განახლების უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმართველ ძალად იქცა. იგი ცისფერყანწლების გვერდით იდგა როგორც უფროსი ძმა და მეგობარი და თუმცა თვითონ თავკაცობას უარყოფდა, „ცისფერი ორდენის რაინდები“ მაინც მას უთმობდნენ მეთაურობას და საქართველოში „მოდერნიზმის სახარების“ პირველ მქადაგებლად მიიჩნევდნენ. აკაკი ბაქრაძე მის მოღვაწეობას ასე აჯამებს: „მან საგანმანათლებლო მიზნით და ახალ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა-გასავრცელებლად ნაიკითხა საჯარო ლექციები; უწინამძღვრა ქართული ავანგარდიზმის შექმნას და ამით ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას; კოლეგებთან ერთად ჩამოაყალიბა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. ამასთან ერთად, იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაირ-ნაირ საკითხებზე“.

საქართველო გრიგოლ რობაქიძისთვის არ იყო უბრალო „ეთნოგრაფიული“ ცნება თუ მხოლოდ „გეოგრაფიული მოხაზულობა“ – არამედ მცირე აზიის სივრცეზე განფენილი მნიშვნელოვანი კულტურა. სწორედ ამ კულტურის ძირების ჩხრეკას შეაღია სიცოცხლე. აკაკი ბაქრაძე საგანგებო ყურადღებას უთმობს 1926 წლის სექტემბერ-ოქტომბრის „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნებულ ნიკოლო მინიშვილის წერილს „ფიქრები საქართველოზე“, რომელშიც „სასონარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორიც ილიას „ბედნიერ ერსა“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“. მისი აზრით, „ფიქრების“ არსს რომ ჩავწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა. ნიკოლო მინიშვილის წინააღმდეგ გამართულ პაექრობას

გრიგოლ რობაქიძეც შეუერთდა წერილით „საქართველოს ხერხემალი“. ადრე იგი წუხდა, რომ ქართველები ვერ გრძნობდნენ საქართველოს როგორც ერთ დიდ მთელს. შემდეგ შეეცადა, თავისი შემოქმედებით დახმარებოდა საქართველოს „თავისი თავის მონახვაში“. აკაკი ბაქრაძის აზრით, ქართველთა მსოფლხატის მოძებნა გრიგოლ რობაქიძემ ორი გზით წარმართა: 1. შექმნა გრაალის ახალი ლეგენდა და 2. ჩამოაყალიბა კარდუს კულტი. იგი ვრცლად მიმოიხილავს გრაალის თემას ევროპულ კულტურაში, იხსენებს გრაალზე შექმნილ ლეგენდებსა თუ ლიტერატურას და დაასკვნის, რომ რობაქიძემ რომანში „მცველნი გრაალისა“ შექმნა ამ ლეგენდის სულსხვა ვარიანტი. მისეულ გრაალის თასში აყვავებული ვაზის ჯვრის წვენია (ე. ი. განახლებული რწმენა) და მას იცავენ ხელოვანნი, ძველი ტრადიციით კი მცველნი იყვნენ ანგელოსები ან რაინდები. გრაალის მცველთა ცვლილებას ის ამგვარად ხსნის: „როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის გადასარჩენად აუცილებელია სულის მოვლა-პატრონობა“. მისი აზრით, რომანის ორი პერსონაჟი (ლევან ორბელი და ველსკი) ორი იდეის – გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევის – პერსონიფიკაციები არიან. ამ ორი პერსონაჟის შეხედულებათა დაპირისპირება პრაქტიკულადაც გამოიხატა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით: „გრაალისთვის ბრძოლაში ლევან ორბელი და მისი ამხანაგები იმარჯვებენ. ველსკი და მისი ბოლშევიკ-კომუნისტები მარცხდებიან. „გრაალის მცველნის“ ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ძნელი არ არის. ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა-იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს, შინაური იქნება იგი თუ გარეშე“. აკაკი ბაქრაძის დაკვირვებით, „გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა. ერთი მხრივ, ამას უდასტურებდა წმინდა ნინოს ჯვარი და, მეორე მხრივ, თეთრი გიორგის კულტი“.

აკაკი ბაქრაძე ევროპაში გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით დიდ დაინტერესებას, უპირველესად, „ნამდვილი ვაჟურის, ნამდვილი ქალურის მონატრებით“ ხსნის. 1931 წელს რობაქიძე სწერდა მიხეილ ჯავახიშვილს: „აქ დიდი კრიზისია. მდგომარეობა თანდათან უარესდება. განსაკუთრებით ლიტერატურულ ფონზე. ჯერ ერთი: ამერიკანიზმი სპობს ნამდვილ ლიტერატურას. პაუზა არ არის, რომ გულდასმით რაიმე იგზნო. გამეფდა მსუბუქი ლიტერატურა. დაძინების წინ წასაკითხი ანდა მოდუნებული სქესის გამაღიზიანებელი. კრიტიკა თანდათან ჰქრება, რჩება მხოლოდ რეკლამა... ნურავინ იფიქრებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა (ამჟამად) მწერლისათვის მაინცა და მაინც სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი თბილი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მიწას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი. ჩვენში წიაღი უშრეტია“.

აკაკი ბაქრაძე ვრცლად წარმოაჩენს ნიცშეს გავლენას გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით გამოკვეთს დიონისეს ფენომენსა და მარადიული დაბრუნების იდეას. ამ უკანასკნელმა გარკვეული ცვლილება განიცადა და „გველის პერანგში“ ამგვარად გამოვლინდა: „არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავისთავისკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავისთავისკენ“. მისი აზრით, მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძისთვის იმედის წყარო იყო, რომ დაბრუნდებოდა „რაინდული, ნამდვილი ვაჟური და ნამდვილი ქალური“. იმავდროულად, ავტორს აფიქრებს მწერლის შემოქმედებაში მძლავრად შემოჭრილი მაიას მოტივი, რაც ვედურ მითოლოგიაში ფერისცვალებას, მეტამორფოზას, ილუზიას, მოჩვენებას გულისხმობს. ეს მწერლის დაეჭვებულობას ხომ არ ამხელს? – კითხულობს იგი და დასძენს: „დამიჯერებთ თუ არა, მაინც უნდა ვთქვა – ჰო, ასე უნდოდა. მარადიული დაბრუნების იდეა და მაია, რწმენა და ეჭვი, ერთი და იმავე მედლის ორი სხვადასხვა მხარეა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ორივე არსებობს“.

აკაკი ბაქრაძის უამრავ საინტერესო დაკვირ-

ვებათაგან ყურადღებას იქცევს „სხვაი ჩემის“ ინტერპრეტაცია. მისი აზრით, „სხვაი ჩემი“ გულისხმობდა სამყაროს ადამ-კადმონისეულ აღქმას. ადამ-კადმონში ერთად იყო „მეც“ და „სხვაი ჩემიც“. რობაქიძე ფიქრობდა, რომ ადამ-კადმონისეულ მთლიანობასა და განუყოფლობას შეეძლო კაცობრიობის კრიზისის დაძლევა. გრიგოლ რობაქიძის პოეზიის ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია სიახლეზე, უნივერსალურობაზე, პლასტიკურობაზე, გზნებაზე, რიტმსა და აღნაგობაზე. მკვლევრის აზრით, გრიგოლ რობაქიძემ არა მხოლოდ კლასიკური სონეტი დაამკვიდრა, არამედ თემატიკურადაც გაამდიდრა ქართული პოეზია.

ნიგნში გრიგოლ რობაქიძის პიროვნებასთან ერთად შთამბეჭდავად იხატება ეპოქა, როდესაც „კალმითა და სიტყვით ისეთივე სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა, როგორც თოფ-იარაღით“. იგი ვრცლად წარმოაჩენს რობაქიძის ჟურნალისტურ მოღვაწეობას გაზეთ „საქართველოსა“ და „კავკაზში“, რომლებშიც ის გივი გოლენდისა და გრიგოლ რობაქიძე-კავკასიელის ფსევდონიმებით ბეჭდავდა წერილებს საერთო სათაურით „ომი და კულტურა“. გრიგოლ რობაქიძემ კავკასიელ მკითხველს გააცნო ევროპელ ფილოსოფოსთა და მწერალთა შეხედულებები ამ პრობლემაზე: „კალმოსანი ადამიანების ეს სჯა-ლაპარაკი, ანალიზი და დასკვნები გონებას აფხიზლებდა, ტვინს ჩარხავდა, თორემ ომის დინებაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენდა“.

აკაკი ბაქრაძე წარმოაჩენს, თუ როგორ ცხოვრობდა მწერალი საქართველოში ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროს (1921-1931 წწ.), რას წერდა, რას საქმიანობდა, რას თმობდა (მაგალითად, „ბაქო და ჰაიასტანი“) და რას – არა. ხატავს მაშინდელი ყოფის შავბნელ სურათებს და დაასკვნის: „ერთადერთი შვება უცხოეთში წასვლაა ცოტა ხნით“. მას, უპირველესად, ქართული კულტურის გაცნობა სურდა ევროპელი მკითხველისთვის. ჯერ რომენ როლანს გაუგზავნა ორი პიესა, „მალმტრემი“ და „ლონდა“, მალე თვითონაც გაემგზავრა გერმანიაში და,

მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, შეძლო და გერმანულ ენაზე გამოსცა „გველის პერანგი“ შტეფან ცვაიგის წინათქმით. ამან საქართველოში დიდი ხმაური გამოიწვია. რობაქიძე ბურჟუაზიულ მწერლად გამოაცხადეს, მალე ფაშისტადაც მონათლეს. კომუნისტურმა პარტიამ ისიც შეძლო, რომ გრიგოლ რობაქიძის მეგობრებს მის წინააღმდეგ საშინელი ცილისწამებით გამოსვლა აიძულა. აკაკი ბაქრაძე აქ ხედავს ქართული მწერლობის ტრაგიკულ მდგომარეობას, უმწეობას და ასკვნის, რომ ეს იყო „ველური ძალდატანების შედეგი“ და რომ ეს „დასმენის ტექნოლოგია“ აღწერილია „ჩაკლულ სულში“. იგი სიღრმისეულად აანალიზებს სოციალიზმის თეორიიდან წარმოშობილ „სამ ურჩხულს“: რუსულ ბოლშევიზმს, იტალიურ ფაშიზმსა და გერმანულ ნაციაზმს“. იგი წუხს, რომ ქართველთა აზროვნება ჯერ კიდევ „კომუნისტური თარგების“ ტყვეა. ეს იმიტომ, რომ „სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დანგრევა გონების განთავისუფლებას არ ნიშნავს“. ამიტომაც არის, რომ ფაშიზმის ხსენებაზე ვკანკალებთ, ბოლშევიზმს კი ლმობიერად ვხვდებით.

აკაკი ბაქრაძის აზრით, რობაქიძის „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ (30-იან წლებში დაწერილი ორი ბროშურა) მწერლის „ცდუნება“ იყო. არსებითი და საგულისხმო ის გახლდათ, რომ „მან იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი, ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ვერ მოახერხა, ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციაზმს: „ლენინშიც, სტალინშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინშიც მას იპყრობდა პიროვნება უშუალოდ, მის შუაგულში აღებული“, რომ მისთვის ისინი უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მეოცე საუკუნის რეალური ადამიანები“. მწერალს აინტერესებდა მხოლოდ პიროვნებანი და არა ნაციაზმი ან ფაშიზმი როგორც იდეოლოგიები.

ნიგნში მკითხველისთვის უცნობი მრავალი საინტერესო ფაქტია მოხმობილი, რომელთა მიხედვითაც სულ სხვანაირად იხსნება მწერლის ცხოვრებასა თუ შემოქმედებასთან დაკავში-

რებული მოვლენები. ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძეს თავიდანვე ჰქონდა „საიდუმლო განზრახვა გერმანიაში გაპარვისა“ და მისი იქ დარჩენა არ იყო შემთხვევითი. საბოლოოდ გაირკვა საკამათოდ ქცეული მისი დაბადების თარიღიც. გერმანელი მწერლის ჰანს ჰასო ფონ ველოტჰაიმისადმი მიწერილ ბარათში გრიგოლ რობაქიძე იხსენებს თავის შეცდომას, რომელიც მან, როგორც თვითონ აღნიშნავს, პატივმოყვარეობის გამო ჩაიდინა, სამი წლით „გაიახალგაზრდავა“ თავი: „ასე დაუფიქრებლად დავიკმაყოფილე ჩემი თვითმოტყუება. დღეს ვხედავ, პატივმოყვარეობის დემონს როგორ ადვილად გავეგე ფეხქვეშ. ეს იმდენად მღრღნის, რომ სიმშვიდეს ვერ ვპოულობ“. საოცარი კი ისაა, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ მართლაც უბოროტო შეცდომას დიდ ცოდვად მიიჩნევდა. ეს კარგად წარმოაჩენს ამ პიროვნების სულის სიმაღლესა და გულწრფელობას.

აკაკი ბაქრაძე თვალს გაადევნებს გრიგოლ რობაქიძის მთელ ცხოვრებას – დაბადებიდან სიკვდილამდე. ირკვევა, რომ ტარტუს უნივერსიტეტის მიტოვების მიზეზი იყო არა გრიგოლ რობაქიძის გარიცხვა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, როგორც მანამდე გვეგონა, არამედ სულ სხვა რამ. ამ მიზეზს აკაკი ბაქრაძე 1902 წლის 16 იანვარს ეკატერინე გაბაშვილისთვის მიწერილ ბარათში პოულობს, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე მას ურჩევს, ვაჟიშვილი სასწავლებლად რუსეთში კი არა, უცხოეთში გაგზავნოს, რადგან „აქ, რუსეთში, მომავალი წლიდან დიდი სისხლისღვრა იქნება. ეს ნამდვილი წყაროებიდან გავიგე. ესეც არ იყოს, იმისთანა ნიჭიერი ყმანვილისთვის, როგორც რეზიკოა, რუსეთი მხოლოდ ჯოჯოხეთი იქნება“. ასე რომ, ტარტუდან ნასვლას ავტორი უფრო გრიგოლ რობაქიძის სულიერი განწყობილებით ხსნის. ნიგნში საინტერესო და თანაც აქამდე უცნობ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით წარმოჩენილია გერმანიაში გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება, რომელიც არცთუ ისე დალხენილი იყო. მწერლის ოჯახი ხშირად განიცდიდა ნივთიერ გაჭირვებას.

თავში, რომელსაც „მოდის გილიოტინა“ ეწოდება, საუბარია XX საუკუნის ათიანი წლების ქართულ საზოგადოებაზე, რომელსაც შეეძლო, ჯერ ხოტბა-დიდება შეესხა პიროვნებისთვის და მერე ზურგი შეექცია, დაევიწყებინა. აკაკი ბაქრაძე საზოგადოების ამგვარ ქცევაში დღევანდელობის სენსაც ხედავს და თითქმის უიმედოდ ჩივის: „რა გვჭირს ისეთი, რომ ჩვენს თვისებაში არაფერი შეიცვალა? რატომ დარჩა ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილას გაყინული? მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობის ისტორიაში ძირეული ცვლილება მოხდა. რა არ გადაიტანა მსოფლიომ და რა დასკვნა არ გააკეთა, მაგრამ ყველაფერმა ამან ჩვენს გვერდით ისე გაიარა, რომ არც კი შეგვიმჩნევია, თორემ სწავლა-გაგებას ვილა ჩივის“. დავით კლდიაშვილი ფიქრობდა, რომ ქართული საზოგადოება არ დაივიწყებდა გრიგოლ რობაქიძეს, რადგან მან გადაგვარების პირას მისულ ერს გააგებინა, ვინ იყო, საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა. მიუხედავად ამისა, „მადლიერმა“ ქართველობამ მაინც კარგა ხნით მიივიწყა თავისი მხსნელი და მშველელი. როცა აკაკი ბაქრაძე აღწერს, როგორ უჭირდა სიცოცხლის ბოლო წლებში თითქმის უპატრონოდ მიტოვებულ მწერალს, გულმოკლული აღნიშნავს: „ადამიანი ყველგან ადამიანია. სულერთია, სად ცხოვრობს იგი – შვეიცარიაში, გერმანიაში, საქართველოში თუ სხვაგან. აქაოდა, „ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ ავტორის თანაგრძნობა არ დამაბრალონო, ყველა სოროში შეძვრა და დაიმალა, ევროპელიც და ემიგრანტიც“.

გრიგოლ რობაქიძე კოტე მაყაშვილისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავს: „შესაძლოა, საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უსათუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო (ლექსში, პროზაში, პრობლემების წამოყენებაში)... „საქართველოში მეტად ძნელია ნოვატორობა... შესაძლოა, აქ ჩვენი სიპატარავე და სიცოტავე იყოს მიზეზი. პატარა ერში ძნელია დათრობა შთაგონებით. აქ კიდუ-

რის გადალახვა მაინცა და მაინც მიმზიდველი არ არის, რადგან კიდური ახლოა“.

აკაკი ბაქრაძემ თეატრში გრიგოლ რობაქიძის მოსვლა გარდატეხის ტოლფასად მიიჩნია. მისი მისტერია-დრამები, რომლებიც კოტე მარჯანიშვილმა დადგა, იყო ძველი თეატრისგან ახლის დაბადების ნიშანი. იგი „მაგიურ შემოქმედებას“ („ლონდას“, „მალშტრემსა“ და „ლამარას“) ანალიზებს და მისთვის ჩვეული გამჭრიახობით გამოარჩევს მთავარსა და არსებითს. აკაკი ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს თეატრალური ხელოვნების გრიგოლ რობაქიძისეულ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, მთავარია ამბის ესთეტიკური განცდა, რაც გულისხმობს სულიერსა და ხორციელ შვებას, წვას, საგნის სიყვარულს. ავტორი გამოკვეთს, როგორ წარმოჩნდებოდა გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ ტექსტებში მისი თეორიული შეხედულებები თუ ეპოქის რიტმები.

მკითხველის თვალწინ ცოცხლდება მწერლის ცხოვრება შვეიცარიაში, საზოგადოებისგან მისი იზოლაცია, რაც, აკაკი ბაქრაძის აზრით, უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ მისი შემოქმედება იყო „მინისა და სისხლის ლიტერატურა“. ასეთი მწერლობა კი ევროპაში აღარ აინტერესებდათ. იგი ყურადღებას ამახვილებს რობაქიძის წერილებში („მზის ხანა ქართველთა“, „საკრალური წყობა“, „სულის დაშლა“ და სხვა) განხილულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღესაც აქტუალურია და ხშირად, როგორც ილია იტყოდა, ტკივილიან თვალის ახელას ემსგავსება.

ნიგნი მთავრდება 82 წლის გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებაში შემოჭრილი სიყვარულის ამბით. „მისი ჭეშმარიტი მე, მისი მშვინვიერი და სულიერი მე იყო სასწაულებრივი“, – ასე დაწერა მწერლის უკანასკნელმა მიჯნურმა გრაფინია გიტა ფონ შტრახვიცკიმ. აკაკი ბაქრაძის ნიგნში მკითხველსაც სწორედ ამ „სასწაულებრივ მესთან“ შეხვედრა ელის.



ტარიელ ფუცკარაძე

სახელმწიფო ენა, დედაენა, კილო, კილოქაპი

(უმწერლებო ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი და ე. წ. ქართიზაცია/
ქართველიზაციის მცდარი თეორიის კრიტიკული ანალიზი)

მოცემული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ურთიერთობების (სახელისუფლებო სტრუქტურების, მეცნიერებისა და კულტურის) ენას **სახელმწიფო ენას** უწოდებენ. როგორც წესი, სახელმწიფო ენად მკვიდრდება ამ სახელმწიფოს დამფუძნებელი ეთნოსის დედაენა; ევროსაბჭოს სამართლებრივი ბაზის მიხედვით უფლებრივად ერთმანეთისგან განსხვავდება სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობისა და მიგრანტი (ამ სახელმწიფოში გვიან დამკვიდრებული) უმცირესობის ენები¹.

არაიშვიათად, სახელმწიფო ენის სინონიმად დასტურდება ტერმინი **ეროვნული ენა**; **ეროვნული ენა** ამ მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი ტერმინ **ერს** მოვიაზრებთ მოცემული ქვეყნის მოქალაქეების აღსანიშნავად; როცა **ერი** ერთ ეთნოსს გულისხმობს, მაშინ **ეროვნული ენა** ერთი ნაციის, ერთი მოდემის ხალხის ენას აღნიშნავს; ასეთ შემთხვევაში **ეროვნული ენის** სინონიმად **დედაენა** უფრო გამოდგება (**დედაენასა** და **ეროვნულ ენას** სინონიმებად მიიჩნევს ცნობილი ენათმეცნიერი გურამ რამიშვილი).

როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს (ფრანგებს, ქართველებს, სომხებს...), ერთ სახელმწიფოს – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ენა, შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს რამდენიმე ოფიციალური ენაც შეიძლება ჰქონდეთ (შვეიცარიელებს, კანადელებს...), ხოლო ერთი ენა რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო ენა შეიძლება იყოს (ესპანური სახელმწიფო ენა ესპანეთშიცა და სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანაშიც).

ცივილიზებული საზოგადოების **კულტურის ენა** (ღვთისმსახურების, მეცნიერების, მწერლობის, თვითშემოქმედების) და სახელმწიფო ენა, როგორც წესი, არის ტრადიციული დამწერლობის მქონე ენა. **კულტურის ან სახელმწიფო ენა** მოცემული ხალხისთვის შეიძლება იყოს: **საკუთარი ენა – დედაენა, სხვისი ენა – უცხო ენა** (მაგ., უკვე რამდენიმე ათეული წელია, აფხაზების კულტურის ენაა თავსმოხვეული რუსული ენა). ბუნებაში ორი დედაენა არ არსებობს, თუმცა, ხშირად გვერდიგვერდ ფუნქციონირებს დედაენა, როგორც ეროვნული ენა და მშობლიური კილო, როგორც კუთხური მეტყველება. ასეთი თანაარსებობა **დიგლოსიად** იწოდება.

¹ ავტოქთონი უმცირესობის ენებისთვის შექმნილია „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების მიხედვით“; ყველა სახის უმცირესობებისთვის კი – „ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“.

ტერმინი „დიგლოსია“ პირველად გამოიყენა ჩ. ფერგიუსონმა; როგორც წესი, დიგლოსიის შესახებ მაშინ საუბრობენ, თუკი მოცემულ საზოგადოებაში გამოყენებულია ორი მონათესავე სამეტყველო კოდი; ამათგან ერთი პრესტიჟულია (როგორც წესი, სტანდარტული ენა), ხოლო მეორე (როგორც წესი, დიალექტი) – არაპრესტიჟულია.

არაპრესტიჟული მეტყველების ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს დამოუკიდებელი ენაც; შესაბამისად, არსებობს ერთენოვანი (ენა, კილო) და ორენოვანი დიგლოსია. ერთენოვანი დიგლოსიის ნიმუშია, მაგ., ქართული სამნიგნობრო ენისა და მეგრული კილოს, ან ქართული სამნიგნობრო ენისა და კახური კილოს თანაარსებობა¹.

სახელმწიფო ენისგან განსხვავებული ცნებაა: დედაენა (Muttersprache; Mother tongue, Native language). როგორც წესი, დედაენა არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს (მაგრამ, თუ მაგ., რომელიმე აფრიკელი დაიბადა საფრანგეთში და ის თავის დედაენად ფრანგულს თვლის, ბუნებრივია, მის დედაენად ფრანგული მიიჩნევა). დედაენა მთავარი ენაა და არა მაინცდამაინც მხოლოდ ბიოლოგიური დედის ენა.

შდრ.: დედაენა პიროვნების სახეა, სახელმწიფო ენა კი ქვეყნის ღირსების საზომი.

დედაენას შეიძლება ჰქონდეს დიალექტები – ამ ენის ქვესისტემები, რომლებიც, როგორც ზეპირი ვარიანტები, ფუნქციონირებენ მოცემული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ან რომელიმე სოციალურ წრეში. მოცემული უმწერლობო სამეტყველო ერთეული ჩაითვლება მონათესავე სტრუქტურის მქონე სამნიგნობრო ენის დიალექტად, თუკი უმწერლობო სამეტყველო ერთეულის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონანილეობა მიღებული აქვს ამ სამნიგნობრო ენის შექმნაში.

შდრ.: დიალექტი – მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს.

შდრ.: დიალექტი – მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს.

სხვა სიტყვებით: კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამნიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონანილეობა მიღებული აქვს მოცემული სამნიგნობრო ენის შექმნაში.

შემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნება, ენისა და დიალექტის განმარტებები ასე ჩამოვაცალიბოთ:

ენა – ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც არის სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის (ინფორმაციის გაცვლის), ცოდნის შენახვის საშუალება და კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი;

შდრ.: დიალექტი – მოცემული ენის ერთ-ერთი განშტოება (ქვესისტემა) – მოცემული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) დედაენის ზეპირი

შდრ.: დიალექტი – მოცემული ენის ერთ-ერთი განშტოება (ქვესისტემა) – მოცემული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) დედაენის ზეპირი

¹ შდრ.: ზოგი მეცნიერი (მ. ქურდიანი, თ. ბოლქვაძე...) „დიგლოსიად“ თვლის მხოლოდ ორი ენის პარალელურად გამოყენებას: „დიგლოსია ისეთი სტაბილური ენობრივი სიტუაციაა, რომელშიც თანაარსებობენ მონათესავე ენები და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციით, პრესტიჟით, სალიტერატურო მემკვიდრეობით, სტანდარტიზაციითა და სხვა მახასიათებლებით. ქართულის, მეგრულისა და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ“ (თ. ბოლქვაძე, 2011, გვ. 294); იხ., ასევე, მ. ქურდიანი 1999: „სვანეთსა და სამეგრელოში ისტორიულად დამკვიდრებულია ორენოვნება: სვანურ-ქართული და მეგრულ-ქართული“; ეს „ორენოვნობა“ იქვე ბილინგვურ დიგლოსიადაა მიჩნეული.

სახესხვაობა, რომელიც არის შედარებით მცირე ტერიტორიაზე განფენილი ამ საზოგადოების ნაწილის, ან ამ საზოგადოების რომელიმე სოციალური ფენის მეტყველება.

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების ისტორიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების სოციალური იერარქია თავისთავად რეგულირდება სამნიგნობრო ენასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალურია სქემა:

ერი – მისი სამნიგნობრო ენა – ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებანი.

როგორც წესი, ერს/ეთნოსს აქვს ენა, ხოლო ერის ნაწილს – დიალექტი/კილო; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოება თუკი თავს აღიქვამს დამოუკიდებელ ეთნოსად, მისი მეტყველება კვალიფიცირდება ენად, ხოლო თუკი მოცემული საზოგადოება თავს თვლის ერის ნაწილად, მისი მეტყველება დიალექტია. ყველა თანამედროვე, განვითარებულ ერს თავისი დედაენის მიხედვით აქვს სამნიგნობრო კულტურა; შესაბამისად, იოლია გაიჩნეს **სამნიგნობრო ენა და დიალექტი**. პრობლემურია მონათესავე **უმნიგნობრო ენისა და დიალექტის** გამიჯვნა; როგორც წესი, მათი გამიჯვნა შესაძლებელია სოციოლინგვისტური (პრესტიჟულობა, ფუნქციონირების შეზღუდულობა...) თუ კულტურულ-პოლიტიკური¹ (ექსტრალინგვისტური) კრიტერიუმებით.

არ არსებობს არც საკუთრივ ლინგვისტური (ბგერათშესატყვისობა, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური...) და **არც ლოგიკური** (გაგებინება) მყარი **კრიტერიუმი**², გაიმიჯნოს მოცემული სამნიგნობრო ენის მონათესავე უმნიგნობრო ენა და ამ სამნიგნობრო ენის დიალექტი. მაგ.,

დედამინაზე არსებული ენობრივი ერთეულები, როგორც წესი, ენებად და დიალექტებად კვალიფიცირებული არ არის **გაგებინების კრიტერიუმის** მიხედვით; თუმცა ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენობრივი ერთეულების სტატუსის განსაზღვრისას:

თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მნიგნობრობა, ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომძერწავი, გამაერთიანებელი კულტურულ-ენობრივი სისტემა; შესაბამისად, საერთო ეთნოკულტურული ერთობის ცოდნის არარსებობისა და მეტყველების გაგებინების დაბალი ხარისხის პირობებში, უმწერლობო მონათესავე კონტინუუმები ამ საზოგადოებების მიერ ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი.

წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოების ზეპირი (ხალხური) მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას **გაგებინების** კრიტერიუმს ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან, ლოგიკაში **გაგებინება** მეტად პირობითი ცნებაა და, რაც მთავარია, ამგვარი **ე. წ. ხალხური** (არაპროფესიონალური) მიდგომით იძულებულნი გავხდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე ენად დავშალოთ: **მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ისეთი დიალექტი, რომლის გაგება გაუჭირდება სხვა დიალექტის მფლობელს**; არათუ კილოებს შორის, არამედ კილოკავებს შორისაც კი ხშირად არა გვაქვს გაგებინება.

როგორც აღინიშნა, **გაგებინება** არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი (ვრცლად იხ.: ტ. ფუტ-

¹ მაგ., მოლდოვურ მეტყველებას რუმინელები რუმინული ენის დიალექტად მიიჩნევენ, რუსები კი – დამოუკიდებელ ენად; აზერბაიჯანულ ენას თურქები თურქულ კილოდ მიიჩნევენ, სხვები კი – დამოუკიდებელ ენად... შდრ., ასევე, არაიშვიათად, რელიგიით განსხვავებული და ენობრივად ახლო მდგომი თემები დამოუკიდებელ ეთნოსებად მიიჩნევენ თავს, შესაბამისად, მათი მეტყველებებიც დამოუკიდებელ ენებადაა კვალიფიცირებული; მაგ.: ინდური (ინდუსთა მეტყველება) და პაკისტანური (მუსლიმან ინდოელთა მეტყველება); ბოსნიური (მუსლიმან სლავთა მეტყველება), სერბიული (მართლმადიდებელ სლავთა მეტყველება) და ხორვატიული (კათოლიკე სლავთა მეტყველება) მცირედით განსხვავებული ერთი ენის სახესხვაობებია; შდრ., იუგოსლავიის დაშლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ენა – **სერბულ-ხორვატული ენა**; დღესაც ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ სინამდვილეში არსებობს **ერთი ენა**, რომელსაც სამ სხვადასხვა სახელს არქმევენ რელიგიით განსხვავებული ზემოთ დასახელებული სამი თემის წარმომადგენლები.

² ზოგი შეცდომით თვლის, რომ გაგებინება ლინგვისტური კრიტერიუმი (ბოლო ამგვარი მსჯელობის შესახებ, იხ. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე... 2003, გვ. 615).

კარაძე; 2002, თ. გვანცელაძე, 2003). გარდა ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი (იხ., მაგ., ჰ. პაულის, ჰ. ჰირტის, ვ. ჟირმუნსკის, გ. ტ. შარბატოვის, ნ. ვ. იუშმანოვის, ვ. ა. ჟუკოვსკის და სხვათა გამოკვლევები), რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა „საშინაო მეტყველებანი“ საერთო-ეროვნული სამნიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება; მეტიც, არაიშვიათად, ადამიანები ვერ ფლობენ სამნიგნობრო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ზოგადეროვნული ენა მიიჩნევა. სანიმუშოდ მოვიყვანო ნ. ი. კონრადის დასკვნას:

„იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს“ (ნ. ი. კონრადი, 1960)... ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს სამნიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენა მისივე დიალექტია: საერთო-სამნიგნობრო ენის არმცოდნე იაპონელისთვისაც დედაენაა სალიტერატურო იაპონური.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს სხვა ენებისა და მათი კილოების მსგავსად, მომიჯნავე ქართველურ კილოებს შორის გაგებინების პრობლემა ნაკლებადაა; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის აბაშის რაიონში არსებული გარდამავალი ზონის მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის.

მომიჯნავე მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის გაგებინება რთულდება მთაგორიანი ლანდშაფტის პირობებში (სამეგრელო და სვანეთი, კახეთი და თუშეთი...): ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას; მდრ., თითქმის ყველა ენაში მკვეთრად განსხვავებულია არამომიჯნავე კილოებიც.

ენისა და კილოს გამიჯვნისთვის ლინგვისტურ ნიშანთაგან სანდო კრიტერიუმად ზოგს ენობრივ ერთეულებს შორის არსებული ბგერათმე-

სატყვისობა მიაჩნია. **ბგერათმესატყვისობის** არსებობა-არარსებობის მიხედვით, მსოფლიოში არსებული არც ერთი ენა თუ დიალექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათმესატყვისობა არ გვაქვს და პირიქით: კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურში...), მეტიც, მაგ., ჩრდილოკავკასიურ ენებში ბგერათმესატყვისობები დადასტურებულია თქმებშიც კი... **და რაც მთავარია:**

ბგერათმესატყვისობით დგინდება ენათა თუ დიალექტთა ნათესაობა, მაგრამ არა – მოცემული ენისა თუ კილოს სტატუსი.

ზოგი ფიქრობს, რომ ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ. ამ მეთოდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალურის არმცოდნე გლეხი თავის მშობლიურ დიალექტს თუკი გაიაზრებს დედაენად, იგი მისდაუნებურად გაემიჯნება საკუთარ უძველეს სამნიგნობრო კულტურას.

საკუთარი ეროვნული ისტორიის არცოდნის გამო, ზოგადქართულ სამნიგნობრო კულტურას თავისი ნებით ემიჯნება თურქეთში მცხოვრებ ლაზთა ერთი ნაწილი; მათ არ იციან, რომ:

– ქართული (ქართველური) სამნიგნობრო ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში არსებითი წვლილი სწორედ ლაზ-მეგრელებისაა;

– განსხვავებით გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა ენებისგან, ქართველთა **სამნიგნობრო ენა** საერთოქართველური ენის ბაზაზე შეიქმნა (და **არა რომელიმე** კილოს მიხედვით);

– მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე სხვა ქართველებთან ერთად საერთო ენაზე ქმნიდნენ სამნიგნობრო კულტურას...

საქართველოში მცხოვრები და განათლებული ლაზებისთვის ეს ისტორიული სიმართლე ცნობილია; შესაბამისად, განსხვავებულია მათი ენობრივ-ეროვნული თვითაღქმაც.

შდრ.: უცხოეთში მყოფ ზოგ ლაზს ეს სინამდვილე ე.წ. ქართული იმპერიული აზროვნების გამოვლინება ჰგონია. არაიშვიათად, ლაზთა ამგვარი განწყობა მართულია რომელიმე იმპერიის მესვეურთა მიერაც. ქართველურ კულტურასთან ლაზთა თვითგაიგივებას, თვითიდენტიფიკაციას ართულებს საერთო ქართველური ენის დივერგენციის ის მცდარი ქრონოლოგიებიც, რომლებიც აქამდე იყო დამკვიდრებული.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

ენიკურ-ეროვნული თვითაღქმის თვალსაზრისით, არსებითაა ცოდნა საკუთარი ფესვებისა; შდრ.: საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში მცხოვრები თანამედროვე მეგრულ-ლაზების მიერ კარგადაა გაცნობიერებული, რომ **მათი წინაპრების ღვანლის შედეგითაა ქართული/ქართველური სამნიგნობრო კულტურა**; თურქეთში/რუსეთში მცხოვრებთათვის კი უკვე გაუცხოებულია იოანე ლაზის, ჭყონდიდლების, ბაგრატიონების და სხვა მოღვაწეთა მიერ ნალოლიავეები სამნიგნობრო ენაც და კულტურული ტრადიციაც; მაგალითად, მათთვის უცნობია ეს ფაქტიც (ი. ყიფშიძე, 1917):

XII საუკუნის ერთიანი საქართველოს დიდი მეფე თამარი ლაზური ხალხური თქმულებების გამორჩეული გმირია, მსგავსად სვანური, მეგრული, ჰერული, ტაოური, აჭარული, ფშავ-ხევსურული, ქართლ-კახური თუ იმერხეული გადმოცემებისა; გარდა ამისა, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ლაზეთშიც თამარის სახელს უკავშირდება მრავალსაუკუნოვანი ხიდების, ციხესიმაგრეების, ტაძრების მშენებლობა და ა.შ. აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სოფელ მაკრიალის (ამჟამინდელი ხოფის რაიონის სოფელი ქემალფაშა) მკვიდრი მემედალი ვეზიროლი-ანჩაბაძის ცნობით, **ლაზები თამარ მეფეს ლაზად თვლიან**; მეტიც, მაკრიალელთა (ქემალფაშელთა) რწმენით, **თამარ მეფის საფლავი მაკრიალის ტაძარშია (თამარის სახე ერთ-ერთი**

არსებითი მახასიათებელია ქართველთა საერთო ისტორიული მეხსიერებისა, შესაბამისად, ქართველთა ეროვნული თვითაღქმისა).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზურ-მეგრულისა და ქართულის სხვადასხვაობის სამტკიცებლად იმონებენ ე. წ. **სისტემურ ფონემატურ-გრამატიკურ სხვაობას**.

სამნიგნობრო ქართულისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სხვა ქართველური ქვესისტემებიც (იმერულიც, ხევსურულიც, ფერეიდნულიც, ლაზურიც, ბალსზემოურიც...) და სხვა მონათესავე (აფხაზური, ჩეჩნური, დაღესტნური...) თუ არამონათესავე (რუსული, ჩინური...) ენებიც.

რომელი მყარი კრიტერიუმით ვავლებთ ზღვარს, მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის?

მეგრული ფონემატური სტრუქტურა იმერულის ანალოგიურია; სახელური პარადიგმაც ძირითადად იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სამნიგნობრო ენის ბრუნვათა სისტემას, არამედ ქართული ენის ხევსურული დიალექტისაც კი; ასევე, თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის მწკრივთა სისტემა და სხვ. გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ საკმარისია ისინი მეგრულისა და იმერულის **თვისობრივი სხვაობის** სამტკიცებლად?

შდრ.: ჩვენი აზრით, **სისტემური სხვაობაა**, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არაბულს შორის, და არა სამნიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის. აქვე დაისმება კითხვა: **არსებობს თუ არა ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა (სისტემურ სხვაობათა!) ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში?**

ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელია:

დაკვირვება ცხადყოფს, რომ **სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავად მერყეობს**; შესაბამისად, მონათესავე უმწერლებო ენისა თუ კილოს სტატუსი ვერ დგინდება ე. წ. საკუთრივ ლინგვისტური მონაცემებით. დღეს მსოფლიოში არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსა-

ზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით (იხ. ქვემოთ).

ენის განმარტების არცერთი ვარიანტიც არ იძლევა საშუალებას, გავმიჯნოთ ენა და კილო; შდრ., მაგ.:

ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბგერით ნიშანთა – ენობრივ ნიშანთა – ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვისა და კომუნიკაციის საშუალებას.

შდრ.: ცალკე აღებული დიალექტიც (როგორც მოცემული ენის ქვესისტემა/მიკროსისტემა) ბგერით ნიშანთა ბუნებრივად მონესრიგებული სისტემაა; დიალექტიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს. ბევრი ქვეყნის (იაპონიის, ჩინეთის, ესპანეთის, საქართველოს, არაბეთის...) ზოგ რაიონში ძირითადად დიალექტით ხდება არაოფიციალური კომუნიკაცია.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოში მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდში იყო მიზანმიმართული მცდელობა, მეგრულისთვის, ლაზურისა და სვანურისთვის დაემკვიდრებინათ დამოუკიდებელი ენების სტატუსი; კერძოდ, მათ მოიხსენიებდნენ როგორც: უმწერლობო ენებს, ტომობრივ ენებს, არასამწერლობო ენებს... **ამგვარი კვალიფიკაციის მიზანი იყო ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება.**

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობას იმთავითვე გაეცა პასუხი ჯერ

ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლებისგან (გრიგოლ დადიანი, ივანე მარგიანი, წმინდა ამბროსი ხელაია...), შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილისგან (და მისი თანამოაზრეებისგან (ს. ხუნდაძე, თ. სახოკია, კ. გამსახურდია...); კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა 1937 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში: „**ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა**“ (თბ., 1992, 53-54) ამხილა ნ. მარი, რომელიც 1912 წლამდე ამტკიცებდა, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ქართული ენის დიალექტებიაო, 1912 წლის შემდეგ კი, როცა გახდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შეცვალა შეხედულება და ისინი დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადა.

ფაქტია: ქართველური ენობრივი სამყაროს იდეოლოგიზების თემა აქტუალური იყო ჯერ კიდევ 100 წლის წინ.

საბჭოთა იმპერიის პირობებში გაბატონდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც, უძველესი პერიოდიდან (ძვ. წ. III-II ათასწლეულებიდან) თითქოსდა არსებობდა სამ მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი და სვანი; ამათგან ქართველების/ქართველის ენის ბაზაზე შეიქმნა სალიტერატურო ენა, რომელიც, მოგვიანებით, მეგრულ-ლაზთა და სვანთა კულტურის ენადაც იქცა – ქართველის ტომის ენა გაბატონდა სხვა ტომების ენებზე; **შესაბამისად, მოხდა ქართველისგან სხვა ტომების გაქართვება/გაქართველება.**

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ასეთ იდეოლოგიზებულ და დაუსაბუთებელ თეორიას ზოგი ახლაც იზიარებს¹. დღეს ე.წ. ქართიზაციის თეორია ორგვარი ინტერპრეტაციით გვხვდება:

¹ ქართველოლოგიაში ენისა და კილოს გამიჯვნის ისტორიის შესახებ იხ., თ.გვანცელაძე, 2006, სადაც წარმოდგენილია ლოგიკური მსჯელობა და შესაბამისი დასკვნები; შდრ.: **პოსტსაბჭოთა პერიოდშიც** ზოგი ამტკიცებს, რომ მეგრული, ლაზური, სვანური უმნივნობრო ენებია; მაგ., ნერილში: „რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლებო და არასამწერლებო ქართველური ენების შესახებ“ (იხ. კრებული: „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“; თბ., 2007) **ნ. დობოჯგინიძე** ბერძნული წყაროს **მცდარი იკითხვისის** საფუძველზე მრავალსაუკუნოვან არასამწერლობო ენებად აცხადებს კოლხურსა და სვანურს; იხ., აგრეთვე, თ. ბოლქვაძის წერილი: „ქართველური დიგლოსია“, რომელშიც მრავალსაუკუნოვან უმწერლობო ენებად მიჩნეულია: მეგრული, ლაზური და სვანური. არც დასახელებულ ავტორებთან და არც მათ წინამორბედებთან არ ჩანს, თუ რომელი კრიტერიუმის მიხედვით არის, მაგ., სვანური მეტყველება მრავალსაუკუნოვანი „დამოუკიდებელი ენა“ (როგორც, ქართული ენა)... ამის მიუხედავად, ზოგი არქეოლოგი არქეოლოგიური მასალის ეთნოკვალიფიკაციისას მაინც იღებს საფუძვლად ე. წ. სამი ქართველური ენის თეორიას და საეჭვო ღირებულების ეთნოლინგვისტურ რუკას ადგენს (იხ., მაგ., თ. ჯაფარიძე, 2006, გვ. 366, 353: „ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში – სვანი, კოლხეთის ბარში – ზანი, აღმოსავლეთ საქართველოში – ქართველი“). ვფიქრობთ, ძველ წყაროში მოხსენიებული სვანების კუთხური მეტყველება დიალექტად უფრო უნდა გავიაზროთ, ვინაიდან უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე სვანეთის ქართველობაც მონაწილეობდა ერთიანი ქართული ეროვნული პროდუქტის – ქართული სამწიგნობრო ენის – შექმნაში.

1. იძულებითი ქართიზაცია: ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ – ქართველებმა – თავიანთი ენა და კულტურა ძალით მოახვია თავს დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს „კონცეფცია“ მომდინარეობს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქეროპე პეტროსის ძე პატკანიანისგან (პატკანოვისგან). აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობის აღსანიშნავად საბჭოთა პერიოდში დაამკვიდრეს ეთნონიმი **ქართი** („ქართვეს“ ზოგი ავტოქთონად თვლის, ზოგი – მოსულად); პარალელურად გაჩნდა საოცარი ფრაზაც: **ქართი – ტომიყლაპია:** „ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია:** იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ქართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“ (ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 237). ე. წ. ქართველთაგან სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაციის დაუსაბუთებელ მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში „ქართიზაციის“, „გაქართვების“, „ქართველიზაციის“, ან „გაქართულების“ სახელით იხსენიებენ (იხ., მაგ., ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225, 353, 406-409; გ. მჭედლიძე, 1996, გვ. 111, 115, 370, 534 და სხვ.).

2. ნებაყოფლობითი ქართიზაცია: ზანური და სვანური „ენების“ მფლობელებმა თავიანთ სალიტერატურო ენად ნებაყოფლობით მიიღეს მოძმე „ქართველთა“ სალიტერატურო ენა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოვადგე-

ნთ ციტატას ა. ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან: „ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა – თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ **ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან** (ხაზგასმა ყველგან ჩემია – ტ.ფ.). ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“ (ა. ონიანი, 1998, გვ. 3-4; მსგავსი მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ. გორდეზიანი, 1993, გვ. 70).

საბჭოთა პერიოდში არავის დაუსვამს კითხვა:

რა კრიტერიუმის მიხედვით მიიჩნევა, რომ მაგ., 10, 5 თუ 1 საუკუნის წინ არსებული მეგრული მეტყველება უმწიგნობრო ენაა, ზანური ენის დიალექტი თუ ქართული ენის დიალექტი?

შდრ.: საბჭოთა პერიოდამდე ცნობილ ქართველ მეცნიერებს, საზოგადო თუ სასულიერო მოღვაწეებს არასოდეს გაუზიარებიათ მოსაზრება **ქართველთა რამდენიმე ენის არსებობის** შესახებ და არც ე.წ. **ქართიზაციის თეორია**, მაგრამ XX საუკუნის საბჭოთა იმპერიის (ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს) სამეცნიერო წრეებში ეს იყო ნამყვანი **სამეცნიერო თეორია**; მეტიც, ამ ვარაუდის (!) „სრულყოფის“ ცდად უნდა ჩაითვალოს:

– **ქართველთა და ქართლებების გაიგივება** (გ. მელიქიშვილი, 1973, გვ. 118, 125-127);

– ქართული ეკლესიისათვის **პროზელიტიზმის** დაბრალება (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33: „...ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“);

– **ქრისტიანობის გამოცხადება ქართიზაციის** პროცესის ხელისშემწყობად¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ე.წ. ქართიზაციის თეორია** პირველად გააკრიტიკა **მიტროპოლიტმა, პროფესორმა ანანია ჯაფარიძემ**, რომელმაც, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა:

„ნ. მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციისა“ ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის „ქართლის ცხოვრებას“, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ...“ (ა. ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა. ჯაფარიძე, 1998, გვ. 261-263; ა. ჯაფარიძე, 2003).

„ქართიზაციის“ თეორიის უსაფუძვლობას ცხადყოფს სხვა რამდენიმე არსებითი ფაქტი:

ტ. არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შე-

ეძლო სხვისი დაპყრობა (ტ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 325)? ანგარიშგასანევია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემების თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჯის, მარუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის, ჭყონდიდლების, ლევან დიდიანისა („იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“) და სხვათა ძალისხმევა.

ჟ. ქართველთა სამნიგნობრო ენა არ ეფუძნება ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ქართველურ კილოს, მათ შორის, არც ქართლ-კახურს. ქართველთა სამნიგნობო ენა დაეფუძნა ზოგადქართულ, საერთოქართველურ ენას; ის ყველა ქართველური თემის შემოქმედება და საკუთრებაა; შესაბამისად, არც ერთ ქართველურ ტომსა თუ თემს თავისი კუთხური ენა თუ კულტურა არ გაუვრცელებია სხვა ქართველურ ტომებსა თუ თემებზე. **აქვე დაისმება კითხვა:**

მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლებოდა (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურა, ან მოემსახურება XXI საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლაზე მსჯელობა? მით უმეტეს, სვანთა, მეგრელთა და ლაზთა ზეპირი მეტყველებების მიხედვით ახალი სამნიგნობრო ენების შექმნა?

პასუხი ერთია: ამგვარი „აქციებით“ დასახელებულ ქართველთა გაუუცხოვდებათ და, **ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართულ-ქართველური მნიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული**, თუნდაც ის თექვსმეტსაუკუნოვანი წარსული, რომელიც დიდწილად შექმნილი ეგრისში დაბადებული მნიგნობრების მიერ.

გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი ყველა ქართველური იდიომი (მეტყველება) მომდინარეობს საერთოქართველური ენიდან: უეჭველია, რომ მეგრულ-ლაზურიც, სვანურიც და სხვა ქა-

¹ შდრ., გ. მჭედლიძე, 1996, გვ. 368: „ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით **ეთნიკურ** (? – ტ. ფ.) ბარიერებს სპობდა“.

რთველური ზეპირი კილოები ძველი ქართული ენის მეორეული სახესხვაობები არიან და არა – დამოუკიდებელი ენები (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ).

ფაქტია ისიც, რომ საუკუნეების მანძილზე ეგრის-სვანეთშიცა და მესხეთშიც, კახეთ-ჰერეთშიცა და საქართველოს მთიანეთშიც წარმართული შელოცვები, ქრისტიანული მწერლობის ნიმუშები თუ მხატვრული ხასიათის ნაწარმოებები იქმნებოდა ქართულ სალიტერატურო ენაზე, რომელიც ყველა კუთხის ქართველის ისტორიული დედაენაა.

II. „ქართიზაციის“ თეორიას ეწინააღმდეგება ქართველთა ავტოქთონობის მტკიცების შესაძლებლობაც:

ანთროპოლოგიური მონაცემების გარდა, საქართველოში ქართველთა ავტოქთონობას ადასტურებს ქართველთა ისტორიული სამშობლოს ის აღწერილობაც, რომელსაც იძლევა საერთო-ქართველური ლექსიკა:

ენათმეცნიერებაში არსებობს წარმატებული მცდელობები, მონათესავე ენებისა თუ დიალექტების შეპირისპირებით აღდგეს ის ლექსიკა, რომელიც ახასიათებს მოცემული ხალხის ისტორიულ სამშობლოს; კერძოდ, წინარე ენის ლექსიკის მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ მოცემული ხალხის წინაპრების ცხოვრების პირობებზე, საცხოვრისის გეოგრაფიასა და ცხოვრების წესზე. ქართულ სინამდვილეში ამგვარი მცდელობა ჰქონდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის თავის პოლემიკური ხასიათის ნაშრომში: „აი, ისტორია“. წარმოდგენილ პრობლემას საგანგებო წერილი უძღვნა მ. ქურდიანმა; სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი საერთოქართველური ლექსიკის (ზღვა, ტბა, ღელე, წყალი... ხევი, კლდე, გორი, ტყე, ტევრი, წვიმა, თოვლი, გვალვა, ყინვა, ზვავი, თბილი... ძელი, ნაძვი, ნიფელი, ნაბლი... შველი, მაჩვი, ეშვი... შაშვი, კაკაბი, ჩხართვი, ძერა, მერცხალი, თოლია, ტრედი... ღორჯო, ჩხამი...) საფუძველზე იგი ასკვნის:

„საერთოქართველური ენის დიალექტებზე მეტყველი ტომები ცხოვრობდნენ, დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან მოყოლებული, სამხრეთით საკმაოდ ვრცლად განფენილ ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მოიცავდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიასაც. ჩრდილოეთი საზღვარი ქართველთა პირველსაცხოვრისისა იყო დიდი კავკასიონი, დასავლეთ საზღვარს კი შავი ზღვა წარმოადგენდა“.

შდრ.: საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა მოსვლის სამტკიცებლად თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თვლიან (გვ. 881), რომ სვანურში **სუბსტრატულია**¹ დამხვედური ჩრდილოკავკასიური ენობრივი მონაცემები.

სვანურ კილოებში მართლაც შთამბეჭდავია ჩერქეზული ენობრივი ფენა (იხ. ს.ჯანაშიას გამოკვლევები), მაგრამ უფრო ლოგიკური იქნება, ვილაპარაკოთ **სუპერსტრატზე**² და არა **სუბსტრატზე**; კერძოდ, მრავალი ფაქტი არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ სვანური მეტყველება არქაული ქართულის ის განშტოებაა, რომელსაც ინტენსიურად შემოერია მოძმე კავკასიელთა ენობრივი ელემენტები.

ქართველთა ენობრივი დანაწევრების მცდელობა პიკს აღწევს საბჭოთა იმპერიაში, კერძოდ, სტალინის ეპოქაში; მაგ., ი. სტალინის წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (თბ., 1951) ვკითხულობთ:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... **რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.**, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩვენია – ტ. ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

¹ სუბსტრატი – მოსული ეთნოსის მეტყველებაში შემონახული დამხვედური ასიმილირებული ეთნოსის ენის კვალი.

² სუპერსტრატი – დამხვედური მოსახლეობის ენაში შემონახული მოსული ასიმილირებული ეთნოსის მეტყველების კვალი.

ანტიქართული დეზინფორმაციული მანქანა დღესაც საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსად წარმოადგენს:

ცენტრალური კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს – საქართველოს – გეოპოლიტიკური ღირებულების მქონე სივრცის კონტროლის მოსურნეთ ხელს არ აძლევს ერთიანი და ძლიერი საქართველო; მაგ., ამავე დისკურსშია გასააზრებელი საქართველოს გარეთ და, ასევე, საქართველოს შიგნით (ზუგდიდში, ბათუმში, თბილისსა თუ ქუთაისში) არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფების „მოღვაწეობა“, რომლებიც საბჭოთა კვალიფიკაციის ინერციით მეგრულ-ლაზურსა და სვანურს „უმწერლებო ენებს“ უწოდებენ და მათთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ.

შენიშვნა: ტერმინი: „უმწერლებო ენა“ შეურაცხყოფელია სულ მცირე, 15-საუკუნოვანი სამნიგნობრო კულტურის მქონე ქართველების – იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვილელი იოვანე მინჩისა თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) მშობლიური კუთხეების მცხოვრებთა – საშინაო მეტყველებისთვის. მათი ისტორიული სამნიგნობრო დედაენა ქართულია, კუთხური კილო კი – ლაზურ-მეგრული თუ სვანური მეტყველების რომელიმე ვარიანტი: ხოფური, ვინურ-არქაული, ათინური... ბალსზემოური, ბასქვემოური, ლენტეხური, ლაშხური... შდრ.: უკლებლივ ყველა ენათმეცნიერის აზრით, მეგრულ-ლაზურიცა და სვანურიც ქართული სამნიგნობრო ენის სახესხვაობებია და არა ქართულისგან ისე არსებითად განსხვავებული ენები, როგორც, მაგ., აფხაზური, რუსული, სომხური, ინგლისური, ოსური და სხვ. შესაბა-

მისად, „რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ლაზურ-მეგრულ თუ სვანურ იდიომებს უმწერლობო სახესხვაობებად განვიხილავთ თუ ქართული ენის დიალექტებად, ვინაიდან, „ევროპული ქარტია“ არ განიხილავს სახელმწიფო ენის სახესხვაობებსა და დიალექტებს.

ეს ჯგუფები ცდილობენ, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დეზინტეგრაციას; მაგ., მათ მიერაა შექმნილი ქვემოთ წარმოდგენილი რუკა¹:



ამავე კონტექსტში აღვნიშნავ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში, თურქეთსა თუ საქართველოში ისევე გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ **მესხებიც და აჭარლებიც**; ასეთი კვალიფიკაცია წარმოდგენილია ზოგ ევროპულ ცნობილ ლექსიკონშიც კი (იხ., მაგ., ლარუსის 2005 წლის გამოცემა)².

ვფიქრობ, ის, ვინც ლაზთა, მეგრელთა, სვანთა, აჭარელთა თუ მესხთა საშინაო კილოებს

¹ <http://tinyurl.com/ct98ypr>

² ლარუსის ენციკლოპედიის შეცდომის სათავეა აჭარის ავტონომიის არსებობა: ჩანს, ფრანგმა ავტორებმა ვერ დაუშვეს, რომ საქართველოში ავტონომია აქვთ ქართველებს (მათ არ იციან რეალური ისტორია); აქ მოკლედ აღვნიშნავთ: რთულ გეოპოლიტიკურ ველში არსებული მცირეტერიტორიანი საქართველო სიცოცხლისუნარიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უნიტარული სახელმწიფო იქნება; ეს მომხდურდება იცის, ამიტომ საუკუნეების განმავლობაშიც და დღესაც, სეპარატიზმის სტიმულირებითა თუ (კონ)ფედერაციული წყობის თავსმოხვევით, ცდილობს, დაასუსტოს საქართველოს სახელმწიფოობრიობა. ამ ანტიქართული პოლიტიკის შედეგია ბოლშევიკების მიერ ისტორიულ ქართულ მინაწყალზე სამი ხელოვნური ავტონომიის შექმნა XX საუკუნის 20-იან წლებში; კერძოდ, მცირერიცხოვან აფხაზთა თუ ოსთათვის შექმნილი ავტონომიურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს მიუერთეს ავტოქთონი ქართველებით დასახლებული ტერიტორიები (სადაც დღეს უკვე ქართველთა გენოციდია განხორციელებული), ხოლო რუსეთ-თურქეთის გარიგების შედეგად, 1921 წელს გაუმართლებლად დანაწევრდა ბათუმის ოლქი (ერუშეთი, ტაო, შავშეთი-იმერხევი, ლივანა, ლაზეთის დიდი ნაწილი, მაჭახელი...); კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ ოლქის მცირე ნაწილში შეიქმნა აჭარის ავტონომია (საქართველოს შემადგენლობაში), დანარჩენი ნაწილი კი დარჩა თურქეთს. მთლიანი ბათუმის ოლქის მოსახლეობა ეთნიკური ქართველი იყო; ოსმალეთის დამკვიდრებამდე აქ მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობდნენ. ბოლო მონაცემებით, აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა წინაპართა რწმენას, ნაწილი მუსლიმანია; აჭარაში ხშირია ოჯახები, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსლიმანი აღმსარებლობის მქონე პირები; შესაბამისად, დღეს რელიგიითაც ვერ გავამართლებთ საქართველოში ქართველთა ავტონომიის არსებობას.

უმცირესობების ენებად აცხადებს, აგრძელებს კ. იანოვსკის, ი. ვოსტორგოვისა და ი. სტალინის მცდელობას, ამ ქართველებს დაუკარგოს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ქმნა-დობაში მონაწილეობის ისტორია და უკულტურო საზოგადოებებად – უმნიგნობრო ენების მქონე „მცირე ერებად“ გამოაცხადოს; შდრ.:

საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვის ცნობილია, მაგრამ ჩანს, ევროპასა თუ აზიაში ბევრმა ექსპერტმა არ იცის, რომ ისტორიული (თუ თანამედროვე) ქართული სამნიგნობრო კულტურის შემქმნელ პიროვნებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ: ლაზები, აჭარლები, მეგრელები, სვანები, ლივანელები, ტაოელები, შავშეთ-იმერხეველები და სხვ. ამ ე.წ. ექსპერტთათვის უცნობია ისიც, რომ არქაული ქართული სამნიგნობრო ენის სტრუქტურის მქონე ენაა ამოსავალი ყველა თანამედროვე ქართველური კილოსათვის; ყველა ქართველური ქვესისტემის ძირითადი ლინგვისტური მახასიათებელი საერთოა.

ბუნებრივია, ქართველთა ერთიანობისა და საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს მოსურ-

ნეა აჭარელთა, მესხთა, სვანთა თუ მეგრელთა აბსოლუტური უმრავლესობა და ლაზთა დიდი ნაწილი; ამას ცხადყოფს ჩემი თანაავტორებისა და კოლეგების: ზურაბ თანდილავას, ალექსი ჟორდანიას, დავით თედორაძის, ბიჭიკო დიასამიძის, ტარიელ ებრაღიძის, რევაზ შეროზიას, ეკა დადიანის, თამაზ ბერაძის, ბეჟან ხორავას, როზეტა გუჯეჯიანის, ზურაბ თორიას, დაზმირ ჯოჯუას, მაკა სალიას, ნანა გულუას, ლელა ავალიანის, ლელა მარგიანის, ლაშა გვასალიას, ქეთევან გურჩიანის, მანანა და ერეკლე საღლიანების, ფიქრი სარაჩის (თურქეთის მოქალაქე ლაზის) და მრავალ სხვათა არაერთი ნაშრომი თუ ნაწერი.

შენიშვნა: XVII-XVIII საუკუნეებიდან დღემდე სხვადასხვა რელიგიის ქართველთა ეთნიკურ არსს (იდენტობას) ძირითადად განსაზღვრავს **ქართული ენა**, როგორც ქართველთა დედაენა. ენობრივ-ეთნიკურ-კულტურული მეობა, როგორც საზოგადოების ცნობიერების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, არსებით გეოპოლიტიკურ სიმძლავრედ გვევლინება.

მალალი პოეზიური ესთეზიებით...

(საუბარი რეზო სტურუას პოეზიაზე)

გალაკტიონის ნაფეხურებზე
მარტი რომ მარტობს თავქარიანი,
ცოტა არ იყოს, უხერხულია,
ლექსს შეეჭიდოს ადამიანი –

– ამგვარი პასუხისმგებლობით გამოჩნდა ქართული ლექსის პარნასზე რეზო სტურუა. „მისი პოეტური გზნება... დიდხანს ელოდა თქმის დროს და მაშინ შეახსენა თავი, როდესაც მის არსებაში ველარ დაეცა და შინაგან „მესთან“ დიალოგი ველარ იკმარა“ (თემურ ჯაგოდნიშვილი). პოეტი თავადაც ბრძანებს, რომ მისი ლექსი ვერ დაესწრო ნუშის ყვავილობას, ვერც თიბათვის სურნელს... თუმცა „თოვლს შერჩენილი კუნელივით“ მაინც მოგვეახლა სულის გასათბობად.

დიახ, კუნელის გამონათებას მაგონებენ რეზო სტურუას ლექსები. თუ როგორ აცოცხლებს კუნელის გამონათება შემოდგომის მიმცხრალ მზეს, ეს თქვენაც მოგეხსენებათ და ამაზე სასაუბროდ თავს აღარ შეგანყენთ.

რეზო სტურუას, პოეტს, არ უყვარს ხმაურიანი დარბაზები. მისი ლექსი მეტწილად რაინდული სამყაროს მკვიდრია, აუმღვრეველი სამყაროს ჭუჭყთან; მათ ლაკონიზმსა და პირდაპირობაში ბადალი არ ჰყავთ. ბადალი არ ჰყავთ გრძნობათა სიფაქიზესა და პირველყოფილება-

შიც. შემთხვევითი არც ისაა, რომ პოეტი მოსაფერებლად თუ „საძმაკაცოდ“ გოდერძი ჩოხელს გამოიხმობს. გრძნობს, რომ მას უფალი გადასარჩენად ეწვია, რათა „თეთრ ხდოსავით ამღვრულ თერგამდე არ მიეღწია“.

რეზო სტურუას – ადამიანი-რაინდის სული სავსებით გამიჯნულია სერვანტესის გმირისაგან, მაგრამ მეტაფორული აზროვნების მწვერვალის დასაპყრობად ამხედრებულს, ოცნების რაინდთან თვალსაჩინო შეხების წერტილი აქვს. დასტურად, ლალად და დამაჯერებლად ჟღერს პოეტური ფრაზა – „დრო ჩემსავით დონკიხოტობს, ქარის წისქვილს ებრძვის დაშნით“.

პოეტის მალალადამიანური ფიქრების ანარეკლია ლექსი, რომელშიც კედელზე მოდებული სუროს დანიშნულებას ავლენს – „ფიქრობს, რომ კედელს იგი იკავებს“.

ვაჭიშვილთან პოეტის გულახდილი საუბარი წინაპართა დაფასების იშვიათი ნიმუშია – „რომ მაგრად მწამს და ხმამალა ვამბობ, რომ მამაჩემი ჯობდა მამაშენს“.

რეზო სტურუას პოეზიის ჭეშმარიტი მკითხველი იტოვებს შანსს, სულ სხვა სიმაღლიდან შეხედოს პოეტს, რომელმაც სიზმარეული ბურანიდან გამოიტანა ცეცხლნაკიდებული პოეტური ფრაზა –

„ფეხბურთის ბურთის მაგივრად
მზეს ვაგორებდით ბიჭები“.

არ უყვარს მყვირალა, თვალის მომჭრელი ფრაზები და ყალბი პათეტიკა. აკი თავადაც ბრძანებს – „ბალახს წვიმა ზრდის და არა ჭექა-ქუხილი“-ო.

რეზო სტურუას პოეტურ კრებულებში გვერდს ვერ ავუვლით მხატვრული ორნამენტიკით შემკულ საჩინო მეტაფორულ ეპითეტებს. ისინი უშუალოდ ავტორისეულია, რეზო სტურუასეულია. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს: „ყანის წვერზე შეისვენა მუზამ, რქანითელში აბანავებს ბრჭყალებს“; „საყდრის თავივით ღარიბი“ კაცი ხომ სატელიტივით აგვეკიდება და საამო ღიმილითაც გვასაჩუქრებს. მკითხველს საღალბო განწყობილებას უქმნის მოქნილი ფრაზა – „მონყენას მხარზე აჯდა ხალისი“.

მაღალი პოეტური ესთეტიზმის მაჩვენებელია პოეტური სამკაულებით დამშვენებული სხვა არაერთი სტრიქონი: „ალიონისკენ მოხუცი მთვარე აკრეფს ვარსკვლავებს და გათენდება“, „კოლხმა სული აუშვა და ზეცას მიწვდა „აპაულა“, მთვარე მოტაცების შიშით ნაბლის წვერზე განაბულა“.

უნდა ითქვას ისიც, რომ რეზო სტურუა, პროფესორი, ქართული ლექსის პალიტრაზე ტექნიკური მეცნიერების სფეროდან „შემოიჭრა“. ეს კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი პოეტური კრებულის სათაურშიც „n+1“. შემოიტანა ამგვარი ფორმულა და განსაზღვრა მისი თანმიმდევრულობა და უწყვეტობაც.

გამომდინარე ყოველივედან, არ არის რეზო სტურუას ლექსის სამყარო ერთფეროვანი. აქ არის პატრიოტული ლირიკაც, სამამულო სევდა, ქრისტესმიერი სიყვარულის თემა, ეგრეთწოდებული ცივილიზაციით განპირობებული მეტამორფოზა, ზოგადად ქართველი კაცისა...

ლექსთა კრებულები მთელი საქართველოს მომცველია. დაკვირვებას პოეტი ახდენს მისივე ბავშვობიდან დღემდე აღქმულ ასპარეზზე. ყველა ლექსში ქართული სული ტრიალებს. აქ სევდაც ქართულია, სიხარულიც, მონატრებაც, სიყვარულიც. ამის მიზეზს პოეტი ძალზე გასაგებად გვიხსნის ლექსში „მე ქართველი ვარ“, რომლის მიხედვით მისი ნიჭი „ვაჟას აკვანში დარწეულა“, სული ილია მართლის გამოყოლია, ოცნება გალაკტიონის გალექსილი აქვს, გონი – რუსთაველის სიბრძნით გაკეთილშობილებული.

რეზო სტურუას პოეტურ სივრცეში სერიოზული ადგილი სევდის გეოგრაფიას უჭირავს. მიზეზი თვალსაჩინოა, დრამატიზმი პიკს აღწევს, – ქართველთა ერთობის მძებნელი ამოდ დამშვრალა, ჯვარზეა გაკრული ქრისტეც და საქართველოც; პოეტს, აფხაზეთისკენ გამონვდილი ხელის გულზე მორცხვად დაუსვამს მობოდიშება...

ქალის თემა სისხლხორცეული ნაწილია ქართული რაინდული პოეზიისა. რეზო სტურუას ხელწერა აქ ნაღდად გამორჩეულია. პოეტის გაფაქიზებული სული, რომელიც გრძნეული შოთას მიერაა განვრთნილი და „ფესვებზე დაგეშილი“, მზადაა დუელში გამოიწვიოს ხელოვანნი, რომლებმაც ხუროთმოძღვრებაში საყრდენ სვეტად ქურუმი ქალები, კარიატიდები გამოიყენეს.

პოეტის ლექსი („კარიატიდებს“) ის თეთრი ხელთათმანია, რომელიც რაინდი დუელიანტის ნებას გამონახატავს –

– „საშველად დავლაშქრავ
ელადის ტრამალებს,
მოვალ არტემიდას,
კაცურად გპირდებით,
ოლონდ თქვენ დაგისნათ
ამ მძიმე ტვირთისგან,
ღმერთებსაც შევუტევ
და დავეჭიდები“.

ამგვარი განაცხადი მოულოდნელი არაა იმ ქვეყნის შვილისათვის, სადაც „ქართველის დედა“ მთანმინდიდან მთას შუბლით ეხება.

უფრო მეტიც – პოეტი-რაინდი რეზო სტურუა შუბმომარჯვებული ესარჩლება „საშოვარზე ნასულ ქართველ ქალსაც“. მათშიც კარიატიდს მოიაზრებს და „დაჩოქილ სირცხვილის შვილს“ ლექსით თანაუგრძნობს.

რაკი ქალზე ჩამოვარდა საუბარი, დავსძენ – სასიყვარულო ლირიკა რეზო სტურუასთან ერთგან მცირე ლირიულ-მუსიკალურ ნაწარმოებთა ციკლში („ოცნებები ფარფატებენ“) ერთიანდება და აპოგეას აღწევს სტრიქონებში:

„ეგ ტუჩები მაგონებს
ჩაშაქრებულ ზედაშენს,
ცაში მხოლოდ მთვარეა,
აქ, ზღაპარში, მე და შენ“.

პოეტი ლექსის თემატურ მინდორზე საპატიო ადგილს უთმობს ბათუმს. ბათუმისა, და ზოგადად აჭარის თემა რეზო სტურუასათვის საამური ჟრუანტელის მომგვრელია.

არავინ შემედაოს, თუ ვიტყვი, რომ ბათუმი ქართული ლექსის თავმოსანონებელი „გეოგრაფიული ლანდშაფტიცაა“.

რეზო სტურუა – სამშობლოს მომღერალი გვერდს უვლის პათეტიკას. მამულისათვის მოსაფერებელ სიტყვებში მეტწილად კრძალვა იკითხება. სიყვარულს კი სტრიქონ-სტრიქონ თანაბრად უნაწილებს საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს.

მონატრების წყურვილს მოგზაურობით იკლავს. ხან სამცხე-ჯავახეთს მოინახულებს, ხანაც

სვანეთს და პოეტური წარმოსახვით „უშბის თოვლის ფაფარს“ ვარცხნის.

ღირსებას დიდგორით აღიქვამს, დარდი ცხრა ძმის საფლავს უკავშირდება, სიმღერებიდან „შავლეგოს“ გამოარჩევს; ერთგან, გამახვილებული პოეტური სმენა ათქმევინებს, რომ „მკერდი უწივის ბებერ ბახტრიონს“. შორით ალგეთის ლეკვების ყმუილიც ესმის.

აფხაზეთზე ფიქრიც არ ასვენებს ჭეშმარიტ მამულიშვილს და იმედიანი განწყობილებით გვაკვებს – „და მაინც მჯერა, ქვაყრილზე,

სადაც სისხლია შემხმარი,
მზეს მოდრეკს, ნაპირს მიაღწევს
დაღლილი თარამ ემხვარი“.

(„აფხაზ ძმას“)

პოეტი ზოგჯერ აზრის გამოსახატავად ოსტატურად იყენებს მსუბუქ იუმორსაც. საილუსტრაციოდ ამჯერად მხოლოდ ერთ სტროფს მოვიყვან ლექსიდან „დეპუტატი მიდის ხალხთან“ –

– „დეპუტატი მიდის ხალხთან,
თვითონც არის კმაყოფილი,
ორი ბოთლი პეპსი მიაქვს,
სამი კილო კარტოფილი“.

ვფიქრობ, კომენტარებიც ზედმეტია!

რეზო სტურუას ლექსებისათვის დამახასიათებელია მხატვრული ცნობიერების ორიგინალობა, სისადავე, დახვეწილობა, თვითგანცდის ორიგინალურად, ლაკონურად გადმოცემის ნიჭი.

ჭორბი 4 2020

მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2020 malkhaz.pagava@mail.ru